საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ვ. ცისკარიშვილი

# ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1959

## შ ეს ა ვ ა ლ ი

საქართველოს ეპიგრაფიკული მასალის შეკრება-შესწავლა, რაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის I ნახევარში დაიწყო, აუცილებელი და მეტად მნიშვნელოვანი ელემენტია ქართული წყაროთმცოდნეობისა.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული: გამოცემული და გარჩეულია ცალკეული წარწერები ივ. ჯავახიშვილის, აკ. შანიძის. ლ. მუსხელიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, გ. ჩუბინაშვილის, ა. ბაქრაძის და სხვათა მიერ. ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი წლების მანძილზე აწარმოებს მუშაობას ეპიგრაფიკულ ძეგლთა კორპუსის გამოსაცემად. ა. ბაქრაძემ და ს. ბოლქვაძემ გამოსცეს საქართველოს მუზეუმში დაცულ ეპიგრაფიკულ ძეგლთა კატალოგი, ა. ბაქრაძემ დაწერა დისერტაცია ქართულ ეპიგრაფიკაზე, სადაც თავი მოუყარა გამოცემულ წარწერებს. მაგრამ დღესდღეობით ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი იმისთვის, რომ ეპიგრაფიკა მთელი სისრულით საფუძვლად დაედოს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების თანამედროვე მარქსისტულ ეტაპს, რომ თითოეული, ცნობილი წარწერა გამოცემული და შეფასებული იყვეს, როგორც საისტორიო წყარო.

ეპიგრაფიკულ ძეგლთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არა თუ შესწავლილი არაა სრულად, არამედ გამოქვეყნებულიც არაა. მკვლევართ უხდებათ ძირითადად ისარგებლონ წარწერების რევოლუციამდელი გამოცემებით (მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, ე. თაყაიშვილი, თ. ჟორდანია, ივ. როსტომაშვილი და სხვ.), რომლებიც, ჯერ ერთი. ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და, მეორეც, არაა სრული: წარწერები ხშირად არაა სწორად წაკითხული და დათარიღებული, სწორად კომენტირებული, არ ახლავს ფოტო, სათანადო სამეცნიერო აპარატი და სხვა.

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს თავი მოუყაროს საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინციის—ჯავახეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებს (როგორც გამოცემულს, ისე გამოუცემელს) და შეაფასოს ისინი როგორც საისტორიო წყარო.

სამხრეთი საქართველო (ისტორიული ზემო და ქვემო ქართლი) განსაკუთრებით მდიდარია ეპიგრაფიკული ძეგლებით. საქართველოს არც ერთ კუთხეში არ მოგვეპოება ამდენი ისტორიული წარწერები. სწორედ ამიტომ შეჩერდა ჩვენი არჩევანი საქართველოს ამ ნაწილის ერთ-ერთ კუთხეზე. ჯავახეთის წარწერები 1898 წელს გამოსცა ივ. როსტომაშვილმა, სათაურით: „Ахалкалакский уезд в археологическом отношении"[1]. უფრო ნაკლული სახით ჯავახეთის (ახალქალაქის მაზრის) წარწერები გამოსცა 1909 წელს ე. თაყაიშვილმა[2]. ცალკეული წარწერები გამოცემული აქვს მ. ბროსეს[3], თ. ჟორდანიას[4] და სხვა რევოლუციამდელ მკვლევართ. მაგრამ ამ გამოცემებს ახასიათებს ის ნაკლოვანებანი, რომლებზეც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. საბჭოთა ისტორიკოსთაგან ჯავახეთის ზოგიერთ წარწერას (ვანის, ბურნაშეთის, საროს, ფოკას და ყაურმას) იხილავს და აფასებს პროფ. ნ. ბერძენიშვილი.

საერთოდ ეპიგრაფიკული ძეგლები თავისი ხასიათის მიხედვით შეიძლება 2 ძირითად ჯგუფად დაიყოს: იურიდიული და სამშენებლო-მემორიალური. ზოგჯერ კი სამშენებლო და მემორიალური ხასიათის წარწერები ერთგვარად იურიდიულ სახესაც ატარებენ, ასე რომ თუ შეიძლება ითქვას, გარდამავალი არიან სამშენებლო-მემორიალურიდან იურიდიული ხასიათის წარწერებში.

იურიდიული ხასიათის წარწერების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში სტელებზე გვხვდება. სტელები პერიოდების მიხედვით 4 ძირითად ჯგუფად იყოფა: 1) წინაქრისტიანული ხანის, როდესაც მათზე უცხოური წარწერებია ამოკვეთილი; 2) V—X საუკუნეების, როდესაც სტელები ოთხკუთხადაა გათლილი, შიგ ჩასმული ჯვრით; 3) XII—XIII საუკუნეების, როდესაც სტელები ბრტყელ სახეს ღებულობენ და მათზე ხელის გამოსახულება ჩნდება; 4) გვიანფეოდალური ხანის, როდესაც სტელები, ზედ ზოგჯერ ჯვრის გამოსახულებით („ჯვარიანი"), უმთავრესად სამლოცველო და სამიჯნე მნიშვნელობის იყო.

X—XI სს. გვხვდება კედლის ქვებზე ამოკვეთილი იურიდიული ხასიათის წარწერები, რომლებსაც ზოგჯერ „დაწერილი" ეწოდება

---

1 Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа вып. XXX, 1898, стр. 79—92.

2 Материалы по археологии Кавказа, вып. XII, 1909, стр. 35—44.

3 M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Armenie, St. Pétersbaurg, 1850.

4 ქრონიკები... I, II.

(ისევე, როგორც ქაღალდზე ან ეტრატზე დაწერილ საბუთებს), ზოგჯერ კი—სპეციალური სახელი—„კელი" (ხშირად არ ეწოდება არავითარი სახელი).

X—XIII სს. გვხვდება ეკლესიის კედლებზე ამოკვეთილი აღაპები, რომლებსაც ერთგვარი იურიდიული საბუთის მნიშვნელობა აქვთ.

XIV—XVIII სს. ქვაზე ამოკვეთილი იურიდიული ხასიათის წარწერები ძალიან იშვიათად გვხვდება. ამ დროისთვის ეს აღარაა უკვე დამახასიათებელი. ამ პერიოდის ეპიგრაფიკული ძეგლები უმთავრესად საამშენებლო, ან მემორიალური ხასიათისაა.

იურიდიული ხასიათის წარწერებს( არა მარტო ჯავახეთის, არამედ—მთელი საქართველოს) ჩვენ შევეხეთ პრტენასა და საღამოს წარწერებისადმი მიძღვნილ თავში. აქვე, პრტენასა და საღამოს წარწერებთან მოთავსებულ ხელის გამოსახულებასთან დაკავშირებით, განვიხილეთ „კელი" და მისგან ნაწარმოები სხვა ტერმინები, როგორც იურიდიული ხასიათის ცნებები ფეოდალურ საქართველოში, აგრეთვე ამ ტერმინის კავშირი ხელის გამოსახულებასთან სტელებზე.

შრომის დანარჩენ ნაწილში განხილული გვაქვს საამშენებლო და მემორიალური ხასიათის წარწერები.

ასეთია შრომის სტრუქტურა. სხვა პრინციპით წარწერათა დაყოფა-დაჯგუფება ჩვენ არ ვცანით მიზანშეწონილად.

თითოეული წარწერა მოყვანილია როგორც ასომთავრული დამწერლობით, უცვლელი სახით (ე. ი. ქარაგმების გაუხსნელად დაზიანებელი ადგილების აღუდგენლად და განკვეთილობის ნიშნებით), ისე მხედრულით (ქარაგმაგახსნილი, დაზიანებული ადგილების აღდგენით, სასვენი ნიშნებით). სქოლიოში მოტანილი გვაქვს განსხვავებული წაკითხვები. წარწერები განხილულია როგორც პალეოგრაფიულად, ისე ისტორიული თვალსაზრისით—როგორც წყარო. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთ წარწერას, რომელიც ჩვენ ადგილზე—ორიგინალის სახით არ გვინახავს, პალეოგრაფიულად ვერ ვახასიათებთ.

იმ წარწერებს, რომლებსაც თარიღი არ უზის, ვათარიღებთ მასში მოხსენებული ისტორიული პირებისა თუ მოვლენების, აგრეთვე პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით. იმ შემთხვევაში, როცა ეკლესია შესწავლილია ხელოვნებათმცოდნეთა მიერ, ვიშველიებთ ეკლესიის დათარიღებას ხუროთმოძღვრული ფორმების მიხედვით. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ვერა ხერხდება.

ნაშრომში არ შევიდა კედლის წარწერები, შესრულებული საღებავით, ან მელნით (ვგულისხმობთ ვარძიისა და ვანის ქვაბების წარ-

წერებს), რადგან ისინი თავისი შესრულების ტექნიკის მიხედვით განსხვავდებიან ეპიგრაფიკული ძეგლებისაგან.

რა თქმა უნდა, ნაშრომში თავმოყრილი ყველა წარწერა ამომწურავად ვერ იქნება განხილულ-შეფასებული და სხვა მკვლევართა თვალი მათში კიდევ უფრო მეტს დაინახავს, კიდევ უფრო მეტყველს გახდის ისტორიისთვის, ვიდრე ეს ჩვენ შევძელით.

## არეშის წარწერა

ნასოფლარ არეშში, რომელიც მდებარეობს ჯავახეთის ზეგანის პირას, სოფ. კუმურდოსა და დანკალს შორის (ახალქალაქის რაიონში), დგას ქვის სვეტი, რომლის კვარცხლბეკზედაც მოთავსებულია ასომთავრული წარწერა. წარწერა დაზიანებულია და ძნელად იკითხება. იგი ერთხელ არის გამოცემული ალ. ჯავახიშვილის მიერ. მოგვყავს მისი წაკითხვის მიხედვით.

ႻႤ Ⴋ҃Ⴌ ႢႰ҃ႢႬ ႩႭႰႠႮႠႪႠ[ႲႨ]
ႱႠ Ⴋ҃Ⴌ [Ⴘ]Ⴜ[Ⴐ]Ⴀ ႠႰႸႲႨ ႱႷႣႰႱႠ [ႩႫ]
ႰႣႭႱႠ ႱႠႣ...

ძემან გურგენ კოჳრაპალატისამან შეწირა არშტი საყდარსა კუმურდოჲსა სად[5].

ალ. ჯავახიშვილის აზრით, წარწერაში მოხსენებული გურგენ კურაპალატის ძე უნდა იყოს ერისთავთ-ერისთავი აშოტ კუხი, რომელიც 918 წელს გარდაიცვალა, რადგან კუროპალატთა შორის მხოლოდ ერთი გურგენია ცნობილი, რომელსაც შვილები ჰყავდა— ადარნასე და აშოტი. ამ ორი ძიდან ალ. ჯავახიშვილს არეშის წარწერაში მოხსენებულად მიაჩნია აშოტი, რადგან ის ცნობილია თავისი ალმშენებლობით („აშოტ კუხმა ალაშენა ტბეთი შავშეთს"), ხოლო ადარნასეს შესახებ ასეთი რამ არაა ცნობილი[6]. მაგრამ აშოტ კუხი გარდაიცვალა 918 წელს, კუმურდოს ტაძარი კი, მისი საამშენებლო წარწერის მიხედვით, აშენდა 964 წელს. ამ შეუსაბამობას ალ. ჯავახიშვილი ხსნის იმით, რომ 964 წელს აშენებულ კუმურდოს ტაძრის

---

[5] ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, არეშის სტელა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 7, 1944, გვ. 749.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 751.

ადგილზე. მანამდე ალბათ სხვა ტაძარი იდგა, მით უმეტეს, რომ ვახუშტი მას მირიან მეფის დროს მიიჩნევს აშენებულად[7].

კუროპალატთა შორის რომ მხოლოდ ერთი გურგენია ცნობილი. რომელსაც ჰყავდა შვილები, ვერ გამოდგება იმის საბუთად, რომ ეს გურგენი მივიჩნიოთ წარწერაში მოხსენებულ გურგენ კუროპალატად. ჩვენ არ გვაქვს არც ერთი წყარო, რომელიც სრულად ადგენდეს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გენეალოგიას. ამ გენეალოგიის ძირითადი წყარო სუმბატ დავითის ძის ქრონიკა მაინც არაა სრული და ხშირად ხერხდება მისი შევსება სხვა წყაროებით (კონსტანტინე პორფიროგენეტი, გიორგი მერჩულე, ეპიგრაფიკული მასალა...) ამიტომ ადვილად შესაძლებელია, რომ წყაროებში უბრალოდ არ შემოინახა ისეთი გურგენ კუროპალატის სახელი, რომელსაც შვილი ჰყავდა, ანდა არ შემოინახა მისი (მაგალითად, გურგენ II კუროპალატის) შვილის სახელი. ასე რომ, რადგან კუმურდოს ტაძარი 964 წელსაა აშენებული, იძულებული ვიქნებოდით არეშის სტელის წარწერაც, რომელიც ამ ტაძრის შეწირულების საბუთია, ამ წლის შემდეგ გადაგვეტანა. მაგრამ ასეთი რამ არ იქნებოდა მართებული ისტორიული ფაქტებით: 964 წელს და ამის შემდეგ ჯავახეთის ამ ნაწილს აფხაზთა მეფე ფლობს, ხოლო მისი ერისთავი განაგებს ამ მხარეს (ვიდრე ჯავახეთი არ გაერთიანდა ბაგრატ III სამეფოში). IX ს. ბოლოსა და X ს. პირველ ნახევარში კი, ჯავახეთს სწორედ გურგენ I კუროპალატი და მისი შთამომავლები ფლობდნენ (ალბათ 941 წლამდე, როცა გარდაიცვალა გურგენ I კუროპალატის შვილიშვილი გურგენ მაგისტროსი, რომელიც, როგორც გვაცნობებს სტეფანე მტბევარის თხზულება[8] და კონსტანტინე პორფიროგენეტი[9], ფლობდა ყველის ციხეს—ჯავახეთის იმ დროინდელ ადმინისტრაციულ ცენტრს). ასე რომ არეშის სტელის წარწერაში მოხსენებული გურგენ კუროპალატი უნდა იყოს სწორედ გურგენ I კუროპალატი (აშოტ კუხისა და ადარნასეს მამა). თუ კი ეს ასეა, მაშინ უნდა დავუშვათ აგრეთვე 964 წლამდე კუმურდოს ძველი ტაძრის არსებო-

---

[7] ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, არეშის სტელა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 7, 1944, გვ. 751.

[8] სტეფანე მ ტ ბ ე ვ ა რ ი. გობრონის წამება, საქართველოს სამოთხე, მ. საბინინის გამ., პეტერბურგი, 1882, გვ. 395.

[9] გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, ს. ყაუხჩიშვილის გამ., 1952, გვ. 276.

ბაც[10]. მაგრამ არეშის წარწერაში მოხსენებულ გურგენ კუროპალატის ძედ ჩვენ მიგვაჩნია არა აშოტ კუხი, როგორც ამას ფიქრობს ალ. ჯავახიშვილი, არამედ ადარნასე, რადგან ჯავახეთის მფლობელებად სწორედ ადარნასე და შემდეგ მისი შვილი გურგენ მაგისტროსი ჩანან, აშოტი კი შავშეთში ჩანს. ის რომ აშოტმა ტბეთი ააშენა, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ გამოდგება იმის საბუთად, რომ არეში კუმურდოსთვის სწორედ მას უნდა შეეწირა და არა ადარნასეს. ადარნასე გარდაიცვალა 896 წელს, ამდენად არეშის სტელის წარწერაც უნდა დათარიღდეს 881—896 წწ. (881 წლიდანაა კუროპალატად გურგენი). თარიღი უფრო დავიწროვდებოდა, რომ შეიძლებოდეს წარწერის გადატანა გურგენ კურაპალატის სიკვდილის, ე. ი. 891 წლის შემდეგ წლებში, მაგრამ სამწუხაროდ, არა ჩანს წარწერის გაკეთების დროს ცოცხალია გურგენი თუ გარდაცვლილი.

არეშის წარწერა საინტერესოა ჯავახეთის მფლობელთა დადგენისათვის. თუ ადრე ვფიქრობდით, რომ აშოტ დიდი კუროპალატის გარდაცვალების (826 წ.) შემდეგ ჯავახეთს მისი უმცროსი შვილები ბაგრატ და გუარამ, და შემდეგ მათი შთამომავლები ფლობდნენ[11], ჩვენი წარწერიდან ჩანს, რომ X ს-ის დამდეგს, თუ მთელ ჯავახეთს არა, ნაწილს მაინც აშოტ დიდი კუროპალატის უფროსი შვილის ადარნასეს შთამომავლები ფლობენ. აქამდე ჩვენ ამის შესახებ ვიცოდით 914—918 წლებში დაწერილ გობრონის წამებიდან, სადაც აღნიშნულია, რომ ჯავახეთში მდებარე „ყუმლის“ ციხე გურგენ ერისთავთ-ერისთავს (ჩვენს წარწერაში მოხსენებული გურგენ I კუროპალატის უფროსი შვილის ადარნასეს ძეს) ეკუთვნის[12]. ამავე ცნობას ადასტურებს კონსტანტინე პორფიროგენეტი.

ამრიგად, არეშის წარწერა ავსებს და ამასთანავე ადასტურებს გობრონის წამებაში და კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში დაცულ ცნობას იმის შესახებ, რომ X ს-ის პირველ 20-იან

---

[10] 964 წელზე ადრე რომ კუმურდოს ტაძარი არსებობდა, ამაზე მიუთითებს ის, რომ ეპისტოლეთა წიგნში ჩამოთვლილ საქართველოს ეპისკოპოსებში, რომლებიც 506 წლის კრებას ესწრებოდნენ, მოხსენებულია კუმურდოელიც—იხ. [illegible], გვ. 182—183. ე. ი., VI ს-ში კუმურდოს საეპისკოპოსო და მაშასადამე, კუმურდოს ტაძარიც არსებობდა.

[11] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება I, ს. ყაუხჩიშვილის გამ., 1955, გვ. 257.

[12] ს ტ ე ფ ა ნ ე მ ტ ბ ე ვ ა რ ი, გობრონის წამება, საქართველოს სამოთხე, გ. საბინინის გამ., 1882, გვ. 395—396.

წლებში ჯავახეთს აშოტ დიდი კუროპალატის უფროსი შვილის ადარნასეს შთამომავლები ფლობენ.

## კუმურდოს წარწერები

ახალქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ათიოდე კილომეტრის დაშორებით, მდებარეობს კუმურდოს შესანიშნავი კათედრალი, რომელზედაც მოთავსებულია რამდენიმე ასომთავრული წარწერა.

ეს წარწერები სამჯერ არის გამოქვეყნებული: პირველად—აკად. მ. ბროსეს[13], მეორედ—ივ. როსტომაშვილის[14], ხოლო მესამედ—ე. თაყაიშვილის მიერ[15].

### I წარწერა

ტაძრის აღმოსავლეთის კედელზე მოთავსებულია ერთსტრიქონიანი წარწერა, შესრულებული ლამაზად გამოყვანილი, თანასწორი სიდიდის მქონე, მრგვალი, რელიეფური ასოებით. განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არაა ნახმარი (ტაბ. I, სურ. 1).

წარწერა ასე იკითხება:

**+ႵႤ ႸႼႤ ႨႭႠႬႤ ႤႡႱႩႨ ႠႫႱႨ ႫႠႸႬႪႨ ႣႾႱႠ ႫႱ**

ქარაგმების გახსნით:

ქრისტე, შეიწყალე იოვანე ებისკოპოსი ამისი მაშენებელი[16] დღესა მას.

### II წარწერა

სამხრეთის კედელზე, პორტიკის თაღის ქვეშ, კარის თავზე მოთავსებულია თვრამეტსტრიქონიანი წარწერა, შესრულებული აგრეთვე რელიეფური ასოებით. განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არა აქვს.

---

[13] M. Brosset. Rapports sur un voyage archéologique dans la Georgie et dans l'Armenie, 2-e livraison. SPB., 1850, გვ. 166—172.

[14] И. П. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, вып. XXV, 1898, стр. 79—92.

[15] Матерналы по археологии Кавказа, вып. XII, 1909, стр. 35—44.

[16] მ. ბროსე კითხულობს: „აღმაშენებელი" (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 167).

წარწერა ასე იკითხება:

1. ႸႼႥႬႨႧႠ ႶႨႱႢႧႠ ႨႭ'ႥႬႤ
2. ႤႡႱႩႱႫႬ ႣႣႥႠ ႱႻႰႩႥႪႨ ႠႫႱ
3. ႤႩႪႤႱႱႢ ჴႪႨႧႠ ႹႫ ႺႣႥႪႨႱႠ ႱႩႭႺႰႨႱႧႠ
4. ႪႤႭႬ ႫႴႨႱႠ ႦႨ ႰႧႧႬ ႶႬ ႵႭႬႩႬႱႠ. შემდეგ მარცხნივ:

5. Ⴐ
6. ႮႣ
7. ႧႠ Ⴋ Ⴗ
8. ႣႢႱႠ
9. ႣႶႨႱႠ
10. ႴႧႱႠ | Ⴀ |
11. ႫႧႭႠႰ
12. ႨႱႱႠ ႨႰႨႱ
13. ႧႬႭႷႱႠ Ⴆ
14. ႩႨႠႱႱႠ ႨႱႨ Ⴗ
15. ႦႠႬႰႨ ႫႬ
16. ႣႨႣႬႠ ႵႨ
17. ႸႨႼႨ ႫႬႱႠ
18. ႸႬႱႠ ႠႬ

ქარაგმების გახსნით:

შეწევნითა ღმრთისაჲთა იოვანე ებისკოპოსმან დადვა[17] საძირკველი ამისა ეკლესიისაჲ, ჴელითა ჩემ ცოდვილისა საკოცრისათა[18], ლეონ მეფისა ზჵობასა, ადიდენ ღმერთმან, ქრონიკონსა რპდ (184), თუესა მაჲსსა, დღესა შაბათსა, ა მთოარისასა. ერისთაობასა ზჳიაჲსასა ესე ბალავარი მუნ დაიდვა. ქრისტე, შეეწიე მონასა შენსა. ამენ.

როგორც ვხედავთ, წარწერაში აღნიშნულია, რომ კუმურდოს საყდრის საძირკველი დაიდო 964 წელს (780 + 184 = 964) ლეონ მეფის დროს (როგორც ჩანს იგულისხმება ლეონ აფხაზთა მეფე, რომლის მეფობას ივ. ჯავახიშვილი 957—967 წწ. ათარიღებს [19]. ეკლესიის კარის ბალავარი კი დადებულია ზვიადის ერისთავობის დროს, ცხადია იმავე დროისაა წარწერაც. ამ წარწერის თარიღად ჩვეულებრივ მიიჩნევდნენ ხოლმე 964 წელს და კუმურდოს ეკლესიის აშენების თარიღადაც თვლიან ამ წელს. მაგრამ წარწერაში 964 წლით დათარიღებულია ეკლესიისათვის საძირკვლის დადება და არა წარწერის გაკეთება. ძალიან საეჭვოა, რომ საძირკვლის დადების შემდეგ, ნახევარი წლის მანძილზე (საძირკვლის დადება მაისში მომხდარა) ბალავრის დადებაც იმავე 964 წელს მოესწროთ (რაც, თითქმის სანახევროდ უკვე ეკლესიის დამთავრებას ნიშნავდა). ასეთი დიდი ეკლესიის მშენებლობას, ცხადია, რამდენიმე წელი მაინც დასჭირდე-

[17] ივ. როსტომაშვილი კითხულობს: „დავდევ" (იხ. მისი დას. ნაშრ., გვ. 48).

[18] მ. ბროსე კითხულობს: „სკუცრისათა" (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 167).

[19] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, 1948, გვ. 104.

ბოდა. ასე რომ წარწერას 964 წლისად ვერ მივიჩნევთ. მაგრამ წარწერაში მოხსენებულია ლეონ მეფის დიდება და არა სულის შენდობა, ამიტომ, თითქოს ისე ჩანს, რომ ლეონ მეფე ჯერ კიდევ ცოცხალია. თუ ეს ასეა და თუ ლეონის მეფობის წლები მართლაც 957—967 წლებია (როგორც ცნობილია აფხაზთა მეფეების ქრონოლოგიური რიგი, ჯერჯერობით. წყაროების სიმცირის გამო, დაუდგენელია), მაშინ კუმურდოს წარწერა 964—967 წლებით უნდა დათარიღდეს.

როგორც ა. ბაქრაძე შენიშნავს, წარწერა ერთადერთი ცნობაა X ს. 60-იან წლებში ჯავახეთის მფლობელთა დასადგენად[20]. ლეონ აფხაზთა მეფის მოხსენიება მასში იმისი მაჩვენებელია, რომ ამ დროს აფხაზთა მეფეს ხელი მიუწვდებოდა ჯავახეთზე. როგორც არეშის წარწერის განხილვისას დავინახეთ, IX ს. ბოლოსა და X ს. დასაწყისში, თუ მთელი ჯავახეთი არა, მისი ნაწილი მაინც აშოტ I კურაპალატის შთამომავალთა ერთ-ერთი შტოს ხელშია. კუმურდოს ამ წარწერის მიხედვით კი ჯავახეთში X ს. 60-იან წლებში აფხაზთა მეფე ჩანს მფლობელად. თ. ჟორდანია ფიქრობს, რომ „ალბათ კუმურდოს აღშენებაში ლეონს, როგორც ნათესავს გურგენ მეფის და დავით კურაპალატისას, მონაწილეობა მიუღია და ამის გამო მისი სახელი დაუწერიათ მის კედელზე“[21]. ამ მოსაზრებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ, რადგან, თუ კი ამ დროს ჯავახეთს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა წარმომადგენელი ფლობდა, მაშინ, როგორც მართებულად შენიშნავს ა. ბაქრაძე, ისიც უნდა ყოფილიყო მოხსენებული წარწერაში[22]. წარწერაში მოხსენებული „ზ ჳ ი ა დ, ანუ ზვიად ერისთავი, როგორც ჩანს, ლეონ მეფის მოხელეა. კუმურდოს წარწერის გარდა ზვიად ერისთავი იხსენიება: ზარზმის ხატის[23], ლივადის[24] და გომარეთის[25] ეკლესიების წარწერებში, ორჯერ „მატიანე ქართლისა“-ში (ბაგრატ III და გიორგი I დროს[26]) და სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში (გიორგი I დროს)[27].

---

[20] ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული ეპიგრაფიკა როგორც ისტორიული წყარო (სადისერტაციო ნაშრომი), 1954, გვ. 48.

[21] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 1893, გვ. 92—93.

[22] ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

[23] Е. Такайшвили, Археолог. экскурсии, разыскания и заметки, вып. I, стр. 68—69.

[24] ი ქ ვ ე, вып. IV, стр. 63.

[25] იქვე. გვ. 83.

[26] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება I, ს. ყაუხჩიშვილის გამ., 1955, გვ. 283, 287.

[27] სუმბატ დავითის ძის ქრონიკა. ქართლის ცხოვრება I, ს. ყაუხჩიშვილის გამ., 1955, გვ. 384.

გომარეთისა და ლივადის წარწერებში მოხსენებული ზვიადი, როგორც ჩანს, თრიალეთის ერისთავია და გვარად მარუშიანი (მარუშიანად იხსენიება ის გომარეთის წარწერაში). როგორც ა. ბაქრაძემ დაადგინა, ზვიად მარუშიანს ბაგრატ III თრიალეთის ერისთავად ნიშნავს, აქედან ბაღვაშთა განდევნის შემდეგ—988 წელს[28].

გომარეთის წარწერისავე ცნობით, შემდეგ გიორგი I კონფლიქტი მოსვლია ზვიად მარუშიანთან და შეუპყრია ის. ალბათ ამის შემდეგ დაბრუნდნენ ბაღვაშები კლდეკარის ერისთავებად. ლივადის წარწერის მიხედვით ზვიად მარუშიანს ჰყოლია შვილი ვარდა (ე. ი. ვარდანი).

1014 წელს „მატიანე ქართლისა“-ს ცნობით, ზვიად ერისთავმა გადმოასვენა ფანასკერტში გარდაცვლილი ბაგრატ III ცხედარი ბედიაში დასამარხავად[29]. ამის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტაოც ზვიად ერისთავის საგამგებლოში შედიოდა.

1023 წელს ზვიად ერისთავი, „მატიანე ქართლისა“-ს და სუმბატ დავითის ძის ცნობით, სარდლობდა ქართველთა მეწინავე ლაშქარს ბიზანტიელთა წინააღმდეგ ომში და მისთვისვე დაუკისრებია გიორგი I, რომ მას ბიზანტიის იმპერატორი „ზავის მიპყრობითა მცირედ-ხან დაიმჭირვა ადგილსა“[30],—ე. ი. დროს მოსაგებად საზავო მოლაპარაკება ეწარმოებინა მასთან და რამდენადმე შეეყოვნებინა ის.

ზარზმის ხატის წარწერაში მოხსენებული ზვიად ერისთავი, როგორც ჩანს, სამცხის ერისთავია (ამაზევე მიუთითებს ის, რომ ბიზანტიელებთან ომის დროს ზვიად ერისთავი სარდლობს ქართველთა მეწინავე ლაშქარს. მესხები, როგორც ცნობილია, მეწინავეები იყვნენ). ამ წარწერაში ზვიადი მოხსენებულია „რბს“ ძედ. წარწერას თარიღი არ უზის. გ. ჩუბინაშვილი აიგივებს რა ზარზმის ხატის წარწერაში მოხსენებულ ზვიად ერისთავს 1023 წელს ბიზანტიელებთან ომში მონაწილე ზვიადთან, ათარიღებს მას 1023 წლის ახლო დროით[31].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თრიალეთის ერისთავი (988 წლიდან) ზვიადი. ზარზმის ხატის შემამკობელი ზვიად ერისთავი, ბაგრატ III

---

[28] ა. ბაქრაძე, ქართული ეპიგრაფიკა როგორც ისტორიული წყარო (სადისერტაციო ნაშრომი), გვ. 141—151.

[29] „მატიანე ქართლისა“, ქართლის ცხოვრება I, ს. ყაუხჩიშვილის გამ., 1955, გვ. 283.

[30] იქვე, გვ. 287.

[31] გ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომჭედლობა, 1957, გვ. 19.

და გიორგი I დროს ნარატიულ წყაროებში მოხსენებული ზვიად ერისთავი ერთი და იგივე პიროვნებაა. აღნიშნული ქრონოლოგიური ჩარჩოები (988—1014—1023 წწ.) არ არის იმდენად ფართო, რომ ამ დროში ორი ზვიად ერისთავი ვიგულისხმოთ. რაც შეეხება კუმურდოს წარწერაში მოხსენებულ ზვიად ერისთავს, 964—67 წლიდან 1023 წლამდე პერიოდი დიდი ჩანს ერთი კაცისათვის, რომელიც თანაც 1023 წელს ომში მონაწილეობდა. კუმურდოს ერთ-ერთი საალაპე წარწერა, რომელიც ეკუთვნის აგრეთვე იოანე ეპისკოპოსს (მაგრამ, რა თქმა უნდა, უფრო გვიანია საამშენებლო წარწერაზე, იხ. აქვე, კუმურდოს VIII წარწერა), ალაპს გააჩენს ვაჩე ერისთავისათვის. ე. თაყაიშვილი ამ ვაჩეს მიიჩნევს ზვიად ერისთავის მემკვიდრედ. ეს მოსაზრება ჩვენ მართებულად მიგვაჩნია. მაშინ ბაგრატ III და გიორგი I დროს მოღვაწე ზვიადი—თრიალეთისა და სამცხის (და შესაძლოა ტაოსიც) გამგებელი, ვაჩე ერისთავის შვილად და ზვიად I —ჯავახეთის ერისთავის შვილიშვილად უნდა მივიჩნიოთ.

ამრიგად, კუმურდოს წარწერაში მოხსნებული ზვიად ერისთავი მარუშიანია.

მარუშიანი დასავლეთ საქართველოს საგვარეულო ჩანს. 975 წელს ერთერთი ამ საგვარეულოს წარმომადგენელი იოანე მარუშის ძე ქართლის ერისთავია[32] (უნდა ვიფიქროთ, რომ აფხაზთა მეფის მიერ დაყენებული მოხელე). X ს-ის 60-იან წლებში აფხაზთა მეფის მიერ ჯავახეთის (ან მისი ნაწილის) გამგებლად—ერისთავად ჩანს, როგორც დავინახეთ, ზვიად მარუშიანი (კუმურდოს საამშენებლო წარწერა).

ბაგრატ III და გიორგი I დროს ზვიად II მარუშიანი თრიალეთის, სამცხის (და შეიძლება ტაოსიც) გამგებელი—ერისთავია, მაგრამ შემდეგ მას მეფე რატომღაც შეიპყრობს და ართმევს საგამგებლო მხარეებს.

ლიხაურის ხატის წარწერაში იხსენიება ვარდანის ძე მარუშიანი. როგორც ჩანს, მარუშიანები, იგივე ვარდანის ძეები, ამ დროს გურიის ერისთავები არიან. XI ს-ში ვარდანის ძეები, სვანთა ერისთავები ყოფილან. შემდეგ მათ გურიისა და სამეგრელოს ერისთაობაც მიუღიათ[33].

---

32 მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება I, ს. ყაუხჩიშვილის გამ., 1955, გვ. 272.

33 Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, 1878, стр. 109, 111—112, 268—269.

მარუშიანები რომ იგივე ვარდანიძეები არიან და თრიალეთის, ჯავახეთის და სამცხის წარწერებში მოხსენებული მარუშიანი ზვიადი რომ ამ საგვარეულოს წარმომადგენელია, ამას ადასტურებს აგრეთვე ლივადის წარწერაში მოხსენებული ზვიადის შვილის სახელი ვარდა, ანუ ვარდანი.

### III წარწერა

წარწერა მოთავსებულია იქვე, მარჯვნივ.

წარწერა ასე იკითხება:

ႼႭ
ႤႩႪ
ႱႨႭ ႸႬ
Ⴈ ႫႸႩႬ
Ⴈ ႣႠ ႷႪ
ႬႨ ႫႠႸ
ႬႡႪႬႨ ႸႬႨ
ႣႶႨႱႠ ႫႠႱ
ႱႸႿႪႨႱႱ
Ⴀ ႣႠႨႴႰ
ႤႬ ႣႠ ႸႼႨ
Ⴄ,ႪႢႩႨ
ႢႨ ႪႭႺႱႠ
ႫႭႫႨჄႱႬႤ

ქარაგმების გახსნით:

წმიდაო ეკლესიაო, შენნი მუშაკნი და ყოველნი მაშენებელნი შენნი დღესა ამას საშჯელისასა დაიფარენ და შეიწყალე გლახაკი გიორგი, ლოცვასა[34] მომიჴსენეთ.

ე. თაყაიშვილის აზრით, ეს წარწერაც 964 წელს ეკუთვნის და გვიჩვენებს, რომ იოანე ეპისკოპოსის და ზვიად ერისთავის გარდა, ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობა მიუღია ვინმე გიორგის, რომელიც მშენებლობის ერთი მთავარი ხელმძღვანელთაგანი უნდა ყოფილიყო[35]. შესაძლებელია ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ აშენებაში აქ არ იგულისხმებოდეს ტაძრის თავდაპირველი მშენებლობა, არამედ აღდგენა-შეკეთება.

---

[34] მ. ბროსე ამ ორ სიტყვას ერთად კითხულობს—„გელცვსა“ (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 168).

[35] МАК, XII, стр. 39.

როგორც ვხედავთ, წარწერა, ისტორიული თვალსაზრისით არაფერს მნიშვნელოვანს არ შეიცავს. ის საალაპე წარწერას მიაგავს რამდენადმე.

## IV წარწერა

წარწერის დასაწყისი ნაწილი კარის საპირეს კამარაზეა მოთავსებული, ხოლო მეორე ნაწილი—იქვე კარის მარჯვნივ. კამარის თავზე მოთავსებული ნაწილი ერთსტრიქონიანია, მარჯვნივ გადატანილი კი —შვიდსტრიქონიანი.

წარწერა ასე იკითხება:

+. ႱႠ´ႾႤႪႨႧႠ Ⴖ´ႢႧႠ ႫႤ ႤႴႰ´Ⴋ Ⴄ´ႡႱႩႱႫႬ Ⴃ´ႣႨ ႠႪႮႣ ႢႡႰႪ ႩႱႠ
Ⴄ´: ႤႱႠ ႷႥႪႰႱႠ
Ⴎ´ႰႱႩႤႥ ႣႶႤႱ´ႱႼႪႨ ႼႫ´Ⴀ
ႫႧႥႰ ႠႬႢႪႦႢ ႣႠ ႠႥ
ႶႧ Ⴋ´Ⴑ Ⴂ´Ⴌ Ⴔ´ႱႨ ႱႰႭႪႨ ႥႨ
Ⴌ Ⴘ´ႺႥႪႱ ႩႰ´ႪႨ
ႠႰႱ ႠႫႨႧ Ⴞ´Ⴒ
ႨႧႠ ႣႠ Ⴙ´Ⴈ
ႧႠ ႿႥ´ႧႠ

ქარაგმების გახსნით:

ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, მე, ეფრემ ებისკოპოსმან დავდე ალაპად გაბრიელ კუმურდოელისა[36], ე ყველიერსა პარასკევი, დღესასწაული წმიდათა მთავარ-ანგელოზთაჲ და ავიღეთ მისგან ფასი სრული. ვინ შეცვალოს კრული არს ამით ხატითა და ჩემითა ჯვარითა.

ე. თაყაიშვილის მოსაზრებით წარწერა XI, ან XII საუკუნისაა[37]. ეპისკოპოსი ეფრემი და გაბრიელ კუმურდოელი სხვა წყაროების მიხედვით არ არიან ცნობილნი. წარწერა, როგორც ვხედავთ, საალაპეა: ეფრემ ეპისკოპოსი გაბრიელ კუმურდოელის ალაპს აწესებს, სათანადო ფულადი საზღაურის მიღების შემდეგ. პალეოგრაფიულად წარწერა მართლაც XI—XII სს. უნდა იყოს.

---

[36] მ. ბროსე ამ ორ სიტყვას ერთად კითხულობს—„გაბრიელაკუსა“ (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 168).

[37] იხ. ამის შესახებ - МАК, XII, стр. 39.

## V წარწერა

წარწერა მოთავსებულია იქვე, IV წარწერის ბოლოში.

წარწერა ასე იკითხება:

Ⴕ~Ⴄ Ⴘ~Ⴄ ႱႪ~Ⴈ
Ⴂ~ႡႰႪ Ⴉ
ႱჂ ႠႬ

ქარაგმების გახსნით:

ქრისტე, შეიწყალე სული გაბრიელ კუმურდოელისაჲ, ამინ.

აქ მოხსენებული გაბრიელ კუმურდოელი იგივე IV წარწერაში მოხსენებული გაბრიელია[38].

## VI წარწერა

წარწერა მოთავსებულია V წარწერის ახლოს, სარკმლის კარის თავზე. იგი ერთსტრიქონიანია და ყურადღებას იქცევს იმით, რომ ყოველი სიტყვა დაქარაგმებულია.

წარწერა ასე იკითხება:

Ⴕ~Ⴄ Ⴘ~Ⴄ Ⴑ~ႪႨ Ⴋ~Ⴊ Ⴆ~ႱႨ Ⴀ~Ⴌ

ქარაგმების გახსნით:

ქრისტე, შეიწყალე სული მღვდელ ზოსიმესი. ამინ.

## VII წარწერა

ეს წარწერა მოთავსებულია ამბრაზურის კამარაზე.

წარწერა ასე იკითხება:

+ ႱႠႴႪႤႧႠ
ႬჂႧႠ ႫႤ Ⴂ~Ⴊ
ႤႢႱႩႫ~Ⴌ Ⴃ~ႣႹ
Ⴀ~ႬႸႣ ႡႪ~ႡႱ Ⴘ~ႧႱႩႹႤ
ႫႪ ႪႬႱ ႣႬႤႱႱჃ~ႪႤ
ჃႧ~Ⴀ ႫႬ~ႣႧႠ ႫႭႯ
ႬႧႧႠ ႹႤႬ ႩႱႧႭႩႪႡ~Ⴇ
ႠႧႠ ႢႠႧႣႠႤჄ~ႣႱ
Ⴉ~ႧႪႠ ႠႫႧ ჀჀႧ
Ⴀ ႣႠ Ⴒ~ႬႧႠ ႿႧႠ

---

[38] მ. ბროსე აქაც აერთებს ორ სიტყვას—„გაბრიელაკისა" (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 169).

შემდეგ ერთი სტრიქონი მარჯვნივ:

ႴჂႱႤ ႱჂႪႬႤ ႠႶႨႧ

ქარაგმების გახსნით:

სახელითა ღმრთისაჲთა, მე გაბრიელ[39] ებისკოპოსმან დავ-დევ ალაპად ბზობის პარასკევი, მოლოზანის დღესასწაული, წმი-დათა მღვდელთა მოძღუართა. ვინ სრულობით არ გარდაჰკა-დოს. კრულია ამით ხატითა და ჩვენითა ჯვარითა, ფასი სრული ავი-ღეთ.

წარწერა, როგორც ვხედავთ, საალაპეა, ალაპს, სათანადო „ფა-სის“ ალების შემდეგ, განაჩენს IV და V წარწერებში მოხსენებული გაბრიელ კუმურდოელი.

## VIII ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ

წარწერა მოთავსებულია VII წარწერის დაბლა. იგი ოთხი სტრიქონისაგან შედგება და შესრულებულია ლამაზად გამოყვანი-ლი, თანასწორი სიდიდის, რელიეფური ასოებით.

წარწერა ასე იკითხება:

+ ႱႾႪႧႠ ႶႫႧႠ ႫႤ ႨႭႤ ႤႡႱႩႮႱႫႬ ႣႣႥ
ႣႶႤ ႠႶႥႱႡႠჃ ႠႪႮႣ ႥႠႹႤ ႤႰႨႱႧႥႱႠ
ႥႨႬ ႸႺႥႪႱ ႩႰႪႨႠ ႠႫႧ ႾႲႨႧ ႹႫႨႧ ႿႭႰႧ
ႧႠ

ქარაგმების გახსნით:

სახელითა ღმრთისაჲთა, მე, იოანე ებისკოპოსმან დავდევ დღე აღვსებაჲ ალაპად ვაჩე[40] ერისთავისა. ვინ შეცვალოს კრულია ამით ხატითა, ჩემითა ჯვარითა.

ე. თაყაიშვილის მოსაზრებით, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშ-ნეთ, წარწერა X საუკუნისაა და მასში მოხსენებული იოანე ეპისკო-პოსი კუმურდოს საამშენებლო წარწერაში (964—967 წწ) მოხსენე-ბული იოანეა. ვაჩე ერისთავი კი ამავე წარწერაში მოხსენებული ზვიად ერისთავის მემკვიდრე[41]. პალეოგრაფიულად ეს წარწერა მარ-თლაც ძალიან ჰგავს 964 წლის წარწერას, ამიტომ ჩვენც სწორად მიგვაჩნია ე. თაყაიშვილის ეს მოსაზრება.

---

[39] მ. ბროსე კითხულობს—„გრიგოლ“ (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 170).

[40] მ. ბროსე კითხულობს—„ვანე“ (იქვე, გვ. 169).

[41] МАК, XII, стр. 40.

წარწერა მოთავსებულია VIII წარწერის დაბლა.
წარწერა ასე იკითხება:

ႱႾႪႧႠ Ⴖ´ႧႠ ႫႤ ႢႡ
Ⴊ ႤႡႱႩႱႫ´Ⴌ ႣႣ´Ⴅ
ႠႪႮႣ ႣႶႤ ႤႢ´ႲႱႨ
Ⴂ´ႪႧႱႠ ႥႨႬ ႸႺႥ
ႪႱ ႩႰႪႠ ႠႫႨႧ
Ⴞ´ႲႧႠ ႹႨႧ ႿႰႧ
Ⴀ

ქარაგმების გახსნით:

სახელითა ღმრთისაჲთა, მე, გაბრიელ[42] ებისკოპოსმან დავდევ ალაპად დღე ეგნატესი გოლგოთელისა[43]. ვინ შეცვალოს კრულია ამით ხატითა, ჩემით ჯვარითა.

წარწერა საალაპეა და ეკუთვნის იმავე გაბრიელ კუმურდოელს.

X. წარწერა

წარწერა მოთავსებულია IX წარწერის დაბლა.
წარწერა ასე იკითხება:

ႱႾႪႧႠ ႶႧႠ ႫႤ ႦႱႫႤ Ⴉ
ႳႫႱႤ Ⴑ´ႩႠႳႾႤႪႫ Ⴂ´ႠႭႤႫ
ႴႤႾႸႫ ႿႭႠႤ ႣႠ ႸႳႫႩႳႤ Ⴄ
ႾႤ ႪႠႢႱႠႻ ႷႪႠႠ ႣႳႠႤႱႠ
ႻႠႠ ႣႭႣႳ ႱႠႪႳႪႣ Ⴀ
ႪႭႢႱႠ: Ⴄ: Ⴉ´ႩႤ Ⴑ´ႬႠႠ ႣႩႬႪႤ Ⴇ
ႷႱႬႢႼႱ . . . . . . . . . .
. . . . . ႩႠ´ႪႠ Ⴇ´Ⴀ ႸႾႠ ႳႬ
ႸႤႭႺႳႪႱ

ქარაგმების გახსნით:

სახელითა ღმრთისაჲთა, მე, ზოსიმე კუმურდოელმა შევმოსე საკურთხეველი, ბარძიმ ფეხშუმი, ჯუარი და შევამკევი ხატი ღუთაე-

[42] მ. ბროსე კითხულობს—„გრიგოლ“ (იხ. მისი დასახ. ნაშრ. გვ., 169).,
[43] მ. ბროსე აქ ორ სიტყვას კითხულობს—„ეკუწერის ანგელოზთასა“ (იქვე)

ბისაჲ, ქელითა დავითისაჲთა, დაუდევ სალოცველად აღუსებისა ც-კვირიაკე. სიონთა დეკანოზი მოიხსენებდეს... კრულია მით ხატითა, ვინ შეუცვალოს.

ამ წარწერის გარდა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ზოსიმე კუ-მურდოელი მოხსენებულია კუმურდოს კიდევ ორ წარწერაში, რო-მელთაგან ერთი XI საუკუნისაა, ხოლო მეორე XVI ს. ამ მესამე წარწერაში მოხსენებული ზოსიმე კუმურდოელი ე. თაყაიშვილის მოსაზრებით XVI საუკუნისაა. წარწერა პალეოგრაფიულად არ შე-იძლება XI ს. იყოს, ამიტომ ჩვენ ვიზიარებთ ე. თაყაიშვილის მო-საზრებას წარწერის თარიღზე.

ეს წარწერაც, როგორც ვხედავთ, საალაპეა.

## XI ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ

წარწერა მოთავსებულია X წარწერის მარჯვნივ (ტაბ. II სურ. 1).

წარწერა ასე იკითხება:

ႣႨႣႱႠ ႸႴႧႱ
ႠႪႮႨ ႫႰႣ҃ႱႨ
+ႵႤႸႱ Ⴜ҃ႬႠ ႣႶ
Ⴂ҃ႡႧႱႠ Ⴅ҃Ⴌ Ⴘ҃Ⴚ
Ⴅ҃ႡႱ ႩႰႡႨ Ⴊ҃ႧႱ
Ⴎ҃ႰႧႠ

ქარაგმების გახსნით:

დიდსა შაფათს ალაპი მირდატისი. ქრისტეშობის წინა დღე გულ-ბათისა. ვინ შეცვალოს კრულია ღმრთისა პირითა.

## XII ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ

წარწერა მოთავსებულია სამხრეთის კარის მარჯვნივ. იგი დაზი-ანებულია.

წარწერა ასე იკითხება:

ႨႠႬႧႰႱ . . .
Ⴀ ႫႨႠ҃ႮႠ .  .
ႡႨ҃ႱႨ ႠႪ҃ႮႨ . . .
ႫႨႡႨႱႨ Ⴊ҃Ⴌ ႫႨႱႨ . . .

ႣႶႱႠ ႏႫႱ ႼႰႥ . . .
ႣႠ ႪႺႥႨ Ⴗ . . .
Ⴀ Ⴜ҃Ⴌ ႥႬ҃Ⴀ . . .
Ⴂ҃ႰႣႠႨႩႣ . .
ႭႱ Ⴖ҃Ⴌ ႫႨႱ
Ⴈ ႻႨႤႬ ႠႬ

ქარაგმების გახსნით:

იანვარს... ალაპი.. მგლესი... ღმერთმან მისი... დღესა ჟამს წირვ[იდეს]... და ლოცვ... წმიდამან. ვინცა... გარდაიკადოს... ღმერთმან მის... იძიენ, ამინ.

წარწერიდან ჩანს მხოლოდ, რომ ის საალაპეა. ე. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ ეს მანგლელის ალაპია[44].

## XIII წარწერა

წარწერა მოთავსებულია ტაძრის სამხრეთ-დასავლეთის მინაშენზე, კარნიზის ქვეშ. იგი შესრულებულია მსხვილი, რელიეფური ასოებით, დასაწყისში და ბოლოში დაზიანებულია.

წარწერა ასე იკითხება:

. . . ႧႨ Ⴋ҃ႰႫ ႣႣႴႪႨ ႠႶႤႸ҃ႬႠ ႸႲႢ ႤႱႤ ႫႴႡႱႠ ႫႧႱႠ ႫႶႣႪႧႫႭႻ҃ႶႰႡႱႠ Ⴆ҃ႱႫႤ ႩႫႰႣႭႤႪႨႱႱႠ . .

ე. თაყაიშვილს წარწერის დასაწყისი ნაწილი აზრის მიხედვით აღუდგენია; ეს ადგილი მოგვყავს მისი წაკითხვის მიხედვით[45]:

[ადიდე ღმერთმან მეფეთა მეფე ბაგრატ და დედა მა]თი მარიამ დედოფალი. აღეშენა შტოჲ ესე[46] მეფობასა მათსა, მღვდელთმოძღურობასა ზოსიმე კუმურდოელისასა...

როგორც არ უნდა იქნეს აღდგენილი წარწერის დასაწყისი ნაწილი, ერთი რამ უდაოა —მასში მოხსენებული მარიამ დედოფალი ბაგრატ IV დედაა, როგორც ამას ამ წარწერის წინა გამომცემლები: მ. ბროსე, ივ. როსტომაშვილი და ე. თაყაიშვილი აღნიშნავდნენ. წარწერა რომ XI საუკუნისაა, ამას მისი პალეოგრაფიული ნიშნები მოწმობს. ამ მხრივ ის ზუსტად ისეთივეა, როგორიც, ჯავახეთში მდე-

---

[44] МАК, XII, стр. 41.

[45] იქვე.

[46] მ. ბროსე ამის შემდეგ უმატებს — „დროსა“ (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 171).

ბარე. ფოკას ეკლესიის ბაგრატ IV დროინდელი წარწერა (შესაძლებელია ერთი ხელოსნის მიერაც იყოს ეს ორი წარწერა გაკეთებული).

როგორც წარწერა გვამცნობს, XI საუკუნეში კუმურდოს ეკლესიისათვის სამხრეთ-დასავლეთიდან ახალი მინაშენი გაუკეთებიათ.

ე. თაყაიშვილის აზრით, ეს ზოსიმე კუმურდოელი უნდა იყოს იერუსალიმის ჯვარის მონასტრის XI ს-ის ხელნაწერში მოხსენებული ზოსიმე კუმურდოელი[47].

## XIV წარწერა

წარწერა მოთავსებულია ეკლესიის დასავლეთის კარის თავზე, ერთ მთლიან ქვაზე. წარწერიანი ქვის ცენტრში გამოსახულია ჯვარი ინიციალებით: Ⴈ͞Ⴑ Ⴕ͞Ⴄ — „ჯუარი ქრისტესი". ჯვრის ორივე მხარეს გაკეთებულია ოთხსტრიქონიანი წარწერა (ტაბ. III).

წარწერა ასე იკითხება:

+. Ⴈ͞Ⴑ Ⴕ͞Ⴄ : ႣႨႡ : ႠႷ͞Ⴅ : ႭႰႧ͞ႥႤ : Ⴘ͞Ⴌ ႺႾႭႰႤႡႠႱႠ
ႫႤႭႰႤႣ : ႠႶႫႸႬႤႡႤ : Ⴎ͞ႲႰႬႨ : ႤႪႨႱႡႠႪ : Ⴃ͞ႣႠ Ⴋ͞ႧႨ
ႵႰႨႱႲႨႬႠ : ႫႤႺႾႤႣႰႤ : ႫႧႨ : ႫႠႰႨႾ : ႻႤႬႨ : ႫႧႬႨ :
ႣႠ : ႠႱႪႬႨ : Ⴋ͞ႧႬႨ : Ⴀ͞Ⴌ

ქარაგმების გახსნით:

ქ. იესუ ქრისტე, დიდებულ ჰყავ ორთავე შინა ცხორებასა მეორედ აღმშენებელი, პატრონი ელისბალ, დედა მათი ქრისტინა, მეშცხედრე მათი მარიხ, ძენი მათნი და ასულნი მათნი, ამინ.

ამავე ქვის მარჯვენა ნაპირზე მოთავსებულია სამსტრიქონიანი ვერტიკალური წარწერა:

ႦႱႫႤ : ႩႫႰႣ
ႭႤႡႱႠ : Ⴘ͞Ⴌ
Ⴖ͞Ⴌ ႠႬ

ქარაგმების გახსნით:

ზოსიმე კუმურდოელსა შეუნდუენ ღმერთმან, ამინ.

ამავე ქვის მარცხენა ნაპირზე მოთავსებულია ერთსტრიქონიანი ვერტიკალური წარწერა:

Ⴖ͞Ⴌ ႱႦႩႱႠ ႫႵႦႱ ႸႬႱ

---

[47] MAK, XII, стр. 41.

ქარაგმების გახსნით:

ღმერთმან გალატოზსა მიქელს შეუნდოს.

როგორც ზემოთ დავინახეთ, სამხრეთის მინაშენის წარწერაში ბაგრატ IV დედასთან ერთად მოხსენებულია ზოსიმე კუმურდოელი. ამის გამო აკად. მ. ბროსე XI საუკუნისად მიიჩნევდა ამ დასავლეთის კარის თავზე მოთავსებულ წარწერასაც[48].

ე. თაყაიშვილმა უარყო ეს მოსაზრება. მისი თქმით სულ სხვადასხვა დროისაა ეს წარწერები. ულამაზო და არათანასწორი ასოებითაა შესრულებული დასავლეთი კარისთავის წარწერა, მაშინ, როცა სამხრეთის მინაშენის წარწერა გაკეთებულია ლამაზად გამოყვანილი, მსხვილი რელიეფური ასოებით. ამასთანავე, მართალია, ერთი ზოსიმე კუმურდოელი ცხოვრობდა XI ს-ში, მაგრამ ცნობილია მეორე ზოსიმე კუმურდოელიც, რომელიც XVI ს-ის დამდეგს ცხოვრობდა[49]. და აი ეს „მეორე" ზოსიმე კუმურდოელი მიაჩნია ე. თაყაიშვილს ეკლესიის დასავლეთი კარისთავის წარწერაში მოხსენებულ ზოსიმე კუმურდოელად. პატრონი ელისბალის შესახებ კი ამბობს: საფიქრებელია იგი იყოს ერთ-ერთი ათაბაგთაგანი, ზოსიმე კუმურდოელის თანამედროვე. ამრიგად, ე. თაყაიშვილს XVI საუკუნის დამდეგისად მიაჩნია ეკლესიის დასავლეთი კარისთავის წარწერა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამავე ზოსიმედ მიიჩნევს ე. თაყაიშვილი X წარწერაში მოხსენებულ ზოსიმე კუმურდოელს.

სწორია ე. თაყაიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ წარწერა პალეოგრაფიულად XI საუკუნისა არ არის, რადგან ამგვარი მოყვანილობის ა მხოლოდ XIII ს-დან შეიმჩნევა ეპიგრაფიკაში. სწორია ისიც, რომ ერთი ზოსიმე კუმურდოელი ცხოვრობდა XVI საუკუნის დამდეგს[50], დაბოლოს სწორია ამის მიხედვით გამოთქმული მოსაზრებაც წარწერის ხნოვანობის შესახებ.

ჩვენს წარწერაში მოხსენებულ პირებს სხვა წერილობითი წყაროებიც იხსენიებენ. აკად. ნ. მარის მიერ გამოცემული იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტრის აღაპების მე-17 პარაგრაფში ვკითხულობთ:

„მოვიდა ნაუასძე ზოსიმე კუმურდოელი, მოიტანა საქონელი მისიცა და პატრონის მისისცა, ქეთაონ ყოფილისაჲ ქრისტინესი და გულქანისი. მას ჟამსა ფრანგთა გოლგოთაჲ წაგუართუჱს და ჩ῀ნ

---

[48] მ. ბ რ ო ს ე, დასახ. ნაშრ., გვ. 172.

[49] МАК, XII, стр. 42—43.

[50] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 1897, გვ. 345.

დაიქსნა, ოთხასი ფლური გამოიღო, დიდი საქმე ქ῀ნა და ერთი კანდელი გოლგოთს და ერთი ჯუარს დაუკიდეთ სამუდამო. ვინ მოშალოს ῀ღ ნ მისი ს῀ლი მოშალოს სასუფევლისგან. პატრონ῀ა ქრისტინეს შეუნდოს ღმერთმან. მისთაჲ შვილთა იოთამს და გ῀ლქს ზნს ღ῀ნ. ზოსიმე კუმურდოელსაჲ და მისთა მიცვალებულთა ყოველთაჲვე შეუნდოს ღმერთმან...“[51].

როგორც მოტანილი ალაპიდან ჩანს, ჩვენს წარწერაში მოხსენებულ ქრისტინას ერობაში ქეთეონი (ქეთაონ) რქმევია; მას ჰყოლია კიდევ ორი შვილი: იოთამი და გულქანი. აქედანვე ვგებულობთ, რომ ზოსიმე კუმურდოელი ნაუას ძე ყოფილა.

კიდევ უფრო მეტ ცნობებს იძლევა ჩვენს წარწერაში მოხსენებულ პირთა ვინაობის შესახებ 1954 წელს ქ. შარაშიძის მიერ გამოქვეყნებული „საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIIIსს)[52]. როგორც ამ მასალებისადმი წამძღვარებულ გამოკვლევაშია ნათქვამი: ქეთეონ—ყოფილი ქრისტინეს მშობლები არიან გიორგი მეფეთამეფე და თამარ ყვარყვარეს (1416—1498) ასული ჯაყელი; მისი ქმარია ვახუშტ ყოფილი ვასილიოსი, რომელიც 1505—1515 წლებს შუა გარდაიცვალა; ზემოხსენებულ სამი შვილის გარდა, ქრისტინეს ერთი შვილი კიდევ სხვა ჰყოლია—ამუან. ცნობილია ქრისტინეს გარდაცვალების დროც—1514 წლის ბოლო, ან და 1515 წლის პირველი ნახევარი[53]. ეს თარიღი ჩვენი წარწერის გაკეთების უგვიანესი თარიღიც იქნება, რადგან წარწერაში ქრისტინე ცოცხლადაა მოხსენებული. წარწერის გაკეთებისას, როგორც ჩანს, ვახუშტი გარდაცვლილია და ამიტომაა, რომ იგი არაა წარწერაში მოხსენებული, მაშინ, როცა მისი ცოლი ქრისტინე იხსენიება (პატრონად მოხსენებულია მისი ძე ელისბალი); ამის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ წარწერის გაკეთების უადრესი თარიღი 1505 წელია, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1505 წელს ის ცოცხალი ჩანს.

ამრიგად, კუმურდოს „მეორედ აღშენება“ 1505—1515 წლებს შუა მომხდარა. ამიტომაც სწორი იყო ე. თაყაიშვილის მოსაზრება, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ წარწერა XVI ს-ის დამდეგით თარიღდება.

---

[51] ალაპნი ჯუარის მონასტრისანი, ს.—პეტერბურგი, 1914, გვ. 4.

[52] ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 258—288.

[53] იქვე. გვ. 205—216.

ე. თაყაიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ შესაძლებელია წარწერაში მოხსენებული „პატრონი ელისბალი“ ერთ-ერთი ათაბაგთაგანი იყოს, არ ჩანს მართებული, რადგან ელისბალის დედა ქრისტინა, როგორც უკვე ითქვა, ათაბაგთა დისწულია და ამიტომაც არ შეიძლებოდა მისი ჯაყელზე გათხოვება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კუმურდოს წარწერაში მოხსენებული ელისბალი შალიკაშვილია. ამაზე მიუთითებს ხელნაწერთა ინსტიტუტის Ad ფონდში დაცული ერთი საბუთი—№ 91, რომელიც XVI საუკუნისაა და სადაც, სამცხის სხვა დიდებულებთან ერთად, მოხსენებულნი არიან ელისბალ და იოთამ შალიკაშვილები[54].

## ფიის წარწერა

ასპინძის რაიონში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ასპინძიდან 22-ოდე კილომეტრის მანძილზე, სამხრეთით, მდებარეობს ნასოფლარი ფია.

ნასოფლარში დღემდის მოიპოვება ორი პატარა ძველი ეკლესია. ზედა ეკლესიის ეზოში ძევს ქვის ოთხწახნაგა სვეტი, რომელიც ზემოდან ქვემოთ თანდათანობით ვიწროვდება. სვეტის სიმაღლე უდრის 1,15 მ., სისქე და სიგანე ზემო მხარეს 0.50 მ., ქვედა მხარეს—0,40 მ., სვეტის ზედა მხარე 0,12 მ-ის სიმაღლეზე ოდნავ გაწეულია ოთხსავე მხარეს, ასე რომ სვეტს ერთგვარად „თავი“ აქვს გაკეთებული[55]. სვეტი ტრაპეზი უნდა იყოს.

სვეტის წინა მხარეს ამოკვეთილია ექვსსტრიქონიანი, ასომთავრული წარწერა. პირველი სტრიქონი მოთავსებულია სვეტის თავზე, ხოლო დანარჩენი—ტანზე; უკანასკნელი სტრიქონი შედგება სამი ასოსაგან, რომლებიც ქრონიკონს წარმოადგენენ.

წარწერაში რამდენიმე სიტყვა შემოკლებით არის დაწერილი, მაგრამ ქარაგმები არ ჩანს, არც განკვეთილობის ნიშნებია, შეიძლება თავიდანვე არა ჰქონდა, ან შემდეგ გადაილია.

წარწერის ასოები საერთოდ მრგვლოვანია, მაგრამ ერთგვარი მიდრეკილებაა კუთხოვანი მოყვანილობისაკენ. ამ მხრივ განსაკუთ-

---

[54] ეს საბუთი უკანასკნელად გამოსცა ს. კაკაბაძემ (იხ. კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, 1920, გვ. 7—11).

[55] ფიის წარწერა ორჯერ არის გამოცემული, პირველად ჩვენს მიერ (იხ. „წარწერები ასპინძის რაიონიდან“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 167), მეორედ—გ. გაფრინდაშვილის მიერ (იხ. მისი „995 წ. ხუროთმოძღვრების ძეგლი ნასოფლარ ფიაში“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVII, № 8, 1956, გვ. 763).

რებით ყურადღებას იქცევს ასო ლ, რომელიც წარწერაში ორჯერ არის ნახმარი (1 და მე-4 სტრ.), პირველად იგი მრგვლოვანი სახისაა და დიდი, მეორედ კი—ნუსხური და პატარა.

წარწერა ასე იკითხება:



ქარაგმების გახსნით:

სახელითა ღმრთისაჲთა, მე, ჩქარმან და ძმათა ჩემთა დავდგით ესე ეკლესიაჲ. ქრონიკონი იყო ს ი ე.

პალეოგრაფიულად შეუძლებელია წარწერის ქრონიკონი (სიე=215) XIV მოქცევას მივაკუთვნოთ, როგორც ჩანს აქ XIII მოქცევა იგულისხმება. ამიტომ ცხადია, რომ ეკლესიის აშენების თარიღი 995 წელია (780+215=995).

ძნელია ამჟამად იმისი თქმა, თუ როგორ გაიხსნეს შემოკლებით დაწერილი სახელი ეკლესიის ამშენებლისა ჩქრმნ, სადაც ორი უკანასკნელი ასო (მნ) უეჭველად მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია (=მან). სახელის ფუძე ჩქრ შეიძლება ასე წავიკითხოთ: ჩქარ (ან ეგების ჩაქურ, ჩექურ?), მთლიანად, მაშასადამე, ჩქარმან (ან: ჩექურმან, ჩაქურმან?). ჩქარის სასარგებლოდ ის ლაპარაკობს, რომ ამ სახელისაგან ნაწარმოებია გვარი ჩქარეული.

სამწუხაროდ, სხვა ისტორიული წყაროებიდან ეს ჩქარი არაა ცნობილი. წარწერა, როგორც ვხედავთ, საამშენებლოა, ოღონდ ტერ-

მინი „აღშენების“ მაგივრად იხმარება „დადგმა“ და საამშენებლო წარწერაც მოთავსებულია უჩვეულო ადგილას: ტრაპეზის ქვაზე. მსგავსი მაგალითი ადრინდელ ხანაში ჩვენ არ გვეგულება.

## ბურნაშეთის წარწერები

სოფელი ბურნაშეთი მდებარეობს ახალქალაქიდან 20-ოდე კილომეტრის მანძილზე, ჩრდილოეთით. სოფელში დგას ერთი ძველი ეკლესია, ორი ასომთავრული წარწერით.

ბურნაშეთის წარწერები პირველად მ. ბროსემ გამოაქვეყნა[56], მეორედ—ივ. როსტომაშვილმა[57], ხოლო მესამედ, ერთი წარწერა დაბეჭდა ნ. ბერძენიშვილმა[58].

### I წარწერა

ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის სარკმლის თავზე მოთავსებულია რელიეფური ქანდაკება, რომელიც გამოხატავს დანიელს ლომების ხაროში. ქანდაკების თავში, იმავე ქვაზე მოთავსებულია ხუთსტრიქონიანი წარწერა. როგორც ქანდაკება, ისე წარწერა საგანგებოდ ყოფილა განკუთვნილი ამ ადგილისათვის, რადგან ერთი მთლიანი ქვა, რომელზედაც ისინი ამოკვეთილია, ბუნებრივად აგვირგვინებს სარკმელს. მის ქვედა ნაწილში ამოკვეთილია სარკმლის თაღი, რომელსაც გადავლებული აქვს ტოტებიანი წარბი. წარბი შედგება რელიეფური, ბრტყელი ჩარჩოსაგან, რომელშიაც ზის ვიწრო, გრძელი ჩალიჩი. აღნიშნულ წარბზე დგას დანიელი მთელი ტანით, პირდაპირ, ორანტის პოზაში, აპყრობილი ხელებით. დანიელის მარჯვნივ და მარცხნივ გამოხატულია თითო ლომი, ვერტიკალურად დაყენებული. ლომები დანიელს ხელებს ულოკავენ. როგორც იკონოგრაფიის, ასევე სტილის ნიშნებით რელიეფი, ხელოვნებათმცოდნე ალ. ჯავახიშვილის აზრით, X ს. უნდა იყოს.

წარწერის სტრიქონები თანასწორი მანძილითაა დაშორებული ერთმანეთისაგან. ისინი სწორხაზოვანია, მაგრამ არა ჰორიზონტალუ-

---

[56] Mélanges asiatique tirés du bulletin historico-philologique del'-Académie Impériale des sciences, t. II, 3me livr St. Pétersbourg, 1854, გვ. 341.

[57] ივ. როსტომაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 41—42.

[58] ნ. ბერძენიშვილი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, 1956, გვ. 122.

რი. მარცხენა დასაწყის ნაწილთან შედარებით წარწერის ბოლო ნაწილი თანდათანობით მაღლაა აწეული, რაც ქვის მოყვანილობითა და ადგილის სიმცირით არის გამოწვეული. როგორცა ჩანს, განკვეთილობის ნიშნები არაა ნახმარი (ტაბ. IV).

წარწერა ასე იკითხება:

ႭჃ῀Ⴊ Ⴅ῀Ⴀ ႨႵႱႤႬ ႣႠႬႨႤႪ ႮႨႰႨ
ႱႢႠႬ ႪႭႫႧႠႨႱႠ ႤႢႰႤ
ႨႵႱႤႬ ႠႫႨႱ Ⴜ῀ႨႱ ႤႩႪႤႱႨႨ
ႱႠ ႫႠႸႤႬႤႡႤႪႬႨ ႴႤႪႧႠႢႠႬ
ႿႿႾႤႧႨႱႠႧႠ

ქარაგმების გახსნით:

უფალი, ვითარცა იქსენ დანიელ პირისგან ლომთაისა, ეგრე იქსენ ამის წმიდისა ეკლესიისა მაშენებელნი ქელთაგან[ნ] ჯოჯოხეთისათა.

როგორც დავინახეთ წარწერა უთარიღოა და არც შინაარსის მიხედვით შეიძლება მისი თარიღის შესახებ რისიმე თქმა. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერა X საუკუნის უნდა იყოს.

## II წარწერა

მეორე, ექვსსტრიქონიანი წარწერა შიგნით ეკლესიაშია მოთავსებული. ეს წარწერა პირველთან შედარებით მდარე ხელით არის შესრულებული, ასოები არათანასწორი სიდიდისაა. წარწერის დასაწყისში დასმულია პატარა ჯვარი; შემოკლებით დაწერილ სიტყვებს ქარაგმის ნიშანი ყველგან არ ემჩნევა; ასევე აღარა ჩანს განკვეთილობის ნიშნები.

წარწერა ასე იკითხება:

✝ ႱႾ῀ႪႧႠ ႶႱႧႠ Ⴃ
Ⴀ ႸႭႫႣႢႭႫႪႧႠ ႼႫ ႨႱ
ႠႧ ႢႨႭႰႢႨႱႧႠ ႣႠ . . . ႨႼ
Ⴄ ႫႤ ႢႨႭႰႢႨႫႠႬ ႧႵ
ႡႭႰႬႠႸႤႪႧႠ ႫႶႣႪႧႠ ႫႭႢႤ
ႷႠႬႠ ႧႵႤ . . . ႰႭႠႬႱ

ქარაგმების გახსნით:

სახელითა ღმრთისაჲთა და შუამდგომლობითა წმიდისა გიორგისითა დაგიწერე მე... გიორგიმან[?] თქუენ ბურნაშელთა მღდელთა, მოგეც ყანაჲ თქეროანს, ჩემგან ნასყიდი.

ეს წარწერაც პირველი წარწერის მსგავსად უთარიღოა და შინაარსის მიხედვითაც არა ჩანს როდინდელია. პალეოგრაფიულადაც ძნელია წარწერის თარიღის შესახებ რისიმე თქმა, რადგან ძალიან დაუდევრადაა ამოჭრილი. მხოლოდ ერთი ასო—ა იქცევს ყურადღებას თავისი არაჩვეულებრივი მოყვანილობით: აღმაა შებრუნებული, ნალისებურია და ზედა განივი ხაზი ტანს არ ეხება. ამგვარი ა, როგორც ამას ქვემოთ, განძანის წარწერების განხილვისას აღვნიშნავთ, (იხ. აქვე, გვ. 100), მხოლოდ XIII საუკუნიდან შეიმჩნევა ქვაზე გაკეთებულ წარწერებში. ამის მიხედვით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, ბურნაშეთის წარწერა XIII ს-ზე ადრინდელი არაა.

პროფ. ნ. ბერძენიშვილის აზრით წარწერა „იმითაა განსაკუთრებით საინტერესო, რომ ტერმინი „დაგიწერეს“ გვერდით აქ იხმარება ტერმინი „მოგეც“ იმავე შინაარსით“[59].

როგორც წარწერის შინაარსიდანა ჩანს, ვინმე გიორგი (თუ გრიგოლი) ბურნაშეთის მღვდელთ აძლევს ნასყიდ ყანას. უნდა ვიფიქროთ, რომ ესაა ჩვეულებრივი შეწირულების საბუთი, რომლითაც გიორგი ყანას სწირავს ბურნაშეთის ეკლესიას, მაგრამ კი არ წერს რომ ეკლესიას შევწირეო, არამედ: მღვდელთ (როგორც ეკლესიის ქონების გამგებელთა) მოგეციო. ამდენად ეს თავისებური შეწირულების საბუთია და საყურადღებოა დიპლომატიკის თვალსაზრისით. აქაც, ისევე, როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, შემწირველი არჩევს ნასყიდი მიწის, როგორც „მიუდევარის“ შეწირვას.

თქეროანი, როგორც ჩანს, გეოგრაფიული სახელია—ალბათ სოფელი. დღეს ასეთი პუნქტი არ არსებობს, ის არც ისტორიულ წყაროებშია მოხსენებული.

სიტყვა ყანა ისტორიულ წყაროებში აღნიშნავს სახნავი მიწის ნაკვეთს[60].

## ყაურმის წარწერები

სოფელ ყაურმაში (მდებარეობს ახალქალაქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 10-ოდე კილომეტრის მანძილზე, ტბა ფარავნის დასავლეთით) დგას ერთი პატარა ეკლესია, რომელსაც აქვს 3

---

[59] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, 1956, გვ. 122.

[60] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა—მეტროლოგია, 1925, გვ. 137.

ასომთავრული წარწერა. წარწერები ორჯერ არის გამოცემული: ივ. როსტომაშვილის[61] და ე. თაყაიშვილის მიერ[62].

I ხუთსტრიქონიანი წარწერა მოთავსებულია დასავლეთი სარკმლის ორივე მხარეს; ივ. როსტომაშვილმა გადმოხატა ეს წარწერა და წაკითხვაც სცადა, მაგრამ ვერ წაიკითხა, რადგან ვერტიკალურად კითხულობდა, ე. ი. ჯერ მარცხენა მხარეს მთლიანად და შემდეგ მარჯვენას; წარწერა კი ჰორიზონტალურად უნდა წაკითხულიყო.

წარწერა ასე იკითხება:

| | |
|---|---|
| Ⴕ⁻Ⴄ Ⴋ | ႼႷႤ |
| Ⴄ⁻ႵႬ | ႨႭ⁻Ⴌ |
| ႬႤႱ | Ⴃ⁻ႶႱ |
| Ⴋ⁻Ⴑ ႸႨ | ႪႧ |
| ႠႬ | Ⴀ |

ქრისტე. მოწყალე ექმენ იოვანეს, დღესა მას, შვილთა. ამინ.

II წარწერა მოთავსებულია იმავე დასავლეთის კედელზე, პირველი წარწერის ზემოდან, კარნიზზე მოთავსებული ჯვარის ორივე მხარეს:

Ⴕ⁻Ⴄ Ⴀ⁻ႣႤ Ⴍ⁻ႵႮႤ Ⴕ⁻Ⴉ

ქრისტე, ადიდე ოქროპირი, ქართლისა კათალიკოზი[63].

III ყველაზე დიდი წარწერა მოთავსებულია სამხრეთის კარის თავზე, ამოკვეთილი ჯვრის ორივე მხარეს:

| | |
|---|---|
| Ⴕ⁻Ⴄ Ⴀ⁻ႣႣႤ | Ⴕ⁻Ⴄ ႠႣႣ ႫႪႵႩ |
| Ⴂ⁻Ⴄ ႫႴႤ | ႵႠႧႪႱႠ ႩႧႪႩႦႤ |
| ႣႠ ႸႬႬႤ | ႣႠ ႸႤႼႤ |
| ႫႧႬႤ | ႣႶႤႱႠ ႫႱ |
| | ႠႬ |

ქრისტე, ადიდე გიორგი მეფე და შვილნი მათნი. ქრისტე, ადიდე მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი და შეეწიე დღესა მას. ამინ.

ე. თაყაიშვილის აზრით წარწერაში მოხსენებული მეფე გიორგი არის გიორგი I, რომლის დროსაც ცხოვრობდა კათალიკოსი მელქისედეკი. მეორე წარწერაში მოხსენებული ოქროპირი კი ე. თაყაიშვილს მიაჩნია ბაგრატ IV დროს მყოფ კათალიკოსად, რომელმაც შეცვალა მელქისედეკი. ე. თაყაიშვილის აზრით, ყაურმის ეკლესიის

---

[61] ივ. როსტომაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 71—72.

[62] МАК. XII. стр. 33.

[63] ივ. როსტომაშვილი უკანასკნელ ორ სიტყვას კითხულობს—„ქათალიკოზი" ე. თაყაიშვილი—„კათალიკოსი".

მშენებლობა დაიწყო მელქისედეკ კათალიკოსის დროს და დამთავრ. და ოქროპირის დროს[64] .

ე. თაყაიშვილის მოსაზრება მელქისედეკისა და ოქროპირის შესახებ მართებული ჩანს. ეს მესამე წარწერა, მართლაც საამშენებლო უნდა იყოს, მაგრამ დამახასიათებელია, რომ წარწერაში არაა ეს ნათქვამი. უბრალოდ, აშენებელი მოიხსენებს მეფესა და თავის თავს და შესთხოვს ქრისტეს შეწევნას (ცხადია რაღაც დამსახურებისათვის). ესაა თავისებური საამშენებლო წარწერა.

თუ კი ეკლესიის მშენებლობა მართლაც ოქროპირის დროს დამთავრდა (რაც სრულიად არაა სავალდებულო ვიგულისხმოთ, ოქროპირს შეეძლო სხვა დამსახურებისთვის მოეხსენებინა ეკლესიის წარწერაში თავისი თავი), მაშინ გამოდის, რომ ყაურმის ეკლესიის მშენებლობა სულ ცოტა სამი წელიწადი მაინც გრძელდებოდა, რადგან წარწერაში მოხსენებული მეფე გიორგი I 1027 წელს გარდაიცვალა, ხოლო ოქროპირი კათალიკოსად 1030 წელზე ადრე არ შეიძლებოდა ყოფილიყო, ვინაიდან ამ წელს კათალიკოსად ჯერ ისევ მელქისედეკი იყო[65]. სამი წელიწადი კი, ვფიქრობთ, დიდი დროა ისეთი პატარა ნაგებობის ასაშენებლად, როგორიცაა ყაურმის ეკლესია. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეკლესიის მშენებლობა მელქისედეკის დროსვე დამთავრდა და ოქროპირის წარწერა შემდეგაა გაკეთებული.

ქართლის კათალიკოსის მიერ ყაურმაში ტაძრის აშენება იმას მოწმობს, რომ ეს ადგილი მცხეთის ეკლესიის მამული ყოფილა.

## ფოკას წარწერები

სოფ. ფოკაში (მდებარეობს ფარავნის ტბის სამხრეთ ნაპირზე) დგას ერთი, ნახევრად დანგრეული ეკლესია, რომელსაც აქვს რამდენიმე ასომთავრული წარწერა. ამ წარწერების ნაწილი (ჩვენი ნუმერაციით: 1, 4, 5 და 9) გამოქვეყნებული აქვს აკად. მ. ბროსეს[66], შემდეგ ყველა წარწერა გამოსცა ივ. როსტომაშვილმა[67] და ბოლოს სხვა საკითხთან დაკავშირებით სამი წარწერა (1, 2, 3) გამოაქვეყნა პროფ. ნ. ბერძენიშვილმა[68].

---

[64] МАК, XII, стр. 33.

[65] ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VI. 1931, გვ. 254.

[66] Mélanges asiatiques... t. II, 2 me livraison, St. Pb. 1854, გვ. 158, 159.

[67] ივ. როსტომაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

[68] ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VI, 1931, გვ. 258.

1) პირველი წარწერა მოთავსებულია სამხრეთის კარის თავზე, მშვენივრად მოჩუქურთმებული ჯვრის მარჯვნივ. რელიეფური ცხრასტრიქონიანი წარწერა ამოკვეთილია იმგვარად, რომ სტრიქონებს შორის დატოვებულია პარალელური, ვიწრო, რელიეფური ზოლები. ქარაგმის ნიშნები ამ სტრიქონებს შორის დატოვებულ ზოლებზეა გაკეთებული. განკვეთილობის ნიშნები არ ეტყობა. წარწერა მრგვალი და ძალიან ლამაზად მოყვანილი ასოებითაა შესრულებული, ძალიან კარგადაა შენახული და ყოველი ასო გარკვევით იკითხება:

Ⴕ´Ⴄ Ⴛ´Ⴍ
ႣႠ ႱႲ´ႷႭ Ⴈ
ႶႱ´Ⴍ ႠႣ´Ⴄ Ⴢ
ႭႥ´ႬႤ ႭႵႰ
ႭႮ´ႰႨ ႵႰ´ႧႪ
ႱႠ ႩႧႠႪႩႪ
Ⴈ ႭႰႧႠႥ
Ⴄ Ⴘ´ႬႠ Ⴚ´ႥႰ
ႤႡႧႠ Ⴀ͜Ⴌ

ქრისტეო, ძეო და სიტყუაო ღმრთისაო ადიდე ჲოვანე ოქროპირი ქართლისა კათალიკოზი ორთავე შინა ცხოვრებათა. ამინ.

2) პირველი წარწერის მსგავსი ასოებით შესრულებული სამსტრიქონიანი წარწერა მოთავსებულია იმავე ჯვრის მარცხნივ. პირველი წარწერის პირდაპირ. ეს წარწერაც კარგადაა შენახული.

Ⴕ´Ⴄ ႠႣ´ႣႤ Ⴁ´Ⴂ
ႰႠႲ ႩႭ´ႰႮႪ
ႲႨ

ქრისტე ადიდე ბაგრატ კურაპალატი.

3) წარწერა მოთავსებულია იქვე, კარის მარცხნივ, კედელზე. ეს წარწერა რკინის იარაღის ცემით განგებ გაუფუჭებია ვიღაცას, რის შედეგადაც ზოგიერთი ასო აღარ ეტყობა. მოგვყავს პროფ. ნ. ბერძენიშვილის წაკითხვის მიხედვით:

[სახ] თა ღთა მე ბვ
[რ] ელი ღრს, ვიქმნ შებ·
[სა] წჲსა ამს ეკსა საფძლი
[დაიდვ]ა მე თნა დავშრ კ
ქკ´ზისა.

სახელითა ღმრთისაითა, მე, ბევრელი[69] ღირს ვიქმენ შენებასა წმიდასა ამის ეკლესიისა. საფუძველი დაიდვა, მე თანა დავშუერ. კელოსანი ვიყავ ოქროპირისა ქართლისა კათალიკოზისა[70].

იქვე კედელზე ერთსტრიქონიანი წარწერები:

4) Ⴕ̃Ⴄ Ⴘ̃Ⴄ ႫႿႤႥႠႰႨ—ქრისტე, შეიწყალე მჷევარი.

5) ႵႤ Ⴘ̃Ⴄ ႢႠႨႠ —ქრისტე, შეიწყალე გაია[71].

6) Ⴕ̃Ⴄ Ⴘ̃Ⴄ Ⴋ..., Ⴟ—ႪႨ—ქრისტე შეიწყალე...

7) Ⴕ̃Ⴄ Ⴘ̃Ⴄ ႾႪႨ—ქრისტე, შეიწყალე ხელი.

8) Ⴕ̃Ⴄ ႠႣ̃ႣႤ ႫႵႪ ႵႠႱႠႪႰႨ—ქრისტე, ადიდე მიქელ ქართლისა სპასალარი (?). უკანასკნელი სიტყვა ი. როსტომაშვილსა აქვს ასე გაშიფრული, რაც ჩვენ საეჭვოთ გვეჩვენება.

9) Ⴕ̃Ⴄ Ⴘ̃Ⴄ ႢႡႰ--- ႣႠ ႤႪႨႱႡႤႣ—ქრისტე, შეიწყალე გაბრიელ და ელისაბედ.

როგორც წარწერების წინა გამომცემლებიც აღნიშნავდნენ, ფოკას ეკლესია აშენებულია კათალიკოს ოქროპირის მიერ ბაგრატ IV დროს. პროფ. ნ. ბერძენიშვილმა კიდევ უფრო დააზუსტა ეს დრო,— 1031—1053 წლებით. როგორც პროფ. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, ფოკას წარწერებში მოხსენებულ ქართლის კათალიკოსს ორი სახელი აქვს: იოანე და ოქროპირი და ის ხშირად მხოლოდ ოქროპირად იწოდებოდა[72].

იოანე-ოქროპირის მიერ ფოკაში ეკლესიის აშენება იმისი მაჩვენებელია, რომ ეს ადგილი მცხეთის ეკლესიის მამული ყოფილა. ამას ადასტურებს ერთი გვიანდელი საბუთიც, სადაც სოფ. ფოკა შეტანილია მცხეთის საეკლესიო მამულების სიაში[73].

## ზედა ვარძიის წარწერა

ასპინძის რაიონში, ვარძიის მონასტრის ცოტა ზემოთ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ნასოფლარ ზედა ვარძიაში დგას ამავე სახელწოდების ეკლესია, რომელსაც ერთადერთი შესავალი კარის თავზე მოთავსებული აქვს წარწერა.

---

[69] ივ. როსტომაშვილი, „ႢႡ„ბაგრატ" (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ 111).

[70] ივ. როსტომაშვილი, „კათალიკოზისა" (იქვე).

[71] მ. ბროსე და ივ. როსტომაშვილი—„გაია".

[72] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 258.

[73] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 1897, გვ. 196.

ზედა ვარძიის ეს წარწერა სამჯერ არის გამოქვეყნებული: აკად. მ. ბროსეს[74], კალისტრატეს[75], და თ. ჟორდანიას მიერ[76].

წარწერა განაწილებულია ორ სვეტად, დიდი რელიეფური წნული ჯვარის მარჯვნივა და მარცხნივ. თითოეულ სვეტში 4 სტრიქონია, ცალკე სტრიქონად თუ არ ჩავთვლით ორ ასოს, რომელიც პირველი სვეტის უკანასკნელ სიტყვას ეკუთვნის და ქვემოთ არის ჩამოტანილი. წარწერა შესრულებულია სუფთად ამოკვეთილი ასომთავრულით. ასოთა სიმაღლე მეტნაკლებად მერყეობს. პირველ სვეტში ასოები მიჯრით, მჭიდროდ არის ამოკვეთილი, მეორე სვეტში კი უფრო შორიშორსაა და თავისუფლად.

წარწერა იწყება დიდი ქანწილით, რომელიც თითქმის მეორე სტრიქონის ასოთა შუამდეა ჩამოსული. როგორც ზოგიერთი ასო, ისე ქარაგმები შემკულია სამკაულით. პირველი სვეტი უფრო გულდასმით არის ამოკვეთილი და უხვად შემკული. ყოველი ასოს ტანი შესრულებულია კუთხურად ჩაჭრილი, სწორი და სუფთა ხაზებით; მათი ბოლოები ცერად კვეთილი, წვეტიანი სამკაულით მთავრდება; ამრიგად ასოები ძირითადად ტყუპწვეტიანია. სამკაული ორგვარია: უშუალოდ შერწყმული ასოთა ამა თუ იმ ნაწილთან, უმთავრესად კიდურებზე და დამოუკიდებელი, დამატებული. დამატებული სამკაული გააჩნია წარწერის პირველი სიტყვის ორ „დ"-ს: თითოეულ მათგანს ქვემოდან მუცელზე შებმული აქვს წყვილი სტილიზებული ფოთოლი, რომელთაგან პირველი აშკარად გამოხატული მცენარეული სახისაა, ხოლო მეორე თითოჯერ ჩახვეულ წყვილ „ულვაშს" წარმოადგენს.

ასევე თითო ხვეულით მთავრდება ზოგი სხვა ასოების გასწვრივი კიდურები და ქარაგმები; მაგ.: ა, დ, თ, ი, მ, ნ, ო და პ. ქარაგმათაგან ზოგი მარტივად კიდურებჩახვეულია, ზოგს კი შუა წელზედაც აზის თითო, ან შეწყვილებული ხვეული.

წარწერის მეორე სვეტის ასოები ასეთივე ნიშნებით ხასიათდება, მხოლოდ მათ მეტი გამარტივება ემჩნევა, დამსხვილებული და ფართოდ განლაგებულია; ქარაგმების კიდურებზე ხვეულების ნაცვლად პატარა ასწვრივი წვეტები აზის.

ორ შემთხვევაში სიტყვას ასოები აკლია და არც ქარაგმა უზის: მს(4) მას, ალგშენა(7)—ალგიშენა. განკვეთილობის ნიშნები არ არის ნახმარი (ტაბ. V).

---

[74] M. Brosset, Rapp. 2-e l, გვ. 159.

[75] კალისტრატე, საისტორიო მასალა, „ივერია", 1891, № 239.

[76] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 200.

წარწერა ასე იკითხება:

+ ႣႣ~Ⴍ ႶႫႧႱႭ ႫႤ ႭႾ Ⴄ~ႷႥ ႤႰႱႧ
ႧႤ~Ⴐ ႤႤ~ႱႠ : ႪႨ~ႮႰႲႱ ႣႠႸ~ႥႪႧ ႫႨႱႧႠ
ႣႠ ႣႶႤႱႠ : ႫႠႱ ႱႠ ႸႨ~Ⴍ ႤႪႱ ႰႭႫႤ
ႪႫ~ႠႬ ႢႳ~ႪႱ ႫႭ ႣႢႨႬႤ ႡႨႧ Ⴀ~Ⴖ
ႠႸ

ქარაგმების გახსნით და დაკლებული ასოების აღდგენით:

ქ. დედაო ღმრთისაო, მეოხ ეყავ ერისთავთ-ერისთავსა ლიპარიტს[77] და შვილთა მისთა დღესა მას საშინელსა, რომელმან გულსმოდგინებით აღაშენა[78] წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ[79]. ამინ.

აკად. მ. ბროსე და კალისტრატე არაფერს ამბობენ წარწერის ხნოვანების შესახებ. თ. ჟორდანიას მოსაზრებით კი, ზედა ვარძიის წარწერაში მოხსენებული ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტი არის ბაგრატ IV დროინდელი კლდეკარის ერისთავი, რომელიც ბერად შედგომის შემდეგ ანტონად იწოდებოდა. თ. ჟორდანიას ეს მოსაზრება ჩვენ სწორად მიგვაჩნია, მაგრამ ავტორი ამ მოსაზრებას არ ასაბუთებს არც ერთი სიტყვით. რატომაა ეს ლიპარიტი კლდეკარის ერისთავი და ისიც ბაგრატ IV დროინდელი? კლდეკარის ერისთავებიდან ხომ 5 ლიპარიტია ცნობილი?[80]

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ზედა ვარძიის წარწერა XI—XII სს. მიგვაჩნია. ეკლესიის თარიღზე. მისი ხუროთმოძღვრული ფორმების მიხედვით ჯერჯერობით არაფერია თქმული სპეციალურ ლიტერატურაში, რომ ამის მიხედვით განგვესაზღვრა ძეგლის თანადროული წარწერის თარიღი. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ხელოვნებათმცოდნეების აზრით წარწერის შუაში წნული ორნამენტით განკეთებული ჯვარი და კარის თავის მრგვალბურთულებიანი ორნამენტი, რომელზედაც ეს ჯვარია დაყრდნობილი, ტიპიურია XI საუკუნისათვის[81].

წარწერა რომ XI საუკუნისაა და მასში მოხსენებული ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტი ბაგრატ IV დროინდელი კლდეკარის ერ-

---

[77] აკად. მ. ბროსე ამ ორ სიტყვას კითხულობს: „ევსტატეს აღპარსის“ (გვ. 159) კალისტრატე—„ერისთავსა ლიპარის“ (იხ. მისი დასახ. შრ.).

[78] თ. ჟორდანია კითხულობს—„აღგიშენა“ (იხ. მისი დას. შრომა, გვ. 200).

[79] თ. ჟორდანიას და კალისტრატეს, აქ და ზემოთაც, სიტყვის ბოლოში ასო-ჲ გამოტოვებული აქვთ.

[80] В. У. Копалиани, Клдекарское эриставство (автореферат), 1949, стр. 13.

[81] ასეთი თვალსაზრისი გამოთქვა კერძოდ ხელოვნებათმცოდნე ალ. ჯავახიშვილმა.

ისთავი ლიპარიტია. ამას წარწერის შინაარსიც გვაფიქრებინებს. წარწერაში მეფე არაა მოხსენებული, რაც იმისი მაჩვენებელია, რომ წარწერის ავტორი მეფესთან ცუდ დამოკიდებულებაშია და ფაქტიურად არ სცნობს მის უზენაესობას. ამასთან ცნობილია, რომ ბერძენთა დახმარების წყალობით გაძლიერებულმა კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტმა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში იბრძოდა ბაგრატ IV წინაალმდეგ, 1045 წლის ახლო ხანებში[82] მეფისაგან მიიღო ქართლის ერისთავობა[83]. მაგრამ მეამბოხე ქვეშევრდომი ამით არ დაკმაყოფილებულა და როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილსა აქვს გამორკვეული, 1051—1057 წლებში „ქართლი და მესხეთი ლიპარიტს სჭერია და ბაგრატს იქ ხელი არ მიუწვდებოდა"[84]. როგორც ჩანს, ზედა ვარძიაც ლიპარიტის ხელთ იყო და სწორედ ამ დროს ააგო მან ეკლესია და გაუკეთა მას წარწერა. ამრიგად ზედა ვარძიის წარწერა და მასთან ეკლესიაც 1051—1057 წლებით უნდა დავათარიღოთ.

საკითხს იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს საამშენებლო წარწერაში მეფის მოუხსენებლობა, შეეხო ა. ბაქრაძეც, თავის სადისერტაციო ნაშრომში. კერძოდ, საორბისის წარწერაში (1152 წ.) მეფის მოუხსენებლობა მან ჩათვალა იმის ნიშნად, რომ წარწერაში მოხსენებული კახა ერისთავი არ სცნობს მეფის უზენაეს ხელისუფლებას[85]. რა თქმა უნდა, მეფის მოუხსენებლობა წარწერაში ყოველთვის აღნიშნული მიზეზით არ აიხსნება. გვაქვს ზოგიერთი წარწერა, სადაც ასეთი მიზეზი არ არსებობს. ასეთია, მაგალითად, ქვემო ჯინისის წარწერა, მაგრამ ჩვეულებრივ, საამშენებლო წარწერათა დიდი ნაწილი, როგორც წესი, იხსენიებს ამ წარწერის ავტორის—ფეოდალის— უზენაეს პატრონს (ასეთია ჯავახეთში: ფოკას, ყაურმას, საროს, ბარალეთის, ახალქალაქის, ვანის ქვაბების, ყულარისის, ხორენიას და სხვა წარწერები). უზენაესი პატრონის—მეფის მოუხსენებლობა კი საამშენებლო წარწერებში ხშირად აიხსნება სწორედ აღნიშნული კონფლიქტით მეფესა და ფეოდალს შორის (განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა კლდეკარის ერისთავთა წარწერებში). ასეთივე წარწერაა, ჩვენის აზრით, ზედა ვარძიის წარწერა.

---

[82] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, 1948, 141.

[83] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება I, ს. ყაუხჩიშვილის გამ., 1955, გვ. 298.

[84] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, 1948. გვ. 146—147,

[85] ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული ეპიგრაფიკა, როგორც ისტორიული წყარო (სადისერტაციო ნაშრომი), 1954, გვ. 79.

## სათხის წარწერები

ახალქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 20-ოდე კილომეტრის მანძილზე მდებარე სათხის ეკლესიას რამდენიმე წარწერა აქვს (ეს წარწერები ჩვენ ადგილზე არ გვინახავს, მოგვყავს ივ. როსტომაშვილის გამოცემის მიხედვით)[86].

### I. აღმოსავლეთის კედელზე.

Ⴕ̃Ⴄ Ⴘ̃Ⴄ ႠႰ̃ႫႠ
Ⴕ̃Ⴄ Ⴘ̃Ⴄ Ⴞ̃Ⴐ ႻႤ

ქარაგმების გახსნით:

ქრისტე, შეიწყალე ირემაჲ. ქრისტე, შეიწყალე ხარაძე.

### II. დასავლეთის კედელზე:

Ⴕ̃Ⴄ Ⴘ̃Ⴄ ႢႠ
Ⴕ̃Ⴄ Ⴘ̃Ⴄ ႹႠ Ⴁ̃Ⴘ ႵႬႱ Ⴗ̃Ⴀ

ქარაგმების გახსნით:

ქრისტე, შეიწყალე გიორგაჲ. ქრისტე, შეიწყალე... ქრონიკონს 460.

ე. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ „გა“ წაკითხული უნდა იქნეს „გაიაჲ“, ხოლო „ბშ ქნს ყ “ – „ბეშქენის ყმა “[87].

ჩვენის აზრით ეს უკანასკნელი 3 სიტყვა მართლაც ასე იკითხება. ე. ი. წარწერა ასე უნდა წაიკითხოს: „ქრისტე, შეიწყალე გიორგაი (გაიაი), ქრისტე, შეიწყალე ჩა (ჩოგაჲ?...) ბეშქენის ყმაჲ“.

### III. სამხრეთის კედელზე:

ႣႧႬ ႨႬ ႴႻႱႬ ႤႨ ႣႸႬႣ ႤႱႤ
ႤႷႡႱႣ ႱႧႪႡႧ ႫႠႧႧႣ ႫႸႪႡႭ
ႫႭႧႱႫႺႡ
Ⴁ Ⴇ

[86] ივ. როსტომაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 104.
[87] იქვე, გვ. 105, შენიშვნა 1 და 2.

ქარაგმების გახსნით:

ადიდენ ღმერთმან ფარსმან ერისთავთ-ერისთავი, აეშენა ესე ეკლესია სადიდებლად მათდა და მშობელთა მათთა სამლოცველოდ...

IV. სამხრეთის კედელზევე, ძალიან მაღლა:

Ⴕ̃Ⴄ Ⴘ̃Ⴄ Ⴗ̃ႬႤ

ქარაგმების გახსნით:

ქრისტე. შეიწყალე ყოველნი.

ე. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ უკანასკნელი სიტყვა წაკითხული უნდა იქნეს —„იოანე"-დ[88]. ჩვენის აზრით, ე. თაყაიშვილი აქაც მართალია. ბოლო სიტყვის პირველი ასო მაშინ იქნება არა ყ, არამედ —ჴ, ხოლო ბოლო ასო არა ი, არამედ ე. ჴ ზოგჯერ სცვლის ხოლმე ი-ს. ასე, მაგალითად „ჴესუ — იესუ. ე. ი. წარწერა ასე უნდა წავიკითხოთ: „ქრისტე, შეიწყალე ჴოანე".

V შიგნით ეკლესიაში, სამხრეთის კედელზე:

Ⴕ̃Ⴄ Ⴘ̃Ⴄ Ⴚ̃Ⴞ Ⴂ̃Ⴈ
ႵႤ Ⴘ̃Ⴄ Ⴈ̃Ⴄ

ქარაგმების გახსნით:

ქრისტე, შეიწყალე ცხოვრება. ქრისტე, შეიწყალე გიორგი..

წარწერებში მოხსენებულ პირთა ვინაობაზე ჩვენ ვერაფერს ვიტყვით, გარდა ფარსმან ერისთავთ-ერისთავისა, რომელიც, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ბაგრატ IV დროინდელი ფარსმან თმოგველი უნდა იყოს[89]. ამას II წარწერაში ბეშქენის მოხსენებაც გვაფიქრებინებს. ბეშქენი ალბათ ჯაყელთა გვარიდანაა. ბეშქენ ჯაყელი და ფარსმან თმოგველი კი ერთად იხსენიებიან „მატიანე ქართლისა"-ში, ბაგრატ IV და ლიპარიტის ერთმანეთთან ბრძოლების დროს: კერძოდ, მატიანე გვამცნობს რა, რომ ლიპარიტმა ატენის ციხე ვერ აიღო, დასძენს: „რამეთუ ციხის უფალნი კაცნი მტკიცე იყუნეს ერთგულებასა ზედა ბაგრატისსა, თუინიერ ფარსმან თმოგუელისა და ბეშქენ ჯაყელისა"—ო[90].

---

[88] ივ. როსტომაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 106, შენიშვნა 1.

[89] რ. გვერდწითელი, ზედა თმოგვის წარწერები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV, 1947, გვ. 242; ან. ბაქრაძე, ქართული ეპიგრაფიკა, როგორც ისტორიული წყარო, გვ. 75.

[90] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება I, ს. ყაუხჩიშვილის გამ., გვ. 298.

როგორც III წარწერიდან ჩანს, ფარსმან ერისთავთ ერისთავი ამშენებელია სათხის ეკლესიისა. ის, ცხადია, მარტო თმოგვს კი არ განაგებდა, არამედ—ჯავახეთის დიდ ნაწილს. ბეშქენ ჯაყელს კი ალბათ ასევე ჯავახეთში ჰქონდა მამულები, თუ კი მისი ყმა თავის მოსახსენებელს აწერს სათხის ეკლესიაზე.

## კულალისის წარწერა

სოფელ კულალისში (მდებარეობს ახალქალაქის სამხრეთით 7—8 კილომეტრის მანძილზე) დგას ძველი ციხის ნანგრევები და ერთი ეკლესია. ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის კუთხეში მოთავსებულია შვიდსტრიქონიანი, მსხვილი რელიეფური ასოებით გაკეთებული, ასომთავრული წარწერა, რომელიც ორჯერ არის გამოცემული.

კულალისის წარწერა პირველად ივ. როსტომაშვილმა გამოსცა, რომელმაც, როგორც თვითონაც აღნიშნავს, მთლიანად ვერ წაიკითხა; მაგრამ წარწერის არსებითი ნაწილი მას მაინც კარგადა აქვს წაკითხული. მისი თქმით ქორონიკონის პირველი ასოა ს (200), ხოლო მეორე ასო კარგად აღარ ეტყობა, პ(80) ან ი უნდა იყოს. თუ ქორონიკონის მეორე ასოა პ, მაშინ 1060 წელს ვღებულობთ, და წარწერაში მოხსენებული ბაგრატი, ბაგრატ IV ყოფილა, ხოლო თუ ქორონიკონის მეორე ასოა ი, 990 წელი გამოდის და წარწერაში მოხსენებული ბაგრატი, ბაგრატ III იქნებაო[91].

კულალისის წარწერა მეორედ ე. თაყაიშვილმა გამოსცა, რომელსაც მთლიანად აღუდგენია წარწერა და ფოტოსურათიცა აქვს დაბეჭდილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ფოტო ძალიან ბნელია და არაფერი ირჩევა. ამჟამად წარწერა კიდევ უფრო ძალიანაა გაფუჭებული და მხოლოდ ცალკეული სიტყვები-ღა იკითხება.

მოგვყავს ე. თაყაიშვილის მიხედვით:

ႢႭ̃Ⴙ ႵႤ Ⴀ̃ႣႤ ႨႨႲ
ႠႴႲႬႭႠ ႣႠ ႵႠႫႡ [ႬႭႠ]
Ⴋ̃ႴႤ Ⴑ̃ႡႲႱႤ ႣႠ ႫႤ Ⴋ̃ႭႤ ႨႤ Ⴉ̃ႳႲႤ
Ⴘ̃ႿႬ ႣႠႭႲႩႨ̃Ⴌ Ⴍ[ႠႡႤ] [ႩႤ]ႭႤႬႵႫႬ
Ⴏ̃ႳႲႱ ႭႭႣႱ ႫႤႱႠ ႫႬႭႱ
[Ⴈ] ႬႱႫႬႫ[ႨႬႣ] [Ⴀ]ႡႨ [Ⴄ] [ႤႱႤ] ႤႩႬႱႤႠ
ႵႩႬ ႢႷႭ ႱႳ

---

[91] ივ. როსტომაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

კითხულობს:

„იესო ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე, სევასტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი, შეეწიენ, დაუტკბენ თავი. კეთილ ექმენ ჯპატოს თეოდოსეს ძესა, რომელთათჳს განსაძლიერებლად ავაგე ესე ეკლესია, ქორონიკონი იყო სპ"[92].

ე. თაყაიშვილის აზრით, წარწერაში მოხსენებული მეფე ბაგრატი არის ბაგრატ IV, რომელიც ნამდვილად ატარებდა სევასტოსის ტიტულს და ჰყავდა შვილი გიორგი კურაპალატი. ქორონიკონი ევჴს გარეშე 280-ია, რაც 1060 წელს უდრის[93]. მართლაც ევჴს გარეშეა. რომ ყულალისის წარწერაში მოხსენებულია ბაგრატ IV, რადგან ბაგრატ III სევასტოსის ტიტული არ ჰქონდა.

სხვა საკითხთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილიც შეეხო ყულალისის წარწერას (ივ. როსტომაშვილის გამოცემის მიხედვით) და 1060 წლისად მიიჩნია ის, რადგან მისივე გამოკვლევით ბაგრატ IV სევასტოსობა, ხოლო მის ძეს—გიორგის კურაპალატობა 1059 წ. 11 აპრილის შემდეგ, ან 1060 წ. უნდა მიეღოთ.

რადგან ბაგრატ IV სევასტოსობა 1059 წელს ან და მის შემდეგ მიიღო და წარწერის ქორონიკონი ორ ასოიანია, ამიტომ მეორე ასოა პ ან ჟ. ამრიგად ყულალისის წარწერა 1060, ანდა 1070 წლით თარიღდება.

როგორც ვხედავთ, ბიზანტიურ ტიტულებს მეფეებისა და მთავრების გარდა დიდებული აზნაურებიც ღებულობდნენ ჯერ კიდევ XI ს-ში. ჯპატოსის გარდა ჩვენ ასეთი ტერმინი გვხვდება პატრიკი.

## სამსარის წარწერები

ძოველ სამსარში, რომელიც ახალქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს, 20-ოდე კილომეტრის მანძილზე, ამავე სახელწოდების პატარა მდინარის ორივე ნაპირის გაყოლებით, კლდეში გამოკვეთილია გამოქვაბულები და შესანიშნავი, სვეტებიანი ეკლესია. თავის დროზე ძეგლს ორი წარწერა ჰქონია, რომელთაგან დღემდე ერთს მოუღწევია, ხოლო მეორე კარგახანია დაკარგულად ითვლება.

ივ. როსტომაშვილს გამოქვეყნებული აქვს სამსარის ერთი, დღემდე მოღწეული წარწერის პალეოგრაფიულად არაზუსტად

---

[92] МАК, вып. XII, стр. 26.

[93] იქვე, გვ. 27.

[94] ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 172.

გადმოხატული პირი და მეორის საკმაოდ კარგად გამოსული ფოტოსურათი[95].

სამსარის გამოქვაბულებისა და ეკლესიის შესახებ წერილობით წყაროებში ცნობებს ვერ მივაკვლიეთ. ამიტომ, ძეგლი წარწერების საშუალებით უნდა დათარიღდეს. წარწერები საინტერესოა პალეოგრაფიულადაც. ივ. როსტომაშვილს სრულიად არაფერი აქვს ნათქვამი მათი თარიღისა და პალეოგრაფიულ თავისებურებათა შესახებ.

შემონახული წარწერა ამოკვეთილია კლდეზე, ოთხიოდე მეტრის სიმაღლეზე, იმ ადგილის თავზე, სადაც ეკლესიის კარი უნდა ყოფილიყო. იგი შედგება 11 სტრიქონისაგან და. კლდის ჩამონგრევის გამო, გვერდები დაზიანებული აქვს.

როგორც აღვნიშნეთ, ივ. როსტომაშვილს წარწერა გადმოხატული აქვს და მისი გაშიფრვაც უცდია:

„აღაშენა... ოდეს... ესე ვანი... მაშინ დიდისაგან გვიხსენ და იხსენი... მაშინ დავწერე მუსხელისა (თუ მხსნელისა?) ეკლესიაი ნოის ხელი...“[96].

წარწერას ჩვენ ასე ვკითხულობთ:



ქარაგმების გახსნით:

აშენდა... ესე ვანი... მაშინ დიდისა... გჳქსენ და იჳსენ... [დღეს]ა მა[ს] განკი[თხვის]ასა... მაშინ დავწერე ეკლესიაი და... ქელი...

მიუხედავად იმისა, რომ წარწერის მხოლოდ მცირედი ნაწილის გაშიფრვა ხერხდება, ამ ცალკეული სიტყვების: ვანი“, „ეკლესია“ და „აშენად“-ს მიხედვითაც აშკარაა, რომ წარწერა საამშენებლოა.

---

[95] ივ. როსტომაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 97– 99.

[96] იქვე, გვ. 98.

სამსარის მეორე წარწერა, როგორც აღვნიშნეთ, დაკარგულად ითვლება. ივ. როსტომაშვილის ცნობით ის მოთავსებული ყოფილა მონასტრის ფასადიდან მოტეხილ ქვაზე, რომელიც ერთხანს იქვე, პირველი წარწერიდან 15—20 ნაბიჯის დაშორებით, გდებულა. ივ. როსტომაშვილი ასე კითხულობს წარწერას:

„სახელითა ღვთისაითა, წმიდისა ღმრთის მშობელისაითა, ესე წმიდაი ეკლესიაი ოდეს აშენდა, მაშინ ესე ადგილი ტყისაგან არა ჩნდა“[97].

ივ. როსტომაშვილს გამოცემული აქვს ამ წარწერის ფოტო, სადაც წარწერა კარგად იკითხება. როსტომაშვილის წაკითხვა სწორია.

როგორც შინაარსის მიხედვით ჩანს, ეს წარწერაც ძეგლის აშენების თანადროულია. პალეოგრაფიულადაც წარწერები ზუსტად ერთნაირია.

როგორც ვხედავთ, წარწერებს თარიღი არ უზის და არც შინაარსის მიხედვით ხერხდება მათი თარიღის შესახებ რისიმე თქმა, ამდენად პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით უნდა ვცადოთ მათი დაახლოებითი დათარიღება.

სამსარის წარწერებში გ, ვ, ლ, უ ნუსხახუცურია, ძალიან თავისებური მოხაზულობისაა ასოები: დ, კ, და ზ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, სამსარის წარწერებიც ეპიგრაფიკულ ძეგლთა იმ რიცხვს ეკუთვნის, სადაც „წარწერათა ასომთავრული დამწერლობა ხშირად ნამდვილი ასომთავრული აღარ არის... ნუსხა-ხუცური დამწერლობის გავლენა ცხადად ემჩნევა და ეტყობა დამწერსა თუ ამომჭრელსა ასომთავრული უკვე იმდენად არ ეხერხებოდა, რომ მისი ხელი წერის დროს ასომთავრულის მაგიერ უნებლიედ ნუსხახუცურ ასოებს წერდა“[98].

ასეთ ეპიგრაფიკულ ძეგლს შორის, დღემდე ცნობილი ძეგლებიდან, უძველესია ერედვის 906 წლის წარწერა[99], სადაც ასო ლ რამდენჯერმე ნუსხურია[100].

[97] ივ. როსტომაშვილის დასახ. ნაშრ., გვ. 99.

[98] ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 122.

[99] რ. მეფისაშვილი, ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, 1944, № 10, გვ. 1044.

[100] ჩვენ არ ვეთანხმებით მკვლევართა მიერ ზოგიერთი ასეთი (ე. ი. ასომთავრულში ნუსხურნარევი დამწერლობით შესრულებული) ძეგლების IX საუკუნით დათარიღებას. ამის შესახებ იხ. ნ. შოშიაშვილი, ვ. ცისკარიშვილი, სოფელ დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერა, საქ. მუზეუმის მოამბე, XXI, 1957, გვ. 92, შენ. 2.

ყალაზონის ეკლესიის წარწერაში, რომელიც ე. თაყაიშვილის მოსაზრებით 993 წლისაა[101], ხოლო აკად. ივ. ჯავახიშვილი 983 წლით ათარიღებს და ამასთანავე დასძენს, რომ არავითარ შემთხვევაში ის არ არის 1001 წელზე გვიანდელი[102], ლ ყოველთვის ნუსხურია.

ფიის ნასოფლარის 995 წლის წარწერაში ლ სულ ორჯერ გვხვდება—ერთხელ ნუსხური და ერთხელ ასომთავრული[103].

სტალინირის რაიონში მდებარე სოფ. დოდოთის ეკლესიის წარწერაშიაც, რომელიც X ს. თარიღდება[104], მარტო ლ არის ნუსხური. XI საუკუნის ალის წარწერაშიაც ისევე ლ არის მხოლოდ ნუსხური[105].

ზედა თმოგვის მრავალ წარწერათა შორის ერთ წარწერაში ლ-ს გარდა გ ნუსხურია, წარწერა უთარიღოა, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული უკანასკნელი მოსაზრებით ის XI ს-ის II ნახევრისა უნდა იყოს[106]. სოფ. დიღმის წმ. გიორგის ეკლესიის XI საუკუნის I ნახევრის წარწერაში[107]: ბ, გ, და ლ ნუსხურია.

ნუსხური კიდევ უფრო ძლიერადაა შერეული სოფ. საროს XII ს-ის დემეტრე I (1125—1156) დროინდელ წარწერაში[108], სადაც ნუსხურია: ბ, გ, ვ, თ, ლ, წ და ო.

საროს წარწერის შემდეგდროინდელ ეპიგრაფიკულ ძეგლებში ნუსხური ასოების შერევის პროცესი, როგორც ჩანს, გაძლიერების ნაცვლად ნელდება. გიორგი III, თამარის, რუსუდანის და მთელი XIII ს-ის ეპიგრაფიკაში, რაც სხვა დროის წარწერებთან შედარებით არც თუ ცოტაა დღემდე მოღწეული, არ არის არც ერთი ისეთი წარწერა, სადაც ნუსხური ასო ერიოს.მხოლოდ მომდევნო დროის ეპიგრაფიკაში შეიმჩნევა ნუსხურის შერევა ასომთავრულში. ასე, მაგა-

---

101 Е. Такаишвили, Археологические экскурсии, вып. III, стр. 4—5.

102 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

103 ვ. ცისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 167—168.

104 ნ. შოშიაშვილი და ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

105 ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 3.

106 რ. გვერდწითელი, ზედა თმოგვის წარწერები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV-B, 1947 წ., გვ. 243—244.

107 პ. ზაქარაია, „დიღომი“, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XVII-B, 1953 წ., გვ. 94—102.

108 МАК, XII, стр. 20,

ლითად, სტალინირის მახლობლად, სოფ. თირის მონასტრის სამრეკლოს კარისთავის XIV საუკუნეზე არა უადრეს წარწერაში შერეულია ნუსხური ლ. ამრიგად, პალეოგრაფიულად სამსარის წარწერების ქრონოლოგიური ფარგლები X—XII საუკუნეებით ისაზღვრება. აქედან შეიძლება გამოირიცხოს X საუკუნე, რადგან, როგორც დავინახეთ, X საუკუნის ეპიგრაფიკულ ძეგლებში მხოლოდ ერთი ასო—ლ გვხვდება ნუსხური. სამსარის წარწერები რომ X ს-ზე გვიანდელია, ამას სხვა ასოების მოხაზულობაც გვაფიქრებინებს: ამ მხრივ განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას ა-ს მოხაზულობა, რომელიც მორკალული (მომრგვალებული) კი არაა, როგორც ეს ადრინდელი წარწერებისათვისაა დამახასიათებელი, არამედ კუთხოვანი.

საინტერესოა სამსარის მეორე წარწერის ცნობა, იმის შესახებ, რომ იმ დროს ეს ადგილი ტყით ყოფილა დაფარული.

## საროს წარწერა

ასპინძის რაიონის სოფელ საროს ციხის ნანგრევებში მდებარე წარწერიანი ქვა 1958 წელს ჩამოტანილ იქნა თბილისში, აკად ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

საროს წარწერა რამდენიმეჯერ არის გამოცემული: პირველად იგი გამოაქვეყნა აკად. მ. ბროსემ[109], რომელმაც სწორად ვერ წაიკითხა; მეორედ ივ. როსტომაშვილმა დაბეჭდა წარწერის არასწორად გადმოხატული პირი და პირველი ორი სტრიქონის გაშიფრვაც სცადა[110]; მესამედ ის ე. თაყაიშვილმა გამოსცა და მშვენივრად გამოსული ფოტოსურათიც დაურთო[111]. ე. თაყაიშვილმა სწორად გადმოიწერა წარწერა, მაგრამ მისი მეორე ნახევრის გაშიფრვაში შეცდა. უკანასკნელად წარწერა, სხვა საკითხთან დაკავშირებით, მხედრული ტრანსკრიპციით დაბეჭდა პროფ. ნ. ბერძენიშვილმა[112].

წარწერა რვასტრიქონიანია, ნუსხურნარევი ასომთავრულით შესრულებული. განკვეთილობის ნიშნები არ ეტყობა. ქარაგმად ნახმარია მარტივი, პატარა ხაზი (ტაბ. VI).

---

[109] M. Brosset, Rapp. 2e l. გვ. 175.

[110] ივ. როსტომაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 102.

[111] MAK, вып. XII, стр. 20.

[112] ნ. ბერძენიშვილი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ-რიის ინსტიტუტის შრომები, II, 1956, გვ. 122.

წარწერა ასე იკითხება:

Ⴕ~Ⴄ Ⴀ~ႣႤ ႻႨႤ ႣႠ [Ⴓ]
ႻႪႤ ႫႤ~ႴႧႠ ႫႴႤ
Ⴃ~ႲႤ Ⴐ~ႫႬ Ⴐ~ႷႤ ႫႫ~Ⴇ
Ⴂ~ႡႻႠ Ⴋ~Ⴑ ႯႫ~ႱႠ ႤႱႤ
Ⴚ~ႾႤ ႠႥႠႢ~Ⴇ ႫႤ Ⴅ
Ⴀ႙Ⴄ ႣႠႥႼႤႰႤႬ
Ⴄ . . . ႤႱႬ ႣႠ Ⴋ~ႤႠႱ Ⴋ
ႫႳႪႤ

ქარაგმების გახსნით:

ქრისტე. ადიდე ძლიერი და უძლეველი მეფეთა მეფე დემეტრე, რომელმან რეჴი მამულობით გვიბოძა. მას ჟამსა ესე ციხე ავაგეთ. მე ვაჩე დავწერენ ე... ესნ[113] და მაჴას მამული.

„ეს ბუნდოვანი წარწერა,—წერს ნ. ბერძენიშვილი—ჩვენ ისე გვესმის, რომ ციხის ამშენებელმა ვაჩემ, რომელსაც მეფემ მამულობით რეჴი უბოძა, დაწერა ე. ი. ციხის შესავლად აქცია (?) ერისთავთ ერისთავისა და მაჴას მამული"[114].

საროს წარწერაში მოხსენებული რეჴი და მაჴა სხვა წერილობით წყაროების მიხედვით ამ მხარეში არ არის ცნობილი. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ მატიანე ქართლისას ცნობით შიგნით კახეთში ყოფილა „მაჴელისა" საერისთავო; სახელდობრ, იქ ნათქვამია: ბაგრატ IV კახეთში გაილაშქრა და „შეიპყრნა სტეფანოზ ფარნაჯის ძე, პანკისის ერისთავი; და ვაჩე ძე გურგენ ბერისა, ხორნაბუჯის ერისთავი; და ჯედი, დისწული გოდერძისა, შტორის ერისთავი და მაჴელისა"[115].

ვახუშტი ბატონიშვილს „მთავართა" გვარების ჩამოთვლისას ნათქვამი აქვს: „კახეთის ხორნაბუჯის ერისთავი, მაჴის ერისთავი, პანკისის ერისთავი"[116]... ვახუშტისავე თქმით მაჴი ადგილის სახელია შიგნით კახეთში და მისი მდებარეობაცა აქვს აღნიშნული: „ხოლო კვალად ბელაქნის წყლის შესართავის ზეით მოერთვის ალაზანს მა-

---

[113] ნ. ბერძენიშვილი ამ სიტყვას კითხულობს—„ერისთავთ ერისთავისნი" (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 122).

[114] იქვე.

[115] მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამ., 1955, გვ. 298.

[116] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის გამ., 1941, გვ. 20.

წის წყალი... ამ ჭევზედ არის მთასა შინა თორღა, სასახლე მეფეთა, ფრიად მშვენვარე ზაფხულს. ამას ეწოდა მაჭი«[117].

რაც შეეხება წარწერაში მოხსენებულ ვაჩეს, ძნელია იმის თქმა ციხის ამშენებლად იგულისხმება ის წარწერაში, თუ მხოლოდ წარწერის დამწერად. (ე. ი. ხელოსნად). თუ ვაჩე ამშენებელია, მაშინ აქ მოხსენებული „დაწერა“ მართლაც იურიდიული მნიშვნელობის ტერმინად უნდა გავიგოთ და არა პირდაპირი მნიშვნელობით. ჩვენ უფრო ვფიქრობთ, რომ „დაწერა“ აქ პირდაპირი მნიშვნელობითაა ნახმარი.

სახელი ვაჩე, როგორც კუმურდოს ერთ-ერთი წარწერიდანა ჩანს, ჯავახეთის X ს-ის გამგებელთა საგვარეულო სახელია (ჩვენის აზრით, მარუშიანების. იხ. ამის შესახებ აქვე, გვ. 13—15, 18).

როგორც ვხედავთ, წარწერა საამშენებლოა. მაგრამ, ამავე დროს მას თითქოს იურიდიული ხასიათიცა აქვს, თუ ვიგულისხმებთ, რომ ციხის ამგებელმა ციხეს უბოძა „მაჭას მამული“.

საროს წარწერაში მოხსენებულ მეფეთა მეფეს ე. თაყაიშვილი დემეტრე I (1125—1156 წწ.) მიიჩნევს, რაც სწორი უნდა იყოს, რადგან პალეოგრაფიულად წარწერა XII საუკუნეზე გვიანდელი არ არის. ჩვენ ვერ დავეთანხმებით რ. შმერლინგის მოსაზრებას, რომ საროს წარწერა IX საუკუნისაა[118].

უპირველეს ყოვლისა წარწერაში მოხსენებულია მეფეთა მეფე დემეტრე, ხოლო XII საუკუნეზე ადრე ამ სახელის მატარებელი მეფე არ ჰყოლია საქართველოს. რაც შეეხება წარწერის პალეოგრაფიულ მხარეს, ამ მხრივაც ძეგლი არ შეიძლება IX ს. იყოს, რადგან საროს წარწერაში არეულია ნუსხური, კერძოდ, ასოები ბ, გ, ვ, თ, ჳ და ო. ნუსხურის შერევა ასომთავრულში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღემდე ცნობილი ძეგლების მიხედვით X საუკუნიდან იწყება და ჯერ ასო ლ ერევა (X ს-ში), შემდეგ (XI ს-დან) ზოგი სხვა ასოც ემატება. საროს წარწერაში კი ეს შერევა ყველაზე უფრო ძლიერი ჩანს (იხ. ამ საკითხზე აქვე, გვ. 42 — 44).

## წუნდის წარწერა

ძველი ნაქალაქარი წუნდა მდებარეობს ასპინძის რაიონში, ასპინძიდან 25-ოდე კილომეტრის მანძილზე სამხრეთით, არტაანის

---

117 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომთურის და ნ. ბერძენიშვილის გამ., 1941, გვ. 98.

118 რ. შ მ ე რ ლ ი ნ გ ი, უბისის ტაძრის დათარიღების საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVI, № 2, 1955, გვ. 173.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. წუნდის სიძველეთაგან დღემდე მთლიანად მხოლოდ ერთ ეკლესიას მოუღწევია, რომელსაც დასავლეთის კედელზე აქვს სამსტრიქონიანი, ქანწილით დაწყებული ასომთავრული წარწერა. წარწერა სამჯერ არის გამოქვეყნებული: აკად. მ. ბროსეს,[119] ივ. როსტომაშვილის[120] და კალისტრატეს მიერ[121].

სწორხაზოვანი, თანასწორი სტრიქონებით და ერთნაირი სიდიდის ასოებით შესრულებული, ისედაც ძალიან კარგად შენახული წარწერა მშვენიერი შესახედავია. განკვეთილობის ნიშნად ორი წერტილია ნახმარი, ხოლო ქარაგმად—პატარა, განივი ხაზი (ტაბ. VII).

წარწერა ასე იკითხება:

Ⴕ ႱႾႪႨႧႠ : Ⴖ̃ႧႠ : ႫႤ : ႨႹႵႧႫ̃Ⴌ : Ⴂ̃ႰႢႤႬႨႱ : ႻႤႫ̃Ⴌ
ႠႶႥႸႬႤ : ႤႩႪ̃ႱჂ : ႤႱႤ : Ⴋ ႫႪႨ : Ⴙ̃ႬႨ[122] : ႱႾႪႱႠ[123] : ႦႠ : ႼႨ̃ႱႠ
ႬႧႪႱႫႶႡႱႱႠ[124] : ႱႦႺ̃ႾႣ : ႾႤႫႧႱ[125] : ႣႠ : ႫჄ̃ႨႤ ႧႠ : Ⴞ̃ႫႧႠႧႠ

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ არც ერთი სიტყვა არ არის დაუქარაგმებელი (თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ სამ სიტყვას, რომელთაგან ორი—„ესე“ და „მე“ საერთოდ არა ქარაგმდება, ხოლო კავშირი „და“—ძალიან იშვიათად), რაც დასაწერი ფართობის სიმცირითაა ალბათ გამოწვეული; როგორც ჩანს, წარწერის ამომკვეთს სურდა მისი ერთ მთლიან ქვაზე მოთავსება. ამავე გარემოებით უნდა აიხსნას ისიც, რომ 17 დაქარაგმებული სიტყვიდან, მხოლოდ 8 არის წესიერად დაქარაგმებული[126].

ქარაგმების გახსნით:

ქ. სახელითა ღმრთისაჲთა. მე იჩქითმან, გურგენის ძემან აღვაშენე ეკლესიაჲ ესე, მამული ჩუენი, სახელსა ზედა წმიდისა ნათლის-

[119] M. Brosset, Rapp. 2-e l. p. 165.

[120] ივ. როსტომაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

[121] გაზეთი „ივერია“ № 293, 1891.

[122] მ. ბროსეს ეს ორი სიტყვა გამოტოვებული აქვს.

[123] ივ. როსტომაშვილი — „ႱႾႱႠ“.

[124] მ. ბროსე — „ႬႧႪႱႫႶႫႪႱႱႠ“.

[125] მ. ბროსე — „ႾႫႧႧႱ“, როსტომაშვილი—„ႾႫႧႠႧ“. კალისტრატეს წაკითხვის განსხვავება აღარ ვუჩვენეთ აქ, რაკი მას მთლად არეულად აქვს წარწერა წაკითხული. იხ. მისი დასახ. წერილი.

[126] უწესო დაქარაგმებაში ვგულისხმობთ სიტყვის ისეთ შემოკლებულ დაწერას, როცა არაა დაცული შემოკლების რამე პრინციპი (დაქარაგმების წესების შესახებ ნახეთ აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია).

მცემლისასა, სალოცველად სულისა ჩემთათჳს და მშობელთა ჩემთათა.

აკად. მ. ბროსე და ივ. როსტომაშვილი არაფერს ამბობენ წარწერის თარიღისა და მასში მოხსენებულ პირთა შესახებ. კალისტრატე კი, მასში მოხსენებულ პირთა მიხედვით, XI საუკუნისად მიიჩნევს წარწერას... „გურგენ ერისთავი ქართლისა (ე. ი. ეხლანდელ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებისა) იყო 914—968 წ., ხოლო იოვანე 1027—1072 წ.[127]" (როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კალისტრატეს სწორად არა აქვს წარწერა წაკითხული: იჩქითის მაგივრად ის კითხულობს იოანეს). „იჩქით გურგენის ძე" მოხსენებულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის 76-ე აღაპში. ეს ადგილობრივი ღიოდალი ჩანს, რადგან წუნდაში ეკლესიას აშენებს. რა თქმა უნდა, არავითარი ქართლის ერისთავი გურგენი წარწერაში მოხსენებული არაა და არც მოსალოდნელია, რომ იყოს (მით უმეტეს, რომ ასეთი ქართლის ერისთავი არცაა ცნობილი).

წუნდა, როგორც ცნობილია, უძველეს ქალაქთა შორის იხსენიება: „ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტანისა", მოგვითხრობს ლეონტი მროველი[128]. მომდევნო ხანებშიაც წუნდა ციხე ქალაქად და ამასთანავე საერისთავოდ იხსენიება[129]. ვახტანგ გორგასლის დროს წუნდაში დაარსებული იქნა საეპისკოპოსო კათედრა[130]. როგორც ჩანს, წუნდა ჯავახეთის საერო და სასულიერო ცენტრია[131]. ვახტანგ გორგასლის ძის დაჩის დროს კიდევ ერთხელ არის წუნდა ქალაქად მოხსენებული: „და დასხდეს წონდას ქალაქსა"-ო, ნათქვამია დაჩის ძმებზე[132]. ამის შემდეგ კი წუნდა არც ქალაქად და არც საერისთავოდ აღარ იხსენიება, რაც იმისი მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ წუნდამ, როგორც ქალაქმა და საერისთავომ, დაკარგა თავისი მნიშვნელობა. რა მიზეზების გამო და როდის მოხდა ეს ამბავი, არ ვიცით. ცნობილია მხოლოდ, რომ IX საუკუნის II ნახევარში ჯავახეთის ერისთავი ყველის ციხეში ზის: „როგორც კონს-

---

[127] კალისტრატე. დასახ. წერილი.

[128] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, ქართლის, ცხოვრება I, ს. ყაუხჩიშვილის გამ., 1955, გვ. 10.

[129] იქვე, გვ. 30, 57.

[130] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ქართლის ცხოვრება I, ს. ყაუხჩიშვილის გამ.,1955, გვ. 198.

[131] საეპისკოპოსო ცენტრად VI ს-ში იხსენიება აგრეთვე კუმურდო—იხ. [illegible], გვ. 182—183. რით აიხსნება ეს გარემოება, რომ ერთმანეთის გვერდით იხსენიება ეს 2 საეპისკოპოსო, ძნელი სათქმელია.

[132] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამ., გვ. 205.

ტანტინე პორფიროგენეტის სიტყვებიდან ჩანს. უკვე პირველ ქართველთა მეფეს თავის ხელქვეით ოთხი მთავარი (არხონ), ანუ ერისთავი ჰყოლია; ამათგან ერთი ყველის ციხისა, ანუ ჯავახეთის გამგედ ყოფილა"[133]—წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი.

914 წლიდან, წუნდის მახლობლად. მდ. მტკვრის მეორე მხარეს, წერილობითი წყაროები იხსენიებენ მიუვალ თმოგვის ციხეს, რომელიც 1191 წლამდე, ვიდრე მხარგრძელთა სამემკვიდრეო სამფლობელოდ იქცეოდა, მეფის ხელში იყო და დიდ მოხელეებს ებოძებოდათ ხოლმე სასიცოცხლო სამფლობელოდ (ამის შესახებ იხ. ქვემოთ „თმოგვის წარწერა"). შეიძლება ვიფიქროთ, რომ წუნდა, მისი დაცემის შემდეგ, თმოგვის ციხის მფლობელის სამფლობელოში შედიოდა. თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ შესაძლოა წუნდის ეკლესიის აღმშენებელი იჩქითიც თმოგვის მფლობელია.

როგორც ზემოთ ითქვა, წუნდის წარწერა უთარიღოა და არც მასში მოხსენებული იჩქითის ცხოვრების ჟამია აღნიშნული. პალეოგრაფიულად მხოლოდ იმისი თქმა შეიძლება, რომ წარწერა XI ს-ზე ადრინდელი არაა და XII-ზე გვიანდელი. ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით წუნდის ეკლესია ჯერ-ჯერობით სპეციალურად არაა შესწავლილი და მხოლოდ წინასწარი მოსაზრებებია გამოთქმული: ც. გაბაშვილი მას თამარის დროისად მიიჩნევს[134].

## ვაჰანის მონასტრის წარწერა

ასპინძიდან 30-ოდე კილომეტრის მანძილზე (სამხრეთით), ვარძიის მონასტრის ცოტა ქვემოთ, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მდებარეობს რამდენიმე სართულად განლაგებული ნანგრევები ვანის ქვაბებისა, რომელსაც XIV ს. II ნახევრამდე „ვაჰანის ქვაბებს" უწოდებდნენ[135]. ვანის ქვაბების მონასტრისაგან დღეს მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი, „აქაც ქვაბებია მსგავსად ვარძიისა და აქაც ფართო სავანე უნდა ყოფილიყო"[136].

ვანის ქვაბების წარსულიდან ბევრი არაფერი შემოუნახავს წერილობით წყაროებს; არ არის ცნობილი ვის მიერ და როდის არის დაწყებული და დამთავრებული მისი მშენებლობა—გამოკვეთა. ხალ-

---

133 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, 1948, გვ. 121.
134 ც. გაბაშვილი, ვარძია (გზამკვლევი), 1945, გვ. 26.
135 ვაჰანის ქვაბთა განგება, ლ. მუსხელიშვილის გამოცემა, 1939, გვ. 9—10.
136 იქვე, გვ. 10.

ხური გადმოცემით XI ს. ბოლოს თმოგვთან ერთად ვანის ქვაბებიც დანგრეულა[137], მაგრამ ამ დანგრევას მონასტერი არ მოუშლია.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ვანის ქვაბებში დღემდე შემორჩენილი ერთი წარწერის მიხედვით, 1204 წელს ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს, მეფის პირველ ვაზირს ვაჰანის მონასტრისათვის ზღუდე აუშენებია, რაც იმისი მაჩვენებელია, რომ 1204 წლამდე მონასტერი „საბატონო მფლობელობაში არ იყო გადასული“[138], — ჯერ კიდევ სამეფო ყოფილა. ამის შემდეგ კი, როცა თმოგვი მხარგრძელთა ხელში სამემკვიდრეო სამფლობელოდ იქცა, მის გვერდით მდებარე ვანის ქვაბებიც მათ გადაეცა, როგორც საგვარეულო მონასტერი, რადგან, „დიდი ფეოდალური სამფლობელოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი საგვარეულო მონასტერი იყო“[139]. 1204—1234 წლებში ახალმა პატრონმა, ერისთავთ-ერისთავმა, მხარგრძელ-თმოგველმა სარგისის ძემ, ვაჰანის მონასტერს ტიბიკონი გაუჩინა, რომელიც მონასტრის რიგსა და განმგებლობის წესს შეიცავს. წესდება წარმოადგენს საკორპორაციო სამართლის ძვირფას ძეგლს, რომელიც მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის სამონასტრო წყობილების შესახებ საქართველოში[140].

XIV საუკუნის I ნახევარში, თმოგველთა თმოგვიდან წასვლის შემდეგ (ნახეთ აქვე: „თმოგვის წარწერა“) ვანის ქვაბების მფლობელებად ლარიბას ძეები ჩანან, რაც ზემოხსენებული „ვაჰანის ქვაბთა განგების“ შემდეგდროინდელი მინაწერებიდანა ჩანს. 1393 წლის ერთ მინაწერში მურვან ლარიბასძე აღნიშნავს ვანის მონასტერზე: „განვაგე საუკუნოჲ საკხსენებელი და მოვაკსენე ეკუტარსა, სამკვიდრებელსა კორცთა ჩემთასა, ვანის ქუაბთა, სანაწილესა და საფლავსა ჩემთა მიცვალებულთასაჲ და საფლავსა ზედა მწირველსა“[141]. ერთ სხვა უთარიღო მინაწერში, რომელიც იმავე ხანებისაა, ლარიბასძეები აღნიშნავენ: „წმიდასა მონასტერსა ქუაბთა... მოვაკსენე ესე ეკუდარსა ჩუენსა, სამკვიდრებელსა და საფლავთა ჩუჱნთა“[142].

---

137 ც. გაბაშვილი, ვარძია (გზამკვლევი) 1945, გვ. 39.

138 ვაჰანის ქვაბთა განგება, ლ. მუსხელიშვილის გამ., გვ. 12.

139 იქვე, გვ. 17.

140 ეს ძეგლი ორჯერ არის გამოცემული: თ. ჟორდანიას (იხ. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, 1895) და ლ. მუსხელიშვილის (იხ. ვაჰანის ქვაბთა განგება. 1939) მიერ.

141 თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა 1896, გვ. 44, 45.

142 იქვე, გვ. 46.

ამრიგად ვაჰანის მონასტერი ამ მინაწერთა მიხედვით დარიბაზ ძეთა საგვარეულო მონასტერი და ეკვდერია.

ვანის მონასტერში სამი ეკლესიაა. ერთი მათგანი მდებარეობს გამოქვაბულთა ქვედა რიგში და წარმოადგენს ნახევრად ნაშენს და ნახევრად კლდეში გამოკვეთილ, დარბაზული ტიპის შენობას. მას ერთი კარი აქვს—სამხრეთიდან. შესავლის ჩარჩოს ქვედა მარჯვენა ნაწილში ჩაშენებულია ქვა, ასომთავრული წარწერით. ეკლესია გადაკეთებულია, რასაც სხვა ნიშნებთან ერთად ისიც მოწმობს, რომ ამჟამად წარწერიანი ქვა ვერტიკალურად არის დაყენებული.

წარწერა ექვსსტრიქონიანია, ძალიან დაზიანებულია. პროფ. ნ. ბერძენიშვილი მას ასე კითხულობს:

„ქე... (ორ)თავე
შა ს(უფევათა მე)ფე
თა (მეფე და) დე(დ)ოფ(ალ)
თმრ; წე(ლსა) მფბისა: მა
თისასა: კ: ანტნ: (ჶ)სა: მრ
ალეშენა ზღდე: ესე..."[143].

ქარაგმების გახსნით და დაზიანებული ადგილების აღდგენით:

ქრისტე ღმერთო, შეიწყალე ორთავე შისა სუფევათა მეფეთა მეფე და დედოფალი თამარ; წელსა მეფობისა მათისასა კ(20), ანტონ ჭყონდიდელისა მიერ აღეშენა ზღუდე ესე...

როგორც ჩანს, ვაჰანის მონასტრის ზღუდე ანტონ ჭყონდიდელს აუშენებია 1204 (1184+20) წელს.

წარწერა ფრიად საყურადღებო ძეგლია როგორც საისტორიო წყარო. ის გვამცნობს, რომ ვანის ქვაბები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1204 წლამდე სამეფო იყო და მხოლოდ ამის შემდეგ გადაეცა ის მხარგრძელებს, რადგან, როგორც ლ. მუსხელიშვილი სამართლიანად აღნიშნავს: საბატონო მონასტერს მეფის პირველი ვაზირი, ჭყონდიდელი ზღუდეს არ აუშენებდა. ამასთანავე წარწერას დიდი მნიშვნელობა აქვს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესთა ქრონოლოგიის დადგენისთვისაც.

როგორც პროფ. ნ. ბერძენიშვილსა აქვს გამოკვლეული, ჩვენს წარწერაში მოხსენებულ ანტონ ჭყონდიდელისათვის 1184 წელს თამარს მწიგნობართ-უხუცესობა მიუცია. „ჩქარა ამის შემდეგ (და შეიძლება სწორედ ამავე წელს)" ანტონისათვის ეს სახელო მიქელ ქარ-

---

143 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, 1940, გვ. 397, შენიშვნა 7.

თლის კათალიკოსს წაურთმევია და გარდაცვალებამდის სჭერია. მიქაელის გარდაცვალების შემდეგ კი ჭყონდიდელ-მწიგნობართ-უხუცესობა ისევ ანტონი იჭერს[144], რომელიც ჩვენი წარწერის მიხედვით 1204 წელსაც ისევ ამ თანამდებობაზეა.

## ბარალეთის წარწერა

სოფ. ბარალეთში, რომელიც ახალქალაქის ჩრდილოეთით მდებარეობს, 15-ოდე კილომეტრის მანძილზე, ორი ეკლესია დგას: ერთი ქართული და ერთი სომხური. ქართული ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა. წარწერა, განსაკუთრებით მისი ბოლო ნაწილი, ისეა დაზიანებული, რომ სრულიად არაფერი ირჩევა. წარწერა დაზიანებული ყოფილა გასული საუკუნის ბოლო წლებშიაც, როცა იგი ინახულა და გამოაქვეყნა კიდეც ივ. როსტომაშვილმა, ჯავახეთის სხვა წარწერებთან ერთად[145]. ივ. როსტომაშვილს წარწერა ასე აქვს წაკითხული:

...ႸႤ·Ⴀ ႤႩႪႤႱႨႠႨ ႤႱႤ
ႫႠႧ ႯႠႫႧ ႸႨႬႠ ႭႣႤႱ ႪႠႸႠ
ႫႤႴႤႣ ႣႠ·ႿႣႠ ႠႣႨႣႤႬ ႶႫႰႧႫႠႬ ႭႰႧ...

ქარაგმების გახსნით:

(ალე) შენა ეკლესიაი ესე მათ ჟამთა შინა, ოდეს ლაშა მეფედ დაჯდა. ადიდენ ღმერთმან ორთ(ავე ცხორებათა...).

ი. როსტომაშვილის წაკითხვას ჩვენ ახალს ვერაფერს ვუმატებთ, პირიქით, რამდენიმე ასო, რომლებიც, როგორც ჩანს, მაშინ კარგადა ჩანდა, ახლა ველარ იკითხება.

როგორც წარწერაშია ნათქვამი, ეკლესია აშენებულია „ოდეს ლაშა მეფედ დაჯდა“. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეკლესია სწორედ ამ თარიღთან დაკავშირებითაა აშენებული, ზეიმის ნიშნად, მაგრამ შესაძლოა ლაშას გამეფება აქ უბრალოდ თარიღის აღსანიშნავადაა მოხსენებული.

## ახალქალაქის წარწერა

ახალქალაქის წარწერა, რომელიც კარგახანია დაკარგულად ითვლება, ორჯერ არის გამოქვეყნებული: პირველად ივ. როსტომაშვი-

---

144 ნ. ბერძენიშვილი. სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, ენიმკის მოამბე, ტ. V-VI, 1940. გვ. 397.

145 ივ. როსტომაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

ლის[146], ხოლო მეორედ—ე. თაყაიშვილის მიერ[147]. რომელსაც წარწერის ფოტოსურათიცა აქვს დაბეჭდილი. წარწერა ქვაზე ყოფილა მოთავსებული და ახალქალაქში ფერისცვალების ეკლესიის ეზოში დებულა.

ქვას შუაში ჯვარი ჰქონია და მის ორსავე მხარეს წარწერა. როგორც ორივე გამომცემელი აღნიშნავს და ფოტოსურათიდანაც კარგად ჩანს, ქვის მომტვრევის გამო წარწერის მარცხენა ნაწილისა აღარაფერია დარჩენილი, მარჯვენა ნაწილი კი კარგად არის შენახული.

წარწერას ე. თაყაიშვილიც ისევე კითხულობს, როგორც ივ. როსტომაშვილი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ე. თაყაიშვილმა აღადგინა ერთი ასო, რომელიც როსტომაშვილმა ვერ წაიკითხა და ერთი ასოს წაკითხვაც შეასწორა. წარწერის გაშიფვრაში კი ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. როსტომაშვილს არა აქვს გაშიფრული IV სტრიქონის პირველი ორი სიტყვა და ამას გარდა ე. თაყაიშვილმა აზრის მიხედვით აღადგინა ქვის მარცხენა, მოტეხილი ნაწილის სამი სიტყვა: ორი—პირველ სტრიქონში და ერთი—მეორე სტრიქონში. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს განსხვავება არსებითს არაფერს იძლევა.

წარწერა ექვსსტრიქონიანია. სიტყვების ერთიმეორისაგან განკვეთილობის ნიშნად ორი წერტილია ნახმარი. ექ. თაყაიშვილი მას ასე კითხულობს:

...ႠႶႥ-ႸႬႤ: ႤႱႤ: Ⴜ-Ⴄ:
...ႱႱႠ: ႻႠ: ႠႫ-ႰႱჁ
...ႢႫႰႤႩႪႱႠ: ႻႤႧႠ:
...ႰႲ-ႨႱ: ႮႲ-ႰႬႡႠ: ႸႠ
...ႭႺႥႪႣ ႱႭႪ-ႱႠ: ႣႠ:[149]
...ႠႨႱ-ႣႠႢႱ: ႸႤ-ႼႬ: ႶႫ-Ⴌ: ႠႫ-Ⴌ:

(სახელითა ღმრთისაჲთა) აღვაშენე ესე წმინდაი (ეკლესიაი)... ამირსპასალარისა... გამრეკელისა ძეთა... რატის პატრონობასა შინა... სალოცველად სულისა და... ისდაგს შეიწყალენ ღმერთმან, ამინ.

---

[146] И. П. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, вып. XXV, 1898, стр. 37.

[147] Материалы по археологии Кавказа, вып. XII, 1909, стр. 24—25.

[149] ამ სტრიქონის პირველი სიტყვის ბოლო ასო—ივ. როსტომაშვილს ვერ წაუკითხავს, ხოლო მეორე სიტყვის შუა ასო —ი შეცდომით ე—დ აქვს წაკითხული (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 37).

«(Во имя бога) построил сию святую (церковь)...въ амир-спасаларство... сыновей Гамрекели... в господство Рата... в моление за душу и... Исдиага да помилует Бог, аминь».[149]

ივ. როსტომაშვილი არაფერს ამბობს წარწერის ხნოვანებისა და მასში მოხსენებულ პირთა ვინაობის შესახებ.

ე. თაყაიშვილს ახალქალაქის წარწერა, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, XI საუკუნისად მიაჩნია და მასში მოხსენებულ პირთა შესახებაც აქვს მოსაზრება გამოთქმული. წარწერაში მოხსენებული რატი, ე. თაყაიშვილის მოსაზრებით, არის რატი III, შვილი იმ ლიპარიტისა, რომელიც არა ერთხელ შეებრძოლა ბაგრატ IV და ბოლოს, ბერად შემდგარი, ათონში გარდაიცვალა. გამრეკელები ჯერ კიდევ X ს-ში არიან ცნობილნი, ხოლო ისდიაგი ცნობილი არააო[150].

თორელთა გვარის გენეალოგიის საკითხთან დაკავშირებით ახალქალაქის წარწერას ლ. მუსხელიშვილიც შეეხო. მან წარწერის „მნიშვნელოვანი" ნაწილი ასე აღადგინა: „(ქ)ალვაშენე ესე წმიდაი (მეფობასა თამარი)სსა და ამირ-სპ(ასალარისა) გამრეკელისა ძეთა (და)— რატისა პატრონობასა შინა „...ცხადია, ამბობს ლ. მუსხელიშვილი, რომ წარწერაში მოხსენებული გამრეკელი არის „დიდი გამრეკელი თორელი". სხვა ამირ-სპასალარს გამრეკელს ჩვენ არ ვიცნობთ. პალეოგრაფიულად წარწერა თამამად შეგვიძლია XII ს-ისად ჩავთვალოთ, კონტექსტიდან საფიქრებელია, რომ გამრეკელი ამ დროს უკვე გარდაცვლილია, ე. ი. რომ წარწერა 1190(91) წლების შემდეგაა გაკეთებული, როდესაც ჯავახეთს მისი შვილები ჰპატრონობდნენ[151]. რატის შესახებ კი იქვე სქოლიოში აღნიშნავს: „რატი შეიძლება ქართლის ერისთავი რატი სურამელი იყოს, რომლის ხელი ამ დროს ეგებ ჯავახეთსაც მისწვდებოდა, ან კიდევ მას შეიძლება მიწები ჰქონდა ახალქალაქის რაიონში. მაშინ შეიძლება ნაკლული ადგილიც შევავსოთ: „...გამრეკელისა ძეთა (და ქართლის ერისთავის) რატისა პატრონობასა შინა"[152].

სწორი უნდა იყოს ლ. მუსხელიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „წარწერა 1190(91) წლების შემდეგაა გაკეთებული". მართალია

---

149 МАК, XII, стр. 25.

150 იქვე.

151 ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსკურსიები, 1941, გვ. 64.

152 იქვე, გვ. 64, შენიშვნა 2.

ისიც, რომ ამირსპასალარ გამრეკელს მხოლოდ ერთს ვიცნობთ, მაგ-
რამ არ არის უეჭველი, რომ ახალქალაქის წარწერაში ამირსპასალა-
რი გამრეკელის ეპიტეტი იყოს, როგორც ამას ლ. მუსხელიშვილი
ფიქრობს. და რაც მთავარია, წარწერაში რატი არ იკითხება.

წარწერის პირველი სტრიქონის ჯვრის მარცხნივ მდებარე დაზი-
ანებულ ნაწილში ლ. მუსხელიშვილს მხოლოდ ერთი ასო—ქ აქვს ნა-
ვარაუდევი, რაც ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია. მარტო ერთი
ასოს გულისათვის წარწერის გამკეთებელი ჯვრის მარცხენა მხრიდან
არ დაიწყებდა წერას. ამასთანავე მხედველობაში მისაღებია ისიც,
რომ საალმშენებლო ხასიათის წარწერები უმთავრესად შემდეგი სი-
ტყვებით იწყება ხოლმე: „სახელითა ღმრთისაჲთა“, „დედაო ღმრთი-
საო“, „ქრისტე შეიწყალე“; ანდა—„ამა წმიდისა“ და სხვ. ამიტომ
ვფიქრობთ, რომ პირველი სტრიქონის მარცხენა დაზიანებულ ნაწილ-
ში „ქ“-ს გარდა ორი სიტყვა მაინც სხვა იქნებოდა. ამასთანავე აღსა-
ნიშნავია ისიც, რომ მსგავს ეპიგრაფიკულ ძეგლებში, რომლებსაც შუ-
აში ჯვარი აქვთ გაკეთებული, როგორც წარწერის ორივე მხარის,
ასევე ცალკე მხარის სტრიქონებს შორის ასოთა რაოდენობა დაახ-
ლოებით ერთნაირია ხოლმე, გარდა ბოლო სტრიქონისა, რომელიც
ხშირად პატარა, ან და დიდია ხოლმე სხვა სტრიქონებთან შედარე-
ბით. ასე, მაგალითად: ზედა ვარძიის წარწერის მარცხენა ნაწილში,
სტრიქონებს შორის მხოლოდ ერთი ასოთია განსხვავება (11 და 12
ასოა), მარჯვენა ნაწილში კი სამი ასოთი (8—11). დაახლოებით ასე-
თსავე სურათს იძლევა სხვა წარწერებიც. ჩვენი წარწერის გადარჩე-
ნილი მარჯვენა ნაწილის სტრიქონებს შორის ორი ასოთია განსხვა-
ვება (10—12).

მეორე სტრიქონის დაზიანებული ნაწილი ლ. მუსხელიშვილს ასე
აქვს აღდგენილი: ...„მეფობასა თამარი“.., რაც კონტექსტის მიხედ-
ვით გაუმართლებელი უნდა იყოს, რადგან პირველი სტრიქონი ასე
მთავრდება: „აღვაშენე ესე წმიდაი“, და ამის შემდეგ მეორე სტრიქო-
ნის დასაწყისში ცხადია ნათქვამი იქნებოდა სახელდობრ რა „აღა-
შენა“, ამიტომ ვფიქრობთ, რომ მეორე სტრიქონის დასაწყისში იქნე-
ბოდა „ეკლესიაი“. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ „სსა“-ს მიხედ-
ვით ისევე შეიძლება სხვა მეფეების სახელის აღდგენაც, როგორც
თამარისა.

წარწერაში მოხსენებულ პირთა ვინაობის გამოსარკვევად დიდი
მნიშვნელობა აქვს მესამე სტრიქონის დაზიანებული ნაწილის აღდგე-

ნას. ლ. მუსხელიშვილი აქ მეორე სტრიქონის უკანასკნელი სიტყვის გადატანილ ნაწილს გულისხმობს მხოლოდ, რაც ჩვენ ასოების რაოდენობით ცოტა გვეჩვენება. ამ სიტყვის მარჯვენა ნაწილი—„ამრსპ" ამოვნილაა დაქარაგმებული, ცხადია. მარცხნივ გადატანილი ნაწილიც ასევე იქნებოდა დაქარაგმებული—„სლრსა", რაც პირველ და მეორე სტრიქონთან შედარებით მოკლეა. ამ სტრიქონებში, როგორც ზემოთ დავინახეთ, აღდგენის მიხედვით დაახლოებით 10 ასო მაინც მიდის, ამიტომ მესამე სტრიქონის მარცხენა ნაწილში ერთი სიტყვა კიდევ უნდა იყოს სავარაუდო: კონტექსტის მიხედვით ამირსპასალარის სახელი. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ „ამირსპასალარი" უმრეკელის ეპიტეტი არაა.

მეოთხე სტრიქონის დაზიანებულ ნაწილში ლ. მუსხელიშვილს ნავარაუდევი აქვს—„და ქართლისა ერისთავი", რაც მარჯვენა ნაწილის პირველი სიტყვის „არტს"-ის „რატის"-ად გაშიფრვის მიხედვით აქვს აღდგენილი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლ. მუსხელიშვილმა ახალქალაქის წარწერა თამარის დროით დაათარიღა და ამიტომ დასაშვებად მიიჩნია, რომ მასში მოხსენებული რატი ქართლის ერისთავი, რატი სურამელი იყოს, რომლის ხელი „ამ დროს ჯავახეთსაც მიწვდებოდა, ან კიდევ მას შეიძლება მიწები ჰქონდა ახალქალაქის რაიონში"[153]. ლ. მუსხელიშვილის ეს მოსაზრება ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია, რადგან „არტს"-ის „რატის"-ად წაკითხვა არაა სწორი (ასევე კითხულობდნენ ამ სიტყვას ი. როსტომაშვილი და ე. თაყაიშვილი). ასო ა, რომ ამ სიტყვას არ ეკუთვნოდეს და ის მარცხენა დაზიანებული ნაწილის უკანასკნელი სიტყვის მარჯვნივ გადატანილი ბოლო ასო იყოს, როგორც ამას აღნიშნული ავტორები ფიქრობენ, მაშინ ის მომდევნო ასოსაგან აუცილებლად ორი წერტილით იქნებოდა გამოყოფილი, რადგან წარწერის ყოველი სიტყვა აქ გამოყოფილია მეორისაგან ორი წერტილით (ეს მშვენივრად ჩანს ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული ფოტოსურათიდან და ივ. როსტომაშვილის მიერ გადმოხატული წარწერიდანაც. წარწერის ბოლო სტრიქონში მარცხნიდან მარჯვნივ გადმოტანილი ერთი ასო ა-ნიც მომდევნო ასოსაგან ორი წერტილითაა გახკვეთილი). ამგვარად, ა ამ სიტყვას ეკუთვნის. ის ან სიტყვის დასაწყისი ასოა, ანდა სიტყვა ორადაა გაყოფილი: ნაწილი ასოებისა ჯვრის მარცხნივ იქნებოდა და ნაწილი კი—„არტს" მარჯვნივაა გადმოტანილი. კონტექსტის მიხედვით აქ მართლაც კაცის სახელი უნდა იყოს და ვფიქრობთ, რომ მეორე შემ-

---

153 ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 64, შენ. 2.

თხზევასთან უნდა გვქონდეს საქმე. ე. ი. სიტყვა ორადაა გაყოფილი „ლიპ" (ან „ლპ") მარცხნივ იქნებოდა. „არტს" კი მარჯვნივ არის გადატანილი; ამიტომ უნდა წაკითხული იქნეს „ლიპარიტის". ამრიგად, წარწერის მესამე სტრიქონში რომ ნათქვამია „გამრეკელისა ძეთა"-ო, მეოთხე სტრიქონის მარცხენა დაზიანებულ ნაწილში ჩამოთვლილია ამ გამრეკელის ძეთა სახელები, რომელთაგან უკანასკნელი ლიპარიტია.

ლ. მუსხელიშვილის თქმით „სრულიად უდავოა, რომ XII ს-ის დამლევს თორელები ჯავახეთს ჰფლობენ"[154]. ასევე ჩანს XIII საუკუნეშიაც; მონღოლებმა საქართველოს ახალი ადმინისტრაციული დაყოფისას ისევ თორელებს მისცეს ჯავახეთი[155]. 1260 წელს ახალქალაქის ერისთავად კახა თორელი იხსენიება[156].

პალეოგრაფიულად ახალქალაქის წარწერა XII—XIII სს. გამოიყურება. ვფიქრობთ, რომ XII ს-ის II ნახევარზე ადრინდელი არ არის. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ მასში სიტყვა „ამირსპასალარი" გვხვდება. ეს სიტყვა კი აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით „პირველად მხოლოდ გიორგი III და თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში გვხვდება". ამაზე ადრინდელ ყველა წყაროებში კი მოხსენებულია „სპასალარი" და სიტყვა „ამირსპასალარი" არა ჩანს[157]. ამიტომ ჩვენს წარწერაში მოხსენებული ლიპარიტ გამრეკელის ძე XII ს. პირველი ნახევრის შემდეგაა საძიებელი.

XII ს-ის მეორე ნახევარში თორელთაგან ლიპარიტ გამრეკელის ძე არაა ცნობილი. იმ ცნობილ გამრეკელ თორელს, რომელიც გარდაცვალებისას 1190/91 წლებში ამირსპასალარად იხსენიება, ლიპარიტი არა ჰყოლია. მის შვილებს, ლ. მუსხელიშვილის აზრით, რომელსაც ჩვენ ვიზიარებთ, ერთს შალვა ერქვა და მეორეს ივანე, ეს ის შალვა და ივანეა, ჩვენს ისტორიაში ახალციხელთა სახელწოდებით რომ არიან ცნობილნი[158].

XIII ს-ში თორელთაგან ლიპარიტი მხოლოდ ერთია ცნობილი, რომელიც „1249 წლის ქვეშ იხსენიება"[159] და ჟამთააღმწერელის

---

[154] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

[155] ჟამთააღმწერელი, შარიაშვილისეული ქართლის ცხოვრება, ე. თაყაიშვილის რედაქციით, 1906. გვ. 623.

[156] იქვე. გვ. 671

[157] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნ. I, 1928. გვ. 141.

[158] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 62—67.

[159] იქვე. გვ. 69.

თქმით, „რომელსა დევისყურცა ეწოდებოდა[160]. ჟამთააღმწერელი არაფერს ამბობს ვისი ძეა ეს ლიპარიტი. ლ. მუსხელიშვილი სვამს კითხვას, ხომ არ არის ლიპარიტი „გამრეკელ II-ის ძე?“[161]. მართლაც იმ გამრეკელ თორელის ძე უნდა იყოს ეს ლიპარიტი, რომელიც მონღოლების შემოსევის შემდეგ რამდენიმეჯერ და უკანასკნელად კი ცნობილ კოხტასთავის შეთქმულებაში (1247 წ.) მონაწილედ არის მოხსენებული, სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად[162]. ყველა ზემოთქმულის შემდეგ, მოსაზრების სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს წარწერაში მოხსენებული ლიპარიტი ის ლიპარიტია, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ჟამთააღმწერელის თქმით „დევისყურცა“ ეწოდებოდა.

საფიქრებელია, რომ ახალქალაქის წარწერაში მოხსენებული ლიპარიტი და 1260 წელს მოხსენებული კახა თორელი ძმები იყვნენ, როგორც ამას ნ. შოშიაშვილი ფიქრობს[163]. „რკონის დაწერილის“ მიხედვით კახას ძმები ყავს. ერთ მათგანს ასიბაი რქმევია[164]; ახალქალაქის წარწერის მიხედვითაც გამრეკელს რამდენიმე შვილი ყავს „გამრეკელისა ძეთა“-ო ნათქვამია მასში და ჩამოთვლილიცაა მათი სახელები, მაგრამ, სამწუხაროდ, წარწერის დაზიანების გამო, მხოლოდ ბოლო სახელი ლიპარიტი-ღა იკითხება. თუ ეს ჩვენი მოსაზრება სწორია, მაშინ ისიც შეიძლება ითქვას, რომ კახა უფროსია ლიპარიტზე, რადგან ახალქალაქის ერისთავად ის იწოდება და ამასთანავე, რაც მთავარია, ჩვენს წარწერაში ლიპარიტი გამრეკელის ძეთა ჩამოთვლისას ბოლოშია მოხსენებული.

ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ახალქალაქის წარწერაში მოხსენებული მეფე, დავით ლაშას ძეა, ამირსპასალარი კი—ავაგი, ანდა ზაქარია შანშეს ძე[165], ხოლო წარწერა ასე უნდა იქნეს აღდგენილი:

---

[160] ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, მარიამისეული ქართლის ცხოვრება, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამ., 1906, გვ. 655.

[161] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

[162] ჟამთააღმწერელი, მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, 1906, გვ. 634.

[163] ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი „რკონის დაწერილი“ როგორც ისტორიული წყარო, 1952, გვ. 16 (დისერტაცია).

[164] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები II, 1897, გვ. 133—134.

[165] ჟამთააღმწერელი, მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამ., 1906, გვ. 624—641.

[+ ႱႾႪ҃Ⴀ ႶႫႰႧႱႠ]
[ႤႩႢႱႤ ႫႴႨႱႠ ႣႭ]
ႱႦႰႢႱႠ ႠႹႱႠ][166]
[ႩႲႱ ႠႱႨႱ ႣႠ ႦႮ]
- - - - - - - - - -[ႱႦ]
- - - - - - - - - - -

ႠႶႥ҃ႸႬႤ: ႤႱႤ: Ⴜ҃Ⴄ:
ႱႱႠ: ႣႠ: ႠႫ҃ႰႱႮ
ႢႫႩ҃ႪႤႱႠ: ႻႤႧႠ:
ႠႩႾႱ: ႮႣ҃ႠႬႨႠ: Ⴘ҃Ⴀ
ႭႠႰႦႣ: ႱႦႤႱႠ: ႣႠ:
Ⴀ: ႨႱႣ҃ႠႢႱ: ႸႤ҃ႣႬ: Ⴖ҃Ⴌ: Ⴀ҃Ⴌ:

ქარაგმების გახსნით:

სახელითა ღმრთისაჲთა აღვაშენე ესე წმიდაი ეკლესიაი, მეფობასა დავითისასა და ამირსპასალარობასა ავაგისა, გამრეკელისა ძეთა: კახას, ასიბას და ლიპარიტის პატრონობასა შინა...სალოცველად სულისა და... ისდიაგს შეუნდევენ ღმერთმან, ამინ.

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ როგორც არ უნდა იქნეს აღდგენილი ახალქალაქის წარწერა, ერთი რამ უდავოა—მასში არ არის მოხსენებული რატი. ამიტომ უარყოფილი უნდა იქნეს ამ წარწერის მიხედვით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ზემოაღნიშნული მოსაზრება იმის შესახებ, რომ: შეიძლება რატი სურამელს ხელი მიუწვდებოდა ჯავახეთში, ან იქნებ მიწები ჰქონდა ახალქალაქის რაიონშიო.

თორელთა შესახებ ჩვენ აქ საგანგებოდ არ შევჩერდებით, რადგან ამ საკითხისადმია მიძღვნილი ლ. მუსხელიშვილის ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებული ნაშრომი, სადაც ამომწურავადაა განხილული მათ შესახებ არსებული მასალა, აღსანიშნავია მხოლოდ შემდეგი:

1. თორელების ნამდვილი გვარი სამძივარი იყოო, ამბობს ლ. მუსხელიშვილი და შესაძლებლად თვლის, რომ ეს გვარი დაკავშირებული იყოს დიდი ლიახვის სათავეებში მდებარე სოფ. მზივთან, ან და ხონის ახლოს მდებარე ადგილ სამზიართან[167]. როგორც ნ. შოშიაშვილიც აღნიშნავს[168], უფრო დამაჯერებელი უნდა იყოს ამ საკითხზე ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება, რომელიც თვლის, რომ სამძივართა გვარი უნდა უკავშირდებოდეს XV ს-ის საბუთში მოხსენებულ მესხეთში მდებარე სამძივის ხევს[169].

2. ვერ დავეთანხმებით ლ. მუსხელიშვილს იმაშიაც, რომ თორელობა „განსაკუთრებული პატივი იყო და მამისაგან მხოლოდ უფროს

[166] ან ႦႵႰႱႠ—ზაქარიასა.

[167] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 59—60.

[168] ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

[169] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I, 1937, გვ. 68.

შველზე გადადიოდა"[170]. ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება თამარ მეფის ანონიმი ისტორიკოსის ცნობა, რომელსაც ნათქვამი აქვს, რომ ბასიანის ომში: „წინა მებრძოლად იყო ზაქარია მქარგრძელი, ამირსპასალარი და ახალციხელნი შალვა და ივანე და სხუანი თორელნი"[171]. აქ, როგორც შალვა, ისე ივანე და „სხუანი"-ც თორელებად იწოდებიან[172].

## ხორენიას და კარნეთის წარწერები

### 1. ხორენიას წარწერა

სოფელ ხორენიაში, რომელიც მდებარეობს ახალქალაქის სამხრეთით, 7-ოდე კილომეტრის მანძილზე, ორი ძველი ეკლესია დგას, რომელთაგან ერთი შედარებით პატარაა მეორეზე. ივ. როსტომაშვილის ცნობით, რომელმაც 1896 წელს ინახულა ხორენია, პატარა ეკლესიის წარწერები ისე ყოფილა განგებ გაფუჭებული, რომ აღარაფერი ირჩეოდა. მეორე დიდ ეკლესიას ოთხი წარწერა ჰქონია. ყველაზე დიდი და შინაარსის მხრივაც მნიშვნელოვანი წარწერა მოთავსებული ყოფილა ეკლესიის სახურავზე. ივ. როსტომაშვილი ფიქრობს, რომ აქ წარწერიანი ქვა მოხვედრილია გვიან მოსული სომხების მიერ ეკლესიის გადაკეთების დროს.

ივ. როსტომაშვილს წარწერა ასე აქვს გადმოწერილი:

ႠႫႤႬ ႭႰႭႃႭႰ Ⴗ ႵႷ..
႙Ⴐ... ႭႠ ႸႤႱႨႬ ႫႰ... ႨႦႬႤ
ႬႃႤႱ ႨႱႬႤ ႸႤ ႯႠႨႰ ႨႰႦႭႰႦႤႬ
ႦႬႺႰ... ႬႰႴႦႤႫႤႭ ႸႠႨႷ
-ႠႬႨႫႭ ႠႺႫႰ ႾႷႫႸႤႴႤ ႰႭႰ
ႱႤ ႭႤႭႃႤ ႵႰႭ ႱႷႦႰ ႫႰ ႸႤႴႤ
ႱႰ Ⴆ... ႴႠႃႤႭ...

კითხულობს:

„ოდეს თათართა... ქვეყანაი წაართო მისგან... ბოლონი კარის ბჱენი... გავათავენ ვინცა... ნახვიდეთ მოგვიგონებდეთ ოცდა ჩვიდმეტი ათასი თეთრი ქათალიკოზისა და მეფისა..."[173].

---

[170] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 68.

[171] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის გამ., 1941 გვ. 126.

[172] ვრცლად ამის შესახებ იხ. ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

[173] И. Ростомов. Ахалкалакский уезд в археологическом отношении, Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, 25, 1898. стр. 119—121.

ათიოდე წლის შემდეგ, როცა ე. თაყაიშვილმა ინახულა ხორენიას სიძველენი, ეკლესია რკინის ფურცლებით ყოფილა გადახურული და ამიტომ მას წარწერა ვერ უნახავს. ე. თაყაიშვილიც აღნიშნავს, რომ ეკლესია გადაკეთებულია. როსტომაშვილის გადმოწერილის მიხედვით. ე. თაყაიშვილმა წარწერა ასე წაიკითხა: „ოდეს თათართა ყოველი ქვეყანაჲ წაგვართო, მისგან დაუმთავრებელი კარის ბჭენი მე ჩოგა გავათავეჱ. ვინცა ამას ნახვიდეთ, მოგვიგონებდეთ. ოცდაჩვიდმეტი ათაჲი თითრი ქათალიკოზისა და მეფისა ვახმარეთ"[174].

წარწერის თარიღის შესახებ ივ. როსტომაშვილი არაფერს ამბობს. ე. თაყაიშვილის თქმით კი, თუ ეს წარწერა ხორენიას ძველ ეკლესიას ეკუთვნის და სხვა ადგილიდან არ არის მოტანილი, მაშინ მასში მოხსენებულ თათრებად უნდა ვიგულისხმოთ ბაგრატ IV დროს შემოსული თურქ-სელჯუკები[175]. საიდანაც არ უნდა იყოს წარწერა, ე. თაყაიშვილის მოსაზრება წარწერის ბაგრატ IV დროით დათარიღების შესახებ არ არის მართებული, ვინაიდან თურქ-სელჯუკებს ქართველები თათრებს არ უწოდებდნენ. სიტყვა „თათარი" მონღოლებამდე არ იცის ჩვენმა წერილობითმა წყაროებმა. ამიტომ ხორენიას წარწერა XIII საუკუნისაა და მონღოლებზეა მასში ნათქვამი „ოდეს თათართა ყოველი ქვეყანაჲ წაგვართო"-ო.

## 2. კარნეთის წარწერა

დაახლოებით ასეთივე შინაარსის წარწერა ჰქონია ხორენიას მახლობლად (სამხრეთით), მდ. თავფარავანის მარჯვენა ნაპირზე მდებარე კარნეთის ეკლესიასაც. წარწერის ნაწილი, როგორც მისი გამომცემელი ივ. როსტომაშვილი აღნიშნავს, ცულით თუ ჩაქუჩით განგებ'ა გაფუჭებული და მხოლოდ ნაწილის გარჩევა-ღა ხერხდება. გადარჩენილი ნაწილი ივ. როსტომაშვილს გადმოუწერია და მისი გაშიფრვაც უცდია:

...ႰႬႨႱ ႻႨႱႠ ႢႠႫႡႠႰႱ ႨႢ...
...ႿႭႫႭ ႡႳႷႫႢႰႨႭႡႠ ႡႨႨႠႰ
. . . . . . ႱႨႭႱ... Ⴀ ႿႨႬ
ႷႰႨႣႠ...Ⴐ...Ⴂ...ႨႣႠ...
ႣႠ ႭႡႨႱ ႫႨႫႭႫႿႭႡႨႱ ႴႢႨႠႫ...Ⴌ
ႭႢႡႠ ႠႣႨႣႠႺ.......ႭႨႲႫႨႯႨ
ႠႣႠႱႨ ႣႨႣႫႨ ႵႠႣႬႨႸႬ...

---

[174] Материалы по археологии Кавказа, вып. XII, 1909, стр. 31.
[175] იქვე.

კოთხულობს:

„...ძისა ვარდანს... მაედანი... ოდეს მიმომხოდეს კაცი..: ოცდა ათი მეტი ათასი თეთრი ქართული კათალიკოზი?[176]...".

როგორც ჩანს, ეს წარწერაც ხორენიას წარწერის დროინდელია და აქაც ეკლესიის აშენებაზე დახარჯული კათალიკოზის ფულის შესახებაა ლაპარაკი. ამდენად ეს წარწერაც ხორენიას წარწერასთან ერთად შესანიშნავი დოკუმენტია XIII ს. საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის შესასწავლად. ეს წარწერები ავსებენ და ამასთან ადასტურებენ სხვა წერილობითი წყაროების ცნობებს მონღოლთა ბატონობის შედეგად ქვეყნის ეკონომიური დაქვეითების შესახებ.

აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით „თეთრი" ვერცხლის საფასის ან, საერთოდ, ფულის მარტო ზოგადი სახელი კი არ იყო, არამედ გარკვეული ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინიც[177]. ამას ჩვენი წარწერებიც ადასტურებენ. როგორც იმავე მკვლევარს აქვს აღნიშნული, ტერმინი „თეთრი" პირველად X საუკუნის შიო-მღვიმის მონასტრის ფავნელთა სიგელში[178] გვხვდება, ხოლო მომდევნო ხანის წერილობით წყაროებში ის ჩვეულებრივი სიტყვა ხდება[179]. XVI საუკუნის ცნობების მიხედვით „სრული თეთრის" ერთეულის გარდა ნახევარი თეთრი ყოფილა[180].

ხორენიას წარწერაში ნათქვამია: „...დაუმთავრებელი კარის ბჭენი მე ჩოგა გავათავენ, ვინცა ამას ნახვიდეთ მოგვიგონებდეთ"-ო და ბოლოს აღნიშნულია, რომ ოცდაჩვიდმეტი ათასი თეთრი კათალიკოსისა და მეფისა ვახმარეთო. როგორც ჩანს, ჩოგა ადგილობრივი ფეოდალია და თავის ეკლესიას აშენებს. ამიტომაა, რომ წარწერაში აღნიშნავს: „ვინცა ამას ნახვიდეთ მოგვიგონებდეთ"-ო. მეფისა და კათალიკოსის შესახებ კი ასეთი რამ არაა თქმული, აღნიშნულია მხოლოდ მათი ფულადი დახმარება.

საჭიროა აიხსნას, თუ რატომ გაიღეს მეფემა და კათალიკოსმა ჩოგას მიერ წამოყენებული ეკლესიის ასაშენებლად,35 ათასი თეთრი. ცხადია, როგორც მეფე, ისე კათალიკოსი რაღაცნაირად დაინტერე-

---

[176] ი ვ. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

[177] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, 1925, გვ. 18.

[178] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, გვ. 2.

[179] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

[180] ი ქ ვ ე, გვ. 18.

სებული იყვნენ ამ მშენებლობით, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ფეოდალს ეკლესიას არ აუშენებდნენ. ამ საკითხის ახსნა ჭირს იმის გამო, რომ თვით წარწერა არაფერს გვამცნობს ამის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია მხოლოდ ის გარემოება, რომ ამ მხარეში (ჯავახეთი) როგორც კათალიკოსს, ისე მეფეს ჰქონდათ მამულები. ვფიქრობთ, რომ ამ მხარეში მათ სამამულო მფლობელობასთან უნდა იყოს როგორღაც დაკავშირებული მათი დაინტერესება აქ საეკლესიო მშენებლობით.

ხორენიას და კარწეთის ეკლესიების მშენებლობაზე მეფის და კათალიკოსის ფულის დახარჯვა, რამდენიც არ უნდა ყოფილიყო ეს თანხა, იმის მაჩვენებელია, რომ ადგილობრივ ფეოდალს—ჩოგასხელის დაპმარების გარეშე. მარტო თვითონ არა ჰქონია იმდენი მატერიალური სახსარი, რომ ეკლესია აეშენებინა. ფეოდალთა ასეთი ხელმოკლეობა დამახასიათებელია მონღოლთა ბატონობის ხანისთვის საქართველოში. ამას სხვა ეპიგრაფიკული ძეგლებიც ადასტურებენ. ასე მაგალითად. აბელიის ეკლესიის წარწერაში მისი აღმშენებელი ეპისკოპოსი ჩივის: ...„მას ჟამსა ჴელვყავ შენებად. ოდეს თათართა დაეპყრა ესე სამეფო და ყოელი ქუეყანაჲ. ძალით და შრომით შეემართებოდა ჩემებრ გლახაკისა და არას მქონებლისაგან. გარნა პატრონთა წყალობით ჴელვყავო"[181]. მანგლელ ეპისკოპოსსაც-კი არა ჰქონია იმდენი საშუალება, რომ საკუთარი სახსრებით ეკლესია აეშენებინა: „პატრონთა წყალობით ხელვყავო". ასეთსავე მატერიალურ ხელმოკლეობაზეა ლაპარაკი ქობერის ეკლესიის წარწერაშიაც[182].

ანალოგიური ცნობები გვხვდება სხვა წერილობით წყაროებშიაც: კახა ერისთავთ-ერისთავის 1260 წ. რკონის დაწერილი გვამცნობს, რომ „მათ ჟამთა დიდ ქუეყანანი დაისყიდნეს. ხარკობისაგან ოქროჲ ძვირ იყვის და სოფელი იეფად"... აქვე აღნიშნულია, რომ სოფელი ხოვლე სამოცდახუთი ათას თეთრად გაყიდულა[183]. ამასთან დაკავშირებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხორენიის ეკლესიის აშენებაზე 37 ათასი თეთრი დაუხარჯავს ამშენებელს (თანაც. ეს თანხა, კონტექსტის მიხედვით, მხოლოდ ნაწილი ჩანს მშენებლობაზე დახარჯული მთელი თანხისა), ცხადი გახდება, თუ რამდენად გაიაფებულა სოფელი, თუკი მისი ფასი 2 პატარა ეკლესიის ასაშენებლად საჭირო თანხასაც კი არ შეადგენს.

---

[181] Е. Такайшвили, Арх. экск., II, 1905, стр. 17—18.

[182] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I', გვ. 1·8.

[183] იქვე. გვ. 133—134.

ამრიგად, ხორენიას და კარნეთის წარწერები ცხადყოფენ, ერთის მხრივ იმას, თუ როგორ გაჭირვებას განიცდიდნენ მონღოლთა ბატონობის ხანაში არა მარტო უშუალო მწარმოებლები, არამედ ფეოდალებიც, რომლებსაც ერთი ეკლესიის აშენებაც აღარ შეეძლოთ მეფის ან კათალიკოსის მატერიალური დახმარების გარეშე, ხოლო მეორეს მხრივ იმას, თუ რამდენად გაიაფებულა მონღოლთა ხარკის შედეგად ამოძრავებული მამულები[184].

უნდა ვიფიქროთ, რომ ხორენიას და კარნეთის ეკლესიების მშენებლობაზე დახარჯულ ფულში მუშა-ხელის ქირაც შედიოდა. ამასთან დაკავშირებით ისმის საკითხი: ვინ იყვნენ მუშები—ყმა-გლეხები თუ თავისუფალი მწარმოებლები—„წვრილი ერი". წარმოდგენილი ორი წარწერის გარდა, ეკლესიის მშენებლობაზე დახარჯული თანხა დასახელებულია მხოლოდ ოშკის X ს. წარწერაში, სადაც აღნიშნულია, რომ ეკლესიის მშენებლობაზე ყოველწლიურად ხელოსნების და დამხმარე მუშების ქირად იხარჯებოდა 20.000 დრამა და გარკვეული რაოდენობის სანოვაგეც[185].

ა. ბაქრაძე, რომელიც უკანასკნელად შეეხო ოშკის წარწერას, ფიქრობს, რომ აქ თავისუფალ მუშა-ხელთან გვაქვს საქმე. ყმა-გლეხები იძულებული იქნებოდნენ უსასყიდლოდ ემუშავნათ თავიანთ პატრონებისათვის[186].

საკითხს იმის შესახებ არსებობდა თუ არა ჩვენში XIII საუკუნეში თავისუფალი მწარმოებელი საზოგადოება „ერი", უკანასკნელად ნ. შოშიაშვილი შეეხო, რომელმაც არსებული წყაროების განხილვის შედეგად დაასკვნა, რომ „XIII ს. დასაწყისში „ერი იხსენიება როგორც გარკვეული სოციალური ფენი... იგი მთლიანად გადაქცეულია ქონებრივად და უფლებრივად დაბალ საფეხურზე მდგომ, თუმცა უფლებრივად ჯერ კიდევ დამოუკიდებელ, აზნაურთა კლასისადმი თავისი მდგომარეობით დაპირისპირებულ ფენად"[187]. XIII ს.

---

[184] იხ. ამავე საკითხზე: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1949. გვ. 321; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია მე-13—14 სს., თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. VI, 1938, გვ. 283—301 მისივე: Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), 1938.

[185] Е. Такайшвили, Арх. экск. в южных провинциях Грузии, 1952, стр. 57.

[186] ა. ბაქრაძე, ქართული ეპიგრაფიკა როგორც ისტორ. წყარო (სადისერტაციო ნაშრომი), 1954, გვ. 48.

[187] ნ. შოშიაშვილი, რკონის დაწერილი, როგორც საისტორიო წყარო (სადისერტაციო ნაშრომი) 1952, გვ. 124.

შუა წლებში „სიტყვა „ერი“ ქცეულა დაბალი ხალხის, მდარეს სინონიმად. ეს მოწმობს, რომ ერის ქონებრივი და უფლებრივი დაკნინება და დაბეჩავება, XIII ს. შუა წლებისათვის უკვე დამთავრებულია“[188]. „XIV ს. კანონმდებლობაში „ერი“ აღარ იხსენიება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ XIII ს. ბოლოსათვის „ერი“ უკვე აღარ არსებობს როგორც სოციალური ფენა“[189].

ამრიგად, XIII საუკუნეში საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს თავისუფალ მწარმოებელთა ფენა, რომელიც, ცხადია, კარგი რეზერვი იქნებოდა დაქირავებული მუშების (თუმცა, ამ ფენის გაქრობის შემდეგაც მუშახელის დაქირავების ფაქტები ხშირი იყო) და ამდენად საფუძველი გვაქვს ვიგულისხმოთ, რომ ხორენიას და კარნეთის ეკლესიების მშენებლობაზე თავისუფალი მუშა-ხელი იყო გამოყენებული. ამასთან უნდა ვიფიქროთ, რომ ქირაობდნენ უმთავრესად ხელოსნებს (კალატოზებს, ხუროებს, მჭედლებს და სხვ.), რომლებიც, როგორც ჩანს, შუა საუკუნეებში ყველგან არ ყოფილან. ამის გამო ისინი ხშირად ძალიან შორს დადიოდნენ სამუშაოდ.

ამ მხრივ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის XIII ს. 30-იანი წლების აბუსერიძე ტბელის თხზულება, სადაც ნათქვამია, რომ: ბოლოკ-ბასილი „იყო ქვით ხუროდ, რომელსა ეწოდების გალატონი. და წარვიდა ქუეყანასა სომხითისსა, მახლობლად თბილისსა“ და იქ ეკლესიის მშენებლობაზე მუშაობდა[190]. ბოლოკ-ბასილი ზემო აჭარაში მდებარე შუარტყლიდან იყო წამოსული სამუშაოდ თბილისის სანახებში. ლ. მუსხელიშვილის თქმით ეს ადგილი ადრიდანვე ყოფილა ხელოსნებით ცნობილი: X ს. დამდეგს, ზარზმის ეკლესიას რომ აშენებდნენ, ხუროთმოძღვარი საბერძნეთიდან მოუწვევიათ, „ხოლო თანაშემწედ მისთვის გალატოზი მიუციათ, „სახელით შუარტყელი“, ე. ი. ჩვენი ბოლოკ-ბასილის თვისტომი“[191]. „ცნობილია თუ რა მცირე იყო ხელოსნობის ცენტრები შუა საუკუნეებში და ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ X ს-ში, ისევე როგორც XIII-ში ქვით-ხუროობა შუარტყლის პრივილეგიას წარმოადგენდა“[192].

---

[188] ნ. შოშიაშვილი, რკონის დაწერილი, როგორც საისტორიო წყარო (სადისერტაციო ნაშრომი), 1952., გვ. 124.

[189] იქვე, გვ. 124—125.

[190] აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, ლ. მუსხელიშვილის გამ., თბილისი 1941., გვ. 56—57.

[191] იქვე, გვ. 13.

[192] იქვე.

# პრტენას და საღამოს წარწერები

## 1. ძეგლების აღწერილობა, წაკითხვა და დათარიღება

### ა) პრტენას წარწერა

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში 1956 წელს მოიტანეს ხელიან-წარწერიანი ქვა, ახალქალაქის რაიონის სოფ. პრტენადან, რომელიც ბაგრატ აღვიძის სახლის კედელში იყო ჩაშენებული. ქვის ზომებია: 1,08×60×35 სმ.

ქვა ოთხწახნაგაა, სამმხრივ ტლანქად დამუშავებული. ქვის პირის ზედა ნახევარზე, ფონის ღრმა დადაბლებით, ამოკვეთილია გაშლილი ხელი; ხელის ორივე მხარეს და ბოლოშიაც მოთავსებულია ასომთავრული წარწერა (ტაბ. VIII).

წარწერა ასე იკითხება:

Ⴀ ႣႨ
ႣႤ ႧႫႰ
ႻႫႧ ႪႸႠ ႸႨႼႷႪ
Ⴁ~Ⴌ Ⴂ~Ⴐ ~ႢႩႱ ႻႤႬႨ

ქარაგმების გახსნით:

ადიდე თამარ და ძე მათი ლაშა, შეიწყალე ბ~ნ გ~რ გ~კს (გამრეკელის?) ძენი.

ბოლო სტრიქონის დასაწყისი ნაწილი—„ბნ გრ“ ჩვენ ვერ გავშიფრეთ. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ პირთა სახელებია შემოკლებული. „გკ>“ ჩვენი ვარაუდით უნდა წავიკითხოთ „გამრეკელის“-ად, იმიტომ, რომ ჯერ ერთი, სხვანაირად არა ხერხდება მისი გაშიფრვა და ამასთანავე, როგორც კარგადაა ცნობილი, ამ მხარის (ჯავახეთის) ნაწილი იმ დროს გამრეკელთა მფლობელობაში იყო[103].

წარწერა თამარისა და მისი შვილის ლაშა გიორგის სიცოცხლეშია გაკეთებული, რაც იქიდანა ჩანს, რომ ორივე ცოცხლად იხსენიება. შესაძლებელია დავით სოსლანის მოუხსენებლობა იმითაც იყოს გამოწვეული, რომ იგი ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო. თუ ეს

---

[103] ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები, 1941, გვ. 64.

ასეა, მაშინ წარწერა 1207—1213 წწ. უნდა დათარიღდეს (ყოველ შემთხვევაში, თარიღის ქვედა ზღვარი 1193 წ-ზე—ლაშა გიორგის დაბადების წელზე ადრე არ გადაიწევს).

## ბ) სალამოს წარწერა

ბოგდანოვკის რაიონში, სალამოს ტბასთან მდებარე, ამავე სახელწოდების ნასოფლარიდან 1954 წლის ზაფხულში აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმში ჩამოტანილი იქნა ხელის გამოსახულებიანი. წარწერიანი ქვა.

მთლიანი ქვის ბლოკი დამუშავებულია სამ მხრივ, მაღალი ოთხწახნაგა სვეტის სახით. ქვის ზომებია: 2,70×0,70×0,50 მ.

ქვის პირის ზედა ნახევარი ბრტყლად არის გათლილი და ქვემოდან ზევით თანდათანობით დადაბლებული, ისე რომ ბრტყელი მოედნის ირგვლივ დატოვებულია ვიწრო, მაღალი ჩარჩო, რომელიც თალისებურად საზღვრავს მას ზემოდან.

ასე შემზადებულ ფართობზე, შუაში, მარცხნივ, ფონის მცირე დადაბლებით გამოკვეთილია ჯვარი, დაგრძელებული ვერტიკალური მკლავებით და ოდნავ გაფართოებული ბოლოებით, რომელიც მცირედ შეჭრილია. ამ ნაკვთის მარჯვნივ, ცოტა ზევით, ასევე კონტურზე ამოკვეთით, გამოყვანილია მკლავი, ფართოდ გაშლილი ბოლოთ. ამ ორი ნაკვთის მარცხნივ, ზედა ჩარჩომდე არე მთლიანად შევსებულია შვიდსტრიქონიანი, ქანწილით დაწყებული, ასომთავრული წარწერით.

სტელა ვერტიკალურად იყო ჩასმული მიწაში, დაახლოებით მთელი სიგრძის ერთი მესამედის სიღრმეზე; ამიტომ მისი ეს ნაწილი მეტად ზერელედაა დამუშავებული. საერთოდ, ქვა ტლანქადაა დამუშავებული და შერჩენილი აქვს პრიმიტიული მონუმენტალობა.

ქვის გადალევის გამო წარწერა ძალიანაა გამკრთალებული. მიუხედავად ამისა, ყოველი ასოს გარჩევა ხერხდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში პირველი სტრიქონის ბოლო ასოს. განკვეთილობის ნიშნები სრულიად აღარ ეტყობა; ქარაგმები კი ორიოდე ადგილას თითქოს შეიმჩნევა.



წარწერა ასე იკითხება:

⁜ ႠႣႬ Ⴃ ႣႫႬ
ႶႫႧ ႫႬ ႷႭႪ
ႠႶႫႱႠႥႪႧႱ Ⴃ Ⴃ
ႱႠႥႪႧႱႠ
ႧჃႧႫႮႷႰ
ႡႪႨ ႫႤႴႧ
ႫႤ ႫႤႴႤ ႣႧ

ქარაგმების გახსნით: ქ. ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან ყოვლის აღმოსავლეთისა და დასავლეთის თჳთმპყრობელი მეფეთა მეფე დავით.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ წარწერაში კავშირი „და“ ორჯერა გვხვდება და ორჯერვე დაქარაგმებულია. აღსანიშნავია ლ შემდეგ ჲ ხმარებაც (თჳთმპყრობელჲ).

როგორც დავინახეთ, წარწერა უთარიღოა, ამიტომ მისი დათარიღება პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით უნდა ვცადოთ.

ჩვენი აზრით, სალმის წარწერა, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, XIII საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს. ამას განსაკუთრებით ა-ს მოხაზულობა გვაფიქრებინებს, რომელიც აღმა შებრუნებული მხედრული ი-ს მსგავსია და ზედა განივი ხაზი ტანს არ ეხება (ა). ამგვარი მოხაზულობის ა კი მხოლოდ XIII ს. დამდეგიდან შეიმჩნევა ქვის წარწერებში (თამარის დროინდელი გუნია-ყალას წარწერა, რომელიც 1207 წ. ახლო ხანით თარიღდება[194], ლაშა გიორგის დროინდელი წულორულაშენის ეკლესიის წარწერა[195], მანგლისის მახლობლად სოფ. არსოტთან ნახული რუსუდანის წარწერა[196] ზემოთ განხილული პრტენას წარწერა და სხვა).

მართალია, წარწერაში მოხსენებული მეფის ტიტული—„ყოვლის აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმპყრობელი მეფეთა მეფე", ულუ დავითის მეფობას აღარ შეეფერებოდა, მაგრამ როგორც წერილობითი წყაროებიდანა ჩანს, ქართველი მეფეები XIII—XIV საუკუნეებშიაც, როცა ისინი სინამდვილეში უკვე აღარ იყვნენ გაერთიანებული საქართველოს მეფეები, მაინც ატარებდნენ ხსენებულ ტიტულს. ასე, მაგალითად, იმავე XIII საუკუნეში ულუ დავითის თანამედროვე ნარინ დავითზე, როცა ეს უკანასკნელი მხოლოდ დასავლეთ საქართველოში მეფობდა, ნათქვამია: „აფხაზეთისა, ქართველთა, კახთა და სომეხთა მეფემან, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა პყრობელმან"[107].

---

[194] ეს ქვა ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის ქვის ფონდში, იხ. ქვის ძეგლების შემოსულობათა I დავთარი, № 173. ლიტერატურა: ვ. ბერიძე და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი. 1939, გვ. 19; ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები. 1941, გვ. 66; ა. ბაქრაძე, XIII საუკუნის წარწერა გუნია-ყალადან. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე ტ. XVII—B, თბილისი. 1956 წ., გვ. 219. საქართველოს სახ. მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი. შედგენილი ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ, ი. აბულაძის რედაქციით, 1953. გვ. 25—26, № 26; ლ. მელიქსეთ-ბეგი. Рельефы руки на памятниках материальной культуры феодальной Грузии, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. IX, 1957, გვ. 125—126.

[195] პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, წულორულაშენი. 1952. გვ. 9—13.

[196] წარწერა ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმში (იხ. ქვის ძეგლების შემოსულობათა I დავთარი, № 303). ლიტერატურა: ლ. მელიქსეთ-ბეგი, მანგლისის რაიონი ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით, „ახალი სკოლისაკენ", № 2—3. 1924. გვ. 77. მისივე. Рельефы руки на памятниках материальной культуры феодальной Грузии. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, IX. 1957, გვ. 123; საქართველოს სახ. მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის შედგენილი, ი. აბულაძის რედაქციით. 1953, გვ. 41, № 58.

[197] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 159.

ამრიგად, თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, ე. ი. წარწერაში მოხსენიებული დავითი ულუ დავითია, მაშინ სალამოს წარწერა 1247—1270 წლებით უნდა დათარიღდეს.

პრტენასა და სალამოს წარწერების შინაარსი ერთი შეხედვით არაფერს შეიცავს ახალსა და საყურადღებოს ისტორიისათვის, მაგრამ ორივე წარწერას დიდი მნიშვნელობა ენიჭება (როგორც იურიდიულ დოკუმენტს, როგორც მიწათმფლობელობის შესასწავლ წყაროს), იმასთან დაკავშირებით, რომ ეს წარწერები თან ახლავს ხელის გამოსახულებას სტელაზე. ამიტომ, წარწერის მნიშვნელობის შესაფასებლად საჭიროა განვიხილოთ საერთოდ ხელის გამოსახულებიანი სტელები საქართველოში.

## 2. ხელის გამოსახულებიანი სტელები საქართველოში

პრტენასა და სალამოს სტელების მსგავსი, ხელის გამოსახულებიანი, ცალკე მდგარი ძეგლი—სტელა, საქართველოში ცნობილია 13[198]: აქედან ექვსი წალკის რაიონიდანაა (იმერის, მიპასიშიტის, თემ-ხარაბის, გუნია-ყალას და ორი ხაიკოვის[199]; ხუთი თეთრიწყაროს რაიონიდან (ოთხი ჩხიკვთის და ერთი არხოტის)[200]; ერთი ახალქალაქის რაიონის სოფ. ჩუნჩხადან[201] და ერთიც სამეგრელოდან, რომელიც ზუგდიდის მუზეუმშია დაცული[202]. ეს უკანასკნელი, ჩვენის მოსაზრებით, ნაგებობიდან უნდა იყოს და არა სტელა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ დღემდე ცნობილი თოთხმეტი ხელიანი სტელიდან (როგორც ვთქვით, ზუგდიდის მუზეუმში დაცული ხელიანი ქვა ჩვენ ნაგებობიდან მიგვაჩნია, ამიტომ მას აღარა ვთვლით), ყველა ისტორიული ქვემო ქართლიდან და ჯავახეთიდანაა.

---

198 ამგვარი ცალკე მდგარი ძეგლების გარდა, ხელის გამოსახულება გვხვდება: მონუმენტალურ ძეგლებზე, გლეხის დარბაზში, გვიანდელი ხანის საფლავის ქვებზე და სხვა. დაწვრილებით ამის შესახებ ნახეთ: ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I, 1939, გვ. 18—21; ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 107—130.

199 გუნია-ყალას ქვა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სახ. მუზეუმშია დაცული, დანარჩენი სტელები ადგილზეა (იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 122—123).

200 ხუთივე სტელა დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმში (იხ. ქვის ძეგლების შემოსულობათა დავთარი, I და II, №№ 110, 303, 441, 442, 443).

201 სტელა დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმში (იხ. ქვის ძეგლ. დავთარი II, № 519).

202 ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 122.

გუნია-ყალას, არხოტის, პრტენას და საღამოს სტელები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIII საუკუნისაა.

ჩხიკვთის სტელებიდან სამი (№№ 441, 442, 443) წარწერიანია და ერთი (№ 110) უწარწერო. წარწერები ძალიანაა დაზიანებული, რის გამოც მხოლოდ ერთის (№ 441) წაკითხვა ხერხდება ნაწილობრივ, სადაც იკითხება თამარის სახელი. ორი წარწერისა კი ცალკეული ასოები-ღა იკითხება და პალეოგრაფიკული ნიშნების (კერძოდ, ა მოხაზულობის) მიხედვით დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ესენიც იმავე ხანისაა. ამავე დროით ათარიღებს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი ჩხიკვთის მეოთხე უწარწერო სტელასაც,[203] რაც სწორი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში თამარის მეფობაზე ადრინდელი არ არის და XIII ს-ზე გვიანდელი, რადგან ამ სტელაზე გამოსახულია ე. წ. ხელისუფლების ემბლემა, რაც თამარის დროს ჩნდება ქართულ მონეტებზე და XIII საუკუნის შემდეგ ქრება[204].

იმერას, მიპასიშიტის, თემ-ხარაბას და ხაჩკოვის ორივე სტელა უწარწეროა[205], თუ არ მივიღებთ მხედველობაში ხაჩკოვის სტელაზე მოთავსებულ მხედრულ წარწერას („თომა თავაძეს“)[206], რომელიც გვიანდელი მინაწერია, გვიანდელია იმიტომ, რომ, როგორც ლ. მელიქსეთ-ბეგი სამართლიანად აღნიშნავს, ხაჩკოვის ორივე სტელა XIII საუკუნისაა[207]. პირველ სამ სტელას (იმერას, მიპასიშიტის, თემ-ხარაბას) XII—XIII საუკუნეებით ათარიღებს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი[208]. ჩვენ ვიზიარებთ პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ამ მოსაზრებას. ამასთანავე ვფიქრობთ, რომ მის მიერ XII—XIII საუკუნეებით დათარიღებული ეს სამი სტელა თამარის მეფობაზე ადრინდელი არ უნდა იყოს.

რაც შეეხება სოფ. ჩუნჩხის სტელის თარიღს, რომელზედაც ორიოდე ასოს ნაკვალევი შეიმჩნევა, დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით; შეიძლება ითქვას მხოლოდ, რომ, რადგან ყველა დღემდე მოღწეული ხელიანი სტელები, XII—XIII საუკუნეებით თარიღდება, ესეც იმავე დროისა უნდა იყოს.

---

203 ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 127.

204 Д. Г. Капанадзе, Родовой знак Багратионов на грузинских средневековых монетах, Нумизматический сборник, т. II, Москва, 1957, стр. 77—81.

205 ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 122—123.

206 იქვე, გვ. 123.

207 იქვე.

208 იქვე, გვ. 127.

ჯერჯერობით ცნობილი. 14 ხელიანი სტელიდან 8 (პრტენას, საღამოს, გუნია-ყალას, არხოტის, ორი ჩხიკვთის და ორი ხაჩკოვის) მეფეთა სახელითაა დადგმული, რასაც მათზე მოთავსებული წარწერები, ან და ევროპით წოდებული ხელისუფლების ემბლემის გამოსახულება ადასტურებს. ვფიქრობთ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ დანარჩენი ხელიანი სტელებიც მეფეთა მიერაა დადგმული.

ხელის გამოსახულებიან სტელებზე მოთავსებული წარწერები ორმხრივ იქცევს ყურადღებას: 1. როგორც ქვაზე ამოკვეთილი იურიდიული ხასიათის წარწერები და 2. როგორც ხელის გამოსახულებასთან დაკავშირებული წარწერები (უნდა გაირკვეს ხელის გამოსახულების კავშირი ფეოდალური პერიოდის საქართველოში ფართოდ გავრცელებულ იურიდიულ ტერმინ „ჴელთან“). განვიხილოთ ეს ორი საკითხი.

## 3. ქვაზე დაწერილი იურიდიული ხასიათის საბუთები საქართველოში

V—VIII სს. დღემდე შემონახული ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების უმრავლესობა (12-ოდე) წარმოადგენს სტელებს. კედლის წარწერები ამ დროიდან გვაქვს მხოლოდ ბოლნისის (V ს.), ურბნისის (VI ს.) და მცხეთის ჯვარის VI—VII ს.) ტაძარზე. კედელზე მოთავსებული ყველა ეს წარწერა სამშენებლო ხასიათისაა.

სტელებზე ამოკვეთილი წარწერები საქართველოში წინაქრისტიანული ხანიდანვე გვაქვს შემონახული. წინაქრისტიანული ხანის სტელები წარმოადგენენ ბრტყელ ფილებს, ზედ არამეული ან ბერძნული დამწერლობით ამოკვეთილი მემორიალური ხასიათის წარწერებით (არმაზისხევისა და მცხეთის სტელები). ერთ-ერთი მათგანი, მაგალითად (არმაზისხევის არამეული წარწერა. I ს.). მოგვითხრობს ქართლის მეფისა და მისი მოხელეების მიერ მოპოვებული გამარჯვებების შესახებ, საგარეო მტრებთან ბრძოლაში. ქრისტიანულ ხანაში საქართველოში ჩნდება სრულიად განსხვავებული ფორმისა და დანიშნულების სტელები. ესენი წარმოადგენენ კუბიკურ კვადრატში ჩადგმულ, მაღალ ოთხწახნაგა სვეტს, დაგვირგვინებულს თითქმის ყოველთვის ჯვრით. უმეტეს შემთხვევაში სტელის ბაზა, წინაპირი და გვერდები შემკულია ჯვრების, სხვადასხვა ორნამენტებისა და ზოგჯერ სიუჟეტური გამოსახულებით. ამ პერიოდის სტელებში სხვა ფორმა საქართველოში ცნობილი არაა. ქრისტიანული ხანის სტელებს თავდაპირველად სამლოცველო დანიშნულება აქვს. ეკლესიის

მშენებლობის ადგილებზე თავდაპირველად ამართავდნენ ხოლმე ქვის, ან ხის ჯვარს. ამის შესახებ გვამცნობს, მაგალითად, სუმბატ დავითის ძე:

„და წარვიდა (ჰერაკლე—ვ. ც.) ბერდუჯს და დადგა გულსა სოფლისასა და აღმართა ჯუარი ქვისა და დადვა საფუძველი წმიდისა ღმრთისმშობლისა ეკლესიისა და აღასრულა გუმბათი მისი“[209].

შემდეგში, თანდათან ქვაჯვარები და სტელები ერთგვარი შეწირულების საგნად იქცა. ესა თუ ის გავლენიანი პირი ამართავდა ეკლესიასთან სტელას თუ ქვაჯვარას და ზედ ამოკვეთდა თავის სახელს —რითაც დოკუმენტალურად უკვდავყოფდა თავის შეწირულებას. ამრიგად, ეს პირველი მემორიალური ხასიათის წარწერები სტელებზე უკვე წარმოადგენენ ერთგვარ შეწირულების საბუთებს. ასეთია, მაგალითად, აბასთუმნის წარწერა:

„...ბრძანებითა ღვთივ დაცულისა მამფლისა არშუშა პატრიკისა-(ითა) და ნებითა ღმრთისა(ჲ)თა, ქავთა(რ) ერთ(ა) ქორეპისკოპოზის(ა) ციხისთა (ვ)ობა(სა), მოწვეულ ვიყავ და ა ღ ვ (ჰ) მ ა რ თ ე პ ა ტ ი ო ს ა ნ ი ჯ უ ა რ ი წმიდისა ღმრთისმშობელისა სახელსა (ზედა) სალოცველად ჩემდა და ძმათა ჩემთა მეოხებისათჳს შ ე (ვ წ ი რ ე) ს ა (ყ) დ ა რ ს ა ა მ ა ს ს ა წ უ თ რ (ო ს) ა. ს ა უ კ უ ნ ო ჲ, ავაკ კბს ლოცვა (სა) მოიჴსენ(ებდენ)“[210].

როგორც ვხედავთ, ამ წარწერაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ ამართეს ჯვარი და შესწირეს ის საყდარს, შემწირველისა და მისი ძმების სალოცველად და საოხად. სხვა ქვაჯვარების წარწერებში აღნიშნულია მხოლოდ, რომ ის ამართა ამა თუ იმ პირმა თავისა და თავისიანების სალოცველად. მაგრამ, ცხადია, აქაც იგულისხმება იმ ჯვრის შეწირვა ამა თუ იმ ეკლესიისადმი. ასეთია, მაგალითად, წრომის სტელის წარწერა (VI—VII სს.):

„ესე ჯუარი ქრისტესი მე, მამასახლისმან გრიგოლ... ავმართე სალოცველად ჩუენდა და მოსაჴსენებლად სულისა...“[211].

ასეთივეა 2 უკანგორის (V—VI სს.), მცხეთის ჯვარის (VI—VII სს.), ულავის (X ს.), ატენის (VIII ს.), ბოლნისის (VI—VII სს..), უსა-

---

[209] ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. ქართლის ცხოვრება, I ს. ყაუხჩიშვილის გამ., 1955, გვ. 375.

[210] საქართველოს სახელმწიფოს მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებული ა. ბაქრაძის და ს. ბოლქვაძის მიერ, 1953, გვ. 9—10.

[211] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 70.

ნეთის (VIII ს.), ხუნამისის (895 წ.) და ყველის (X—XI სს.) სტელების წარწერები.

მაგრამ, იმთავითვე, ფეოდალიზმის პროცესის გაღრმავებასთან, ფეოდალური მიწათმფლობელობის გავრცელებასთან ერთად, ქვაჯვარები და სტელები, გარდა სამლოცველო და მემორიალური მნიშვნელობისა, სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელ მატერიალურ ნიშნებადაც იქცევა. ამას ადასტურებს ორი წარწერიანი სტელა: წყისეს (VII ს.) და არეშის (X ს.).

წყისეს სტელის წარწერაში აღნიშნულია:

„ესე ჯუარი ქრისტესი მე, კონსტანტი, ძემან სტეფანესმან და გუდასმან, აღჰუმართე სახელსა მცხეთისა ჯუარისასა, ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა, შაჰრამანსა ა, სალოცველად ჩუენდა, ცოლისა და შვილთა. ნოენბერს იზ. ამენ“[212].

როგორც წარწერიდანა ჩანს, ვინმე კონსტანტის ნასყიდ მამულზე აუმართავს ქვაჯვარი მცხეთის ჯვრის სახელზე. წარწერას თუ პირდაპირ გავიგებთ, უნდა დავასკვნათ, რომ აქ საქმე გვაქვს ისევ ქვაჯვარის შეწირვასთან მხოლოდ. მაგრამ ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: რატომ აუმართავს ეს ჯვარი კონსტანტის მაინც და მაინც ნასყიდევ მიწაზე და რატომ უსვამს ამ გარემოებას საგანგებოდ ხაზს წარწერაში? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ნასყიდ მიწას ის სწირავს მცხეთის ჯვარს. როგორც ცნობილია, ნასყიდი, ფეოდალურ საქართველოში „ყოვლითურთ მიუდევრად“ ითვლებოდა და ამიტომ შემწირველები ყოველთვის ცდილობდნენ ეკლესიისათვის ნასყიდი შეეწირათ, რასაც საგანგებოდ აღნიშნავდნენ ხოლმე შეწირულების საბუთში. პირველ ასეთ საბუთად (დღემდე შემონახულთა შორის) მიგვაჩნია ჩვენ სწორედ წყისეს წარწერა, მიუხედავად იმისა, რომ მასში პირდაპირ არაა ამის შესახებ აღნიშნული. ამრიგად, წყისეს წარწერა ქვაზე ამოკვეთილი პირველი იურიდიული ხასიათის საბუთია საქართველოში. ის რომ მცხეთის ჯვარისთვის შეწირულ მიწაზე შემწირველი სტელას დგამს მცხეთის ჯვრის სახელზე, მიუთითებს იმაზე, რომ ეს სტელა სამამულო მფლობელობის მატერიალური ნიშანია. ე. ი. ქრისტიანული ხანის სტელები საქართველოში VI—VII საუკუნეებში, გარდა საკულტო დანიშნულებისა, სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელ მატერიალურ ძეგლებსაც წარმოადგენდნენ და ასეთებად, ჩვენი აზრით, უნდა მივიჩნიოთ არა მარტო ის სტელები,

---

[212] ა. შანიძე, ძველი ქართულის ქრესტომატია, 1935, გვ. 25.

რომელთა წარწერებში პირდაპირაა ეს აღნიშნული, არამედ უწარწერო სტელებისა და იმ სტელების ნაწილიც, რომელთა წარწერებში ეს არა ჩანს უშუალოდ (უწარწერო სტელა ლიტერატურაში ცნობილია ოთხმოცამდე, აქედან 10-ოდე დასავლეთ საქართველოდანაა)[213].

მეორე, იურიდიული ხასიათის სოფლის შეწირულების საბუთი, ამოკვეთილი ქვაზე, არეშის სტელის წარწერაა (X ს.):

„ძემან გურგენ კურაპალა(ტი)სამან (შ)ეწი(რ)ა არშტი საყდარსა (კუმუ)რდოსა...“[214].

ამრიგად, სტელაზე ამოკვეთილი იურიდიული ხასიათის საბუთი VII—X სს. 2 გვაქვს. ამასთანავე ირკვევა, რომ საეროდ სტელებს ნაწილობრივ იყენებდნენ უკვე როგორც სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელ მატერიალურ ნიშანს. ყველა ასეთი სტელა საეკლესიო მიწათმფლობელობასთან იყო დაკავშირებული.

X საუკუნიდან იურიდიული ხასიათის საბუთების ამოკვეთას იწყებენ უკვე კედელში ჩატანებულ ქვებზეც. ამასთან, თუმცა ამ საბუთების უმრავლესობა (სულ X—XIII საუკუნეებიდან ცამეტიოდე ასეთი საბუთია შემორჩენილი) კვლავ საეკლესიოა, მაგრამ მათში უკვე გამოერევა საერო საბუთებიც. ეს საბუთებია: 1. მეჯუდის ხეობიდან (X ს. მამულის გასხვისების)[215]; 2. მეჯუდას ხეობიდან (X ს.—წისქვილის აშენების და მასზე გარკვეული ვალდებულების დაკისრების)[216]; 3. სავანის ეკლესიის (XI ს.—ეკლესიის სანახევროდ გასხვისების)[217]; 4. ზემო კრიხის (XI ს.—პირობის)[218]; 5. სავანის ეკლესიის (XI ს.—შეწირულების)[219]; 6. შატბერდის (X—XI სს.—ტაძრის გაყიდვის)[220]; 7. ქვემო ჯინისის (XII ს.—ეკლესიის აშენებისა და მი-

---

[213] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქვაჯვარანი საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 4. 1943 წ.; ა. ჯავახიშვილი, საქართველოს ძველი საკულტო-მემორიალური ძეგლები, საკანდიდატო დისერტაცია, 1949 (მანქანაზე დაბეჭდილი).

[214] ა ლ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, არეშის სტელა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 7, 1944. გვ. 749.

[215] საისტორიო მოამბე, წ. I, 1925, გვ. 102.

[216] იქვე, გვ. 98.

[217] Е. Т а к а й ш в и л и, Археологические экскурсии, разыскания и заметки. Тбилиси. 1913, вып. IV, стр. 7.

[218] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. VII, 1931 და 1932, გვ. 236.

[219] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

[220] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., 1905., წ. II, გვ. 60.

ნეთის (VIII ს.), ხუნამისის (895 წ.) და ყველის (X—XI სს.) სტელების წარწერები.

მაგრამ, იმთავითვე, ფეოდალიზმის პროცესის გაღრმავებასთან, ფეოდალური მიწათმფლობელობის გავრცელებასთან ერთად, ქვაჯვარები და სტელები, გარდა სამლოცველო და მემორიალური მნიშვნელობისა, სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელ მატერიალურ ნიშნებადაც იქცევა. ამას ადასტურებს ორი წარწერიანი სტელა: წყისეს (VII ს.) და არეშის (X ს.).

წყისეს სტელის წარწერაში აღნიშნულია:

„ესე ჯუარი ქრისტესი მე, კონსტანტი, ძემან სტეფანესმან და გუდასმან, აღჰუმართე სახელსა მცხეთისა ჯუარისასა, ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა, შაჰრამანსა ა, სალოცველად ჩუენდა, ცოლისა და შვილთა. ნოენბერს იზ. ამენ“[212].

როგორც წარწერიდანა ჩანს, ვინმე კონსტანტის ნასყიდ მამულზე აუმართავს ქვაჯვარი მცხეთის ჯვრის სახელზე. წარწერას თუ პირდაპირ გავიგებთ, უნდა დავასკვნათ, რომ აქ საქმე გვაქვს ისევ ქვაჯვარის შეწირვასთან მხოლოდ. მაგრამ ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: რატომ აუმართავს ეს ჯვარი კონსტანტის მაინც და მაინც ნასყიდევ მიწაზე და რატომ უსვამს ამ გარემოებას საგანგებოდ ხაზს წარწერაში? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ნასყიდ მიწას ის სწირავს მცხეთის ჯვარს. როგორც ცნობილია, ნასყიდი, ფეოდალურ საქართველოში „ყოვლითურთ მიუდევრად“ ითვლებოდა და ამიტომ შემწირველები ყოველთვის ცდილობდნენ ეკლესიისათვის ნასყიდი შეეწირათ, რასაც საგანგებოდ აღნიშნავდნენ ხოლმე შეწირულების საბუთში. პირველ ასეთ საბუთად (დღემდე შემონახულთა შორის) მიგვაჩნია ჩვენ სწორედ წყისეს წარწერა, მიუხედავად იმისა, რომ მასში პირდაპირ არაა ამის შესახებ აღნიშნული. ამრიგად, წყისეს წარწერა ქვაზე ამოკვეთილი პირველი იურიდიული ხასიათის საბუთია საქართველოში. ის რომ მცხეთის ჯვარისთვის შეწირულ მიწაზე შემწირველი სტელას დგამს მცხეთის ჯვრის სახელზე, მიუთითებს იმაზე, რომ ეს სტელა სამამულო მფლობელობის მატერიალური ნიშანია. ე. ი. ქრისტიანული ხანის სტელები საქართველოში VI—VII საუკუნეებში, გარდა საკულტო დანიშნულებისა, სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელ მატერიალურ ძეგლებსაც წარმოადგენდნენ და ასეთებად, ჩვენი აზრით, უნდა მივიჩნიოთ არა მარტო ის სტელები,

[212] ა. შანიძე, ძველი ქართულის ქრესტომატია, 1935, გვ. 25.

რომელთა წარწერებში პირდაპირაა ეს აღნიშნული, არამედ უწარწერო სტელებისა და იმ სტელების ნაწილიც, რომელთა წარწერებში ეს არა ჩანს უშუალოდ (უწარწერო სტელა ლიტერატურაში ცნობილია ოთხმოცამდე, აქედან 10-ოდე დასავლეთ საქართველოდანაა)[213].

მეორე, იურიდიული ხასიათის სოფლის შეწირულების საბუთი, ამოკვეთილი ქვაზე, არეშის სტელის წარწერაა (X ს.):

„ძემან გურგენ კურაპალა(ტი)სამან (შ)ეწი(რ)ა არშტი საყდარსა (კუმუ)რდოსა...“[214].

ამრიგად, სტელაზე ამოკვეთილი იურიდიული ხასიათის საბუთი VII—X სს. 2 გვაქვს. ამასთანავე ირკვევა, რომ საერთოდ სტელებს ნაწილობრივ იყენებდნენ უკვე როგორც სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელ მატერიალურ ნიშანს. ყველა ასეთი სტელა საეკლესიო მიწათმფლობელობასთან იყო დაკავშირებული.

X საუკუნიდან იურიდიული ხასიათის საბუთების ამოკვეთას იწყებენ უკვე კედელში ჩატანებულ ქვებზეც. ამასთან, თუმცა ამ საბუთების უმრავლესობა (სულ X—XIII საუკუნეებიდან ცამეტიოდე ასეთი საბუთია შემორჩენილი) კვლავ საეკლესიოა, მაგრამ მათში უკვე გამოერევა საერო საბუთებიც. ეს საბუთებია: 1. მეჯუდას ხეობიდან (X ს. მამულის გასხვისების)[215]; 2. მეჯუდას ხეობიდან (X ს.—წისქვილის აშენების და მასზე გაწეული ვალდებულების დაკისრების)[216]; 3. სავანის ეკლესიის (XI ს.—ეკლესიის სანახევროდ გასხვისების)[217]; 4. ზემო კრიხის (XI ს.—პირობის)[218]; 5. სავანის ეკლესიის (XI ს.—შეწირულების)[219]; 6. შატბერდის (X—XI სს.—ტაძრის გაყიდვის)[220]; 7. ქვემო ჯინისის (XII ს.—ეკლესიის აშენებისა და მი-

---

[213] ვ. თოფურია, ქვაჯვარანი საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი 4. 1943 წ.; ა. ჯავახიშვილი, საქართველოს ძველი საკულტო-მემორიალური ძეგლები, საკანდიდატო დისერტაცია, 1949 (მანქანაზე დაბეჭდილი).

[214] ალ. ჯავახიშვილი, არეშის სტელა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 7, 1944, გვ. 749.

[215] საისტორიო მოამბე, წ. I, 1925, გვ. 102.

[216] იქვე, გვ. 98.

[217] Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки. Тбилиси, 1913, вып. IV, стр. 7.

[218] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. VII, 1931 და 1932, გვ. 236.

[219] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

[220] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., 1905., წ. II, გვ. 60.

სი შეწირვის)[221]; 8. საროს (XII ს. მამულის წყალობის)[222]; 9. ბურნაშეთის (XIII ს.—მიწის შეწირულების)[223]; 10. საქართველოს სახ. მუზეუმში დაცული ძეგლი (XIII—XIV სს.—წისქვილის შეწირულების)[224]; 11. აძიკვის (მიწის შეწირვის)[225]; 12. ანისის (1218 წ.—განჩინება)[226].

მოვიყვანოთ მაგალითისათვის წარწერა მეჯუდას ხეობიდან (X ს.):

„სახელითა ღმრთისაჲთა, ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩვენ, ზაზი და თოთმან, კოლონკელის ფხუენელაის ძისა პირით და მისი ცოლისაჲთა. მოგეცით კოიტორი მამულობით, ბაჰრაშა და ლომასა, ამა პირსა ზედა, რომე არაი ედვას ბეგარი ზედან, სამსახურისაგან კიდე ზედა. კულა მოგეცით ბობაორი. მასვე მიწასა ზედა კაცი არა ჯდეს, ამათ ჰქონდეს. აწ კრული იყოს პირითა ღვთისითა, ვინ ესე ოჯ ქციოს, რამანცა პატრონმან ჰკადროს[227]".

როგორც ვხედავთ, ეს არის მამულის ბოძების საბუთი, შედგენილი ყველა ფორმალური წესების დაცვით: დასახელებულია საბუთის გამცემი და მისი მიმღები, მოწმე, გასხვისების ობიექტი და გასხვისების პირობა. აქვეა კრულობითი ნაწილიც საბუთისა. ამასთან, ამ საბუთს თავისი სახელიცა აქვს: „დაწერილი". „დაწერილი" კი X—XI სს.-ში ეწოდება წერილობით საბუთს, რომელიც მეფის მიერ არაა გაცემული. ე. ი. ამ შემთხვევაში სრულიად წაშლილია განსხვავება ქვაზე დაწერილ საბუთსა და ქაღალდზე (თუ ეტრატზე) დაწერილ საბუთს შორის: საბუთის შინაარსიც, შედგენის ფორმაც და სახელიც ისეთივეა, როგორიც ქაღალდზე დაწერილი იურიდიული საბუთის.

X—XI სს. გვხვდება უკვე სპეციალური ტერმინი „ჴელი", რომელიც მხოლოდ ქვაზე ამოჭრილი იურიდიული ხასიათის საბუთების აღსანიშნავად იხმარება.

---

[221] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., 1913., წ. IV, გვ. 51.

[222] Материалы по археологии Кавказа, XII, 1909, стр. 20.

[223] Сборник материалов для описания местн. и племён Кавказа, 25, 1896, стр. 42—43.

[224] საქართველოს სახ. მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი შედგენ. ა. ბაქრაძის და ს. ბოლქვაძის მიერ, 1953., გვ. 33—34.

[225] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., 1913., IV, გვ. 132—134.

[226] Н. Марр, Надпись Епифания, католикоса Грузии, Известия АН. 910, стр. 1437—1439.

[227] საისტორიო მოამბე, წ. I, 1925, გვ. 102.

ძერძოდ, ეს ტერმინი გვხვდება მეჯუდას ხეობის მეორე წარწერაში (X ს.), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული № 527 წარწერაში (XI ს.?) და ზემო კრიხის ეკლესიის წარწერაში (XI ს.).

მეჯუდას ხეობის წარწერა:

სახელითა ღმრთისაჲთა ,ესე ქელი ჩვენ, რამინ და გიორგი დავწერეთ: ოდეს კონსტანტი ქართლისა გამგებელი იყო, ჩვენ, ცხრაზმისქევის ქევისუფლად ვიყვენით. მას ჟამსა ავაგეთ წისქვილნი და ზემოთ სახლი ერთი. სამსახოჳრი ჰკიდევს ჲ კაცი. ქე ა ცისკარ ამენ.

ესე ქელი მე გიორგი დავწერე. ქრისტე, განმვებელო ორთავე ცხოვრებათაო...[228].

ზემო კრიხის ეკლესიის წარწერა:

ქ. სახელითა ღმრთისაჲთა. ესე ქელი დავწერეთ ჩვენ კრიხმან სოფელმა. ვინცა ნაწირავი გაჰკოთოს, საბერო და ფილსაჩნო(?) და ლაპირო(?) არ მისცეთ. კრულია ხვთის პირითა, ვინც მისცეს[229].

„ქელი"-იურიდიული ხასიათის ქვის საბუთის აღსანიშნავად იხმარება აგრეთვე XIII ს. სტელების (ხელის გამოსახულებიანი ქვების) წარწერებში. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ X—XI სს. ძეგლებში „ქელი" ეწოდება თვით ქვაზე ამოჭრილ წარწერას—საბუთს, XIII საუკ. ძეგლებში კი ქელი ეწოდება ქვის ძეგლს—ხელის გამოსახულებიან სტელას (იმისგან დამოუკიდებლად, არის მასზე წარწერა თუ არა). ამიტომაც X—XI სს. ძეგლებში „ქელი" იწერება („ესე ქელი დავწერეთ") ხოლო XIII ს. ძეგლებში „ქელი" დაისმის („დაესუა ქელი ესე").

მაგრამ ქვაზე ამოკვეთილი საბუთების უმრავლესობაში არ არის აღნიშნული ამ საბუთის სახელი (არც „დაწერილი", არც—„ქელი"). მაგალითისათვის მოვიყვანოთ ბურნაშეთის წარწერა (XIII ს.):

სახელითა ღმრთისათა და შუამდგომლობითა წმიდისა გიორგისათა, დავწერე მე გიორგიმან, ბურნაშელთა მღდელთა მოგეც ყანაჲ თქეროანს, ჩემგან ნასყიდი"[230].

---

[228] გ. ბოჭორიძე, ორი ფიქალწერილი, საისტორიო მოამბე, წ. I, 1925, გვ. 98.

[229] გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. VII, 1933, გვ. 236.

[230] И. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, вып. XXV, Тифлис, 1898, стр. 42—43.

X საუკუნიდანვე ეკლესიის კედლებზე ჩნდება საალაპე წარწერები, რომლებსაც რამდენადმე იურიდიული საბუთის მნიშვნელობა აქვთ; ამ საბუთის ძალით, ესა თუ ის პირი, რაიმე დამსახურებისათვის სამუდამო ალაპს აწესებს თავისთვის ეკლესიაში. ასეთი საალაპე წარწერები X—XIII სს. შემონახულია ექვსი კუმურდოს ტაძარზე (ორი X ს., ოთხი X—XI XII სს.)[231], ორი ბოლნისის (X ს.)[232] ატენის (XI ს.)[233], მანგლისის (XI—XII სს.)[234], დიდი გომარეთის[235], ბეშთაშენის[236] და სხვა. მოვიყვანოთ ორი საალაპე წარწერა. კ უ მ უ რ დ ო ს  წ ა რ წ ე რ ა (X ს.):

სახელითა ღმრთისაჲთა, მე იოანე ებისკოპოსმან, დავდევ დღე ალვსებისაჲ ალაპად ვაჩე ერისთავისა. ვინ შეცვალოს კრულია ამით ხატითა, ჩემითა ჴელითა[237].

დიდი გომარეთის წარწერა:

ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, მე, კუხმან შევწირენ წმიდას ამას ეკლესიას წისქულნი. ჟამისა წირვად მიჩინეს დღე ხარებაჲ, ამის ეკლესიაჲსა მუთ(?) წირონ დღე ეგე [238].

XIII ს-ში საქართველოში ჩნდება სტელები, სრულიად განსხვავებული V—XI სს. სტელებისაგან, როგორც ფორმით, ისე დანიშნულებით. ესაა უკვე ოთხწახნაგა და ბრტყელად გათლილი ფილები, რომლებიც პატარა ფეხით, ან პირდაპირ იდგა დაბალი ქვის კვარცხლბეკზე. ფილის ზედა პირი გათლილია სუფთად, გამოყვანილია კამაროვანი ჩარჩო, რომელშიაც ექცევა ხელისა და ჯვრის გამოსახულება და წარწერა (წარწერა და ჯვარი ყოველთვის არა აქვს). გვერდები და ზურგი კი მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაშია გათლილი და ისიც ტლანქად, ყოველგვარი დეკორის გარეშე. ზოგადი მოყვანილობით ისეთივეა, როგორც სომხური ხაჩკრები, რომლებიც ამგვარადვე ცვლიან სომხეთში ადრინდელი ხანის სტელებს. ეს ცვლილება სომხეთში ხდება X ს. და გ. ჩუბინაშვილის აზრით, ბოლნისის მემორიალურ ქვებს შორის გვხვდება ისეთები, რომლებიც ასეთივე ცვლი-

---

231 Материалы по археологии Кавказа, вып. XII. 1909, стр. 35—44.

232 ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ბოლნისი, ენიმკის მოამბე, ტ. III, 1938, გვ. 339.

233 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 206.

234 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, 1913, წ. IV, გვ. 135—136.

235 ი ქ ვ ე. გვ. 84.

236 ი ქ ვ ე. გვ. 16.

237 МАК, вып. XII, 1909, стр. 40.

238 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, წ. IV, გვ. 84.

ლებებზე მიუთითებენ საქართველოში[239]. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ XIII ს. ხელის გამოსახულებიანი სტელები თავიანთ დასაბამს, ფორმის მხრივ, უკვე X ს-ში იღებენ.

თუ V—XI სს. სტელები ყველა საეკლესიოა, XIII ს. ეს სტელები უკვე ყველა სამეფოა. ისინი XIII ს-ში (ან შეიძლება XII ს-ის ბოლოს) ჩნდება და XIII საუკუნეშივე ქრება.

ჩვენამდე შემონახული თოთხმეტი ხელიანი სტელიდან წარწერიანია (ისეთი, რომელთა წაკითხვაც ხერხდება) ოთხი. ამ ოთხიდან მხოლოდ ერთზე შეიძლება პირველი წაკითხვისთანავე ითქვას, რომ ის იურიდიული ხასიათის საბუთია. ესაა სოფ. არხოტის ახლოს მდგარი სტელის წარწერა:

წმიდაო გიორგი კავთისაო, ქ. ესე ბრძანებაი ჩემი არს რუსუდან. ნებითა ღმრთისაითა, ახალად და შეუვალი არს მამული მათი, ნასყიდით და ყოვლითა. სამწყსო ნუვინ შეარყიოს[240].

ეს არის ერთ-ერთი ეკლესიისათვის სამამულო შეუვალობის მინიჭების საბუთი.

დანარჩენი სამი წარწერიდან ორი არაფერს არ ამბობს სტელის დანიშნულებაზე. ესენია ზემოხსენებულ პრტენასა და სალამოს წარწერები, სადაც აღნიშნულია მხოლოდ მეფეთა სახელები და მათი დიდება. ხელიანი სტელების დანიშნულებაზე ამ სამი წარწერიდან რამდენადმე მეტს გვეუბნება გუნია-ყალას წარწერა:

სახელითა ღმრთისაჲთა. ბრძანებითა ღმრთისა სწორთა თამარისა და გიორგისითა, ჰყონდიდელისა, ზაქარია, შალვა, ოვსიყმა, ვარჩესითა, ჯულაბაჲს მოჴირვებითა. სანობაჲს ძისა იოანესსა[241] ქელითა დადგუა ქელი ესე ღმრთისა სწორთა მეფეთ მეფისა გიორგისი[242].

წარწერიდან ჩანს, რომ: 1. სტელას მთლიანად ეწოდება „ქელი", 2. ეს „ქელი" მეფე გიორგისაა, 3. ის დასმულია მეფეების თამარისა და გიორგის და მათი ვაზირების ბრძანებით. 4. „ქელის" უშუალო დამსმელია ვინმე სანობაჲს ძე იოანე, 5. „ქელი" დასმულია ჯულაბაჲს მოჴირვებით (გაურკვეველია რას ნიშნავს ეს. როგორც ჩანს, ჯულაბაჲს რაღაც მონაწილეობა მიუღია „ქელის" დასმაში).

გასარკვევია, თუ რატომ დაისვა ეს სტელა. ე. ი. რა დანიშნულება ჰქონდა მას. ამ საკითხზე ჩვენ ვიზიარებთ პროფ. ნ. ბერძენი-

239 Г. Н. Чубинашвили, Болнийский Сион, 1940., стр. 102—105.

240 ლ. მელიქსეთ-ბეგი, მანგლისის რაიონი ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით, „ახალი სკოლისაკენ", № 2—3, 1924, გვ. 77.

241 ან. ბაქრაძე ისევე, როგორც სხვა წამკითხველები კითხულობს: „ინაჲსა".

242 საქართველოს მუზეუმის მოამბე, XVII-B, 1953, გვ. 219.

შვილის მოსაზრებას, რომელიც აღნიშნავს, რომ ხელიანი სტელები „სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელი ნაშთებია“[243]. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად (პროფ. ნ. ბერძენიშვილს მხოლოდ თეზისები აქვს ამ საკითხზე გამოქვეყნებული და ამდენად, მის დასაბუთებას ჩვენ არ ვიცნობთ) უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: 1. რომ სტელაზე გამოსახულია ხელი და თვით სტელასაც წარწერაში „ქელი“ ეწოდება.—„ქელი“ კი ფეოდალურ საქართველოში უფლების გამომხატველი სიმბოლო იყო, ხოლო XVIII ს-ის საბუთებში „ხელის ამართვა“ რაიმე იურიდიული აქტის შესრულებას ნიშნავდა (ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი); 2. რომ ეს „ქელი“ მეფისად იწოდება და ყველა დღემდე შემორჩენილი და წაკითხული ხელიანი სტელის წარწერა მეფისაა; 3. რომ ბევრ ხელიან სტელაზე წარწერა არაა, ე. ი. ხელის გამოსახულება საკმარისადაა მიჩნეული მათთვის გარკვეული შინაარსისა და დანიშნულების მისაცემად.

ყოველივე ამის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ ისევე, როგორც V—X სს. სტელების ნაწილი, XIII ს. სტელები (წარწერიანი და უწარწერო) სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელია. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ V—XI სს. სტელები საეკლესიო მიწათმფლობელობას აღნიშნავდა მხოლოდ, (ამის ნიშნად მათზე ჯვარი იყო გამოსახული), ხოლო XIII ს. სტელები კი სამეფო მიწათმფლობელობასთან იყო დაკავშირებული (ამის ნიშნად მათზე ჯვარის გარდა ხელი იყო გამოსახული და ზოგჯერ წარწერაც, მეფის სახელის მოხსენიებით). ამასთან ჯვარის გამოსახვა აქ უკვე აუცილებლად არ ითვლება და ის ხელიანი ქვების მხოლოდ ნაწილზე გვხვდება.

XIV—XVIII სს. ქვაზე ამოჭრილი იურიდიული ხასიათის საბუთები თითქმის აღარა გვხვდება. არის მხოლოდ ერთი წარწერა—შეწირულების საბუთი—არმაზის მონასტრის, რომელიც საქართველოს სახ. მუზეუმის ეპიგრაფიკის კატალოგში XVII-სს-თაა დათარიღებული, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ წარწერა, როგორც შინაარსობრივად, ისე პალეოგრაფიულად შეიძლება XIII საუკუნისა იყოს. მოვიყვანთ წარწერის ტექსტს:

---

[243] ნ. ბერძენიშვილი, ქართული დიპლომატიკის საკითხებიდან („ქელი“ და „დაწერილი“). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია, 1943 წ. 28—29 ივნისი, თეზისები.

„...მე, უნდოი დედაკაცი, ხათუნ ყოფილი მარიამ. დედაჲ სბთლისი (?) ძმისწული სალდუხისი, რომელი ღირს ვიქმენ წმიდასა [ღმრთივ აღმა]რთებულსა კათოლიკე ეკლესიას სულისა შევედრებაჲ შუვამდგომლობითა სუეტისა ცხოველისაჲთა, ბრძანებითა და სურვითა ქართლისა კათალიკოზის ნიკოლოზის[ითა], შემწეობითა ყოვლთავე კათოლიკე ეკლესიისა შვილთაჲთა ქელვყავ მცირედითა მსახურებაჲ: ვიყიდე და [აღვაშე]ნე არბაზს ეკვტერი, სრული ყოვლითა საკურთხეველი, გლეხნი და სიგელი, მწირველი სულისა ჩემისათჳს და ვინცა შემდგომითი შემდგომად წდბ [....]ნჩით ქართლისა კათალიკოზობასა, შეიწყალეთ უნდოჲ სული ჩემი და დაამტკიცეთ. თქვენცა ღმერთმან მტკიცე გყვნეს. ვინცა შეცვალოს წადილი ჩემგნით სულისა ჩემისა სალოცავი, შემცაიცვლების ქრისტეს სარწმუნოებისაგან და შენ აზღევინ... [სუ]ლისა. ამინ. ერთი გლეხი ტ [...]საჲსძე ა ციხედიდს. ე [...]მინაჲ ოპით [...] მცხ[...]“[214].

როგორც ვხედავთ. ძეგლი წარმოადგენს ქვაზე ამოჭრილ შეწირულების საბუთს, რაც X—XIII საუკუნეებისთვისაა უფრო დამახასიათებელი და გვიან კი აღარ გვხვდება.

რაც შეეხება სტელებსა და ქვაჯვარებს XIV—XVIII სს-ში, ამ დროს ისინი (გარდა სამლოცველო ქვებისა) გვხვდება სამიჯნე ქვებად—სამანების სახით.—ესენი სხვადასხვა ფორმისა და მოყვანილობის, შედარებით უხეშად დამუშავებული ლოდებია, რომლებზეც ზოგჯერ ჯვარია ამოკვეთილი, ხოლო აქა-იქ წარწერებიც გვხვდება.

ყველაზე საყურადღებო ცნობას გვიანდელი სტელების შესახებ გვაწვდის „დასტურლამალი“, სადაც ერთ-ერთ თავში—„თრიალეთის სოფლების საზღვრებისათვის“, ვკითხულობთ:

„სამადლოველნი და ქვემო ბეშკენაშელნი ცილობენ. ტახტის გორა და გზამდისინ სწორად გარდმოჭერით, ქუა ჩაუსვით, იმის შესწორ მაღლა მაღლა რომ სამი ქუა კაცი ზის, იქამდინ...

გიორგი მეფის ჟამში ჩასმული ქუა მოეგლიჯათ, ისევ ისრე ჩავსვით. ამ სამნიდან მელას ტამანიას სწორად დიდი გოხია, იმის სწორად გამოგვისამზღურავს—უწყლოს და საბატიუს შუა. საბატიელნი ჯვარიან ქუას და ტბის პირს ამბობდენ სამძღუართა, უწყლოველნი, ქვები ისხდა, პატარა გორა იყო,

[214] საქართველოს სახ. მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებულია ა. ბაქრაძის და ს. ბოლქვაძის მიერ, ილ. აბულაძის რედ. 1953, გვ. 12, ტაბ. XVI, სურ. 2.

გელანის ქუა რომ ძეს, იმის გასწორ კუკიასა და სამეხრეოს შუა დიდი სამძღუარი ქუა ძეს...

გზას ქვევით წყლის პირს სამანი ჳის, წყალს გაღმა თხრილი ჩამოვარდება, ბოლოს ქუა ჩაგვისუამს, თაკსაც ქუა ჩაგვისუამს... იმ გორის გამოსწორ ცრიცისეხ ქუა ჩაგვისუამს. ქჵმოსათიბში თეზელებმა ორი ჯუარიანი გვიჩვენეს. დავიჯერეთ და კორიეთს შუა ფიცი იყო და განაჩენიც იყო გარეშე კაცი შეეგდით, შეგდებულმოფიცარი ჩვენ ვაპატივეთ და ცოტა საცილობელი ჰქონდათ...

დავლათს შუა ფიცით გარდაწყვეტილია და დიდი ქუაც ზის, იმის ზეით მთისკენ გოხია“[245].

როგორც ვხედავთ, XVII—XVIII სს. (და ალბათ უფრო ადრეც —XIV—XVI სს) სტელები, როგორც დაუმუშავებელი ლოდების, ისე ჯვრის გამოსახულებიანი ქვების („ჯვრიანი“) სახით ან სამლოცველოა, ან სამიჯნე ქვებად—სამანებად იხმარება. სტელების (ქვაჯვარების) ასეთ მნიშვნელობაზე გვიანფეოდალურ ხანაში მართებულად მიუთითებს პროფ. ვ. თოფურია[246]. ჩვენ ვერ დავეთანხმებით პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის დასკვნას, თითქოს: „საქართველოში ბაზისიანი ჯვრები თაყვანისსაცემელი ჯვრებია, ხოლო უბაზისო ჯვრები—საზღვრების ნიშნები“[247] (ამ დასკვნას არ იზიარებს პროფ. ვ. თოფურიაც)[248].. ქვაჯვარების ასეთი დაყოფისათვის ჩვენ ვერა ვხედავთ ვერავითარ საფუძველს.

პროფ. ნ. ბერძენიშვილი, როგორც XIII ს., ისე გვიანფეოდალური ხანის სტელებს სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელ ნაშთებად თვლის:

„გვიანფეოდალური ხანის ეს „ხელი“ (იგულისხმება ჯვარიანი ქვა.—ვ. ც.), როგორც მამულის მფლობელობის ნიშანი, უშუალო კავშირშია შუა საუკუნეებიდან (იგულისხმება XII—XIII სს.,—ვ. ც.) ჩვენ დრომდის მოღწეულ „ხელებთან“ (ქვის ფილები, ზედ გამოქანდაკებული ადამიანის ხელით). ეს ძეგლები („ხელები“) სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელი ნაშთებია“[249].

---

[245] დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის რედაქციით, 1896, გვ. 37—38.

[246] ვ. თოფურია, ქვაჯვარანი საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 4, 1943, გვ. 59—60.

[247] ლ. მელიქსეთ-ბეგი, მანგლისის რაიონი ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით, „ახალი სკოლისაკენ“, № 2—3, 1924 წ., გვ. 80.

[248] ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

[249] ნ. ბერძენიშვილი, ქართული დიპლომატიკის საკითხებიდან („ხელი“ და „დაწერილი“), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადო-

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეპიგრაფიკის ფონდში დაცულია საქაშეთში (ქარელის რაიონი) 1956 წელს ნაპოვნი შედარებით გვიანდელი (1856 წ.) სტელა (ბრტყელი ფილა), რომელზეც ამოკვეთილია:

„ესე საჯარის წმინდის გიორგის საქეშეთს შევწირე გლახამ გიორგის ძემ, ჩყნვ“[250].

ჩვენის აზრით, აქ მიწის შეწირულება უნდა იგულისხმებოდეს (თუმცა ამის დაბეჯითებით თქმა წარწერის მიხედვით ძნელია). ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვექნება სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელი წარწერიანი სტელა გვიანფეოდალური ხანისა, იმის მაუწყებელი, რომ ამ პერიოდში სტელები (თუმცა შედარებით იშვიათად) სამამულო მფლობელობასაც აღნიშნავდნენ. მაგრამ, ჩვენის აზრით, XII—XIII სს. ხელიანი სტელების გაიგივება, მათი მნიშვნელობითა და შინაარსით, გვიანფეოდალური ხანის სტელებთან მაინც არ შეიძლება: ხელიანი ქვები მეფის სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელი მატერიალური ძეგლებია, ხოლო გვიანდელი სტელები, როგორც აღვნიშნეთ, ან სამლოცველო დანიშნულებისაა, ან სამიჯნე ქვები—სამანებია, ან (იშვიათად)—სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელი ნიშნებია.

ყოველივე ზემოაღნიშნული, ქვაზე ამოკვეთილი იურიდიული საბუთების შესახებ საქართველოში, შეიძლება შემდეგნაირად შევაჯამოთ:

1. საქართველოში ქვაზე ამოკვეთილი იურიდიული ხასიათის საბუთების მნიშვნელოვანი ნაწილი სტელების სახით გვხვდება:

ა) წინაქრისტიანული ხანის სტელები საქართველოში წარმოადგენენ ბრტყლად გათლილ ფილებს. ზედ არამეული, ან ბერძნული დამწერლობით ამოკვეთილი მემორიალური ხასიათის წარწერებით.

ბ) ადრეფეოდალური ხანის სტელები საქართველოში წარმოადგენენ ოთხკუთხად გათლილ ქვაშვეთებს, შიგ ჩასმული (ან ზედ ამოჭრილი) ჯვრით (V—XI სს.). მათ ნაწილს სამლოცველო დანიშნულება აქვს, ხოლო ნაწილი წარმოადგენს სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელ მატერიალურ ძეგლებს, რომლებზეც ზოგჯერ ამოკვეთილია კიდეც სათანადო იურიდიული ხასიათის (შეწირულების) საბუთი.

---

ებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია, 1943, 28—29 ივნისი, თეზისები.

[250] საქართველოს სახ. მუზეუმის ქვის ძეგლების შემოსულებათა დავთარი, 11, № 518.

თვით სამლოცველო სტელებიც ერთგვარი შეწირულების საგნად იქცევა. მისი დამსმელი, სწირავს რა მას ეკლესიას, ზოგჯერ ამას აღნიშნავს კიდეც სათანადო წარწერით, სადაც ლოცვასა და მოხსენებას გაიჩენს თავისთვის და თავისი ოჯახისათვის. ამდენად, ასეთი სამლოცველო სტელებიც ერთგვარი შეწირულების (ე. ი. იურიდიული ხასიათის) საბუთებს წარმოადგენენ. V—XI სს. სტელები ყველა საეკლესიოა.

გ) XII—XIII სს. საქართველოში ჩნდება სტელები, სრულიად განსხვავებული V—XI სს. სტელებისაგან, როგორც ფორმით, ისე დანიშნულებით. ესაა ბრტყლად გათლილი ფილები, ზედ ხელის (ზოგჯერ ჯვრისაც) გამოსახულებით და ზოგჯერ იურიდიული ხასიათის წარწერით. ამ სტელებს „კელი“ ეწოდებათ, ისინი მეფის დასმულია და წარმოადგენენ სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელ მატერიალურ ძეგლებს.

დ) XIV—XVIII სს. სტელები—უხეშად დამუშავებული ლოდები, ზოგჯერ ზედ ჯვრის გამოსახულებით („ჯვარიანი“) და იშვიათად წარწერით, ან სამლოცველო მნიშვნელობის იყო, ან სამიჯნე ქვებს—სამანებს წარმოადგენდა. უფრო იშვიათად კი—სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელ ნიშნებსაც.

2. X—XI სს. გვხვდება კედლის ქვებზე ამოკვეთილი იურიდიული ხასიათის საბუთები, რომლებსაც ზოგჯერ „დაწერილი“ ეწოდება (ისევე, როგორც ქაღალდზე, ან ეტრატზე დაწერილ საბუთს), ზოგჯერ კი—სპეციალური სახელი—„კელი“ (ხშირად არ ეწოდება არავითარი სახელი).

3. X—XIII სს. გვხვდება ეკლესიის კედლებზე ამოკვეთილი ალაპები, რომლებსაც ერთგვარად იურიდიული საბუთის მნიშვნელობა აქვთ.

4. XIV—XVIII სს. ქვაზე ამოკვეთილი იურიდიული ხასიათის საბუთები ძალიან იშვიათად გვხვდება. ამ დროისთვის ეს აღარაა უკვე დამახასიათებელი. ამ პერიოდის ეპიგრაფიკული ძეგლები უმთავრესად საამშენებლო, ან მემორიალური ხასიათისაა.

## 4. ტერმინი „კელი“ და ხელის გამოსახულება ფეოდალურ საქართველოში

როგორც აღვნიშნეთ, XIII ს-ის სტელებზე გამოსახულია ხელი და თვით სტელებსაც მათზე მოთავსებულ წარწერებში „კელი“ ეწოდება. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვიზიარებთ ამ „კელების“ დანიშ-

ნულებაზე პროფ. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას (სამამულო მფლობელობის აღმნიშვნელი ნაშთები) და მოვიყვანეთ აგრეთვე ამ მოსაზრების სასარგებლოდ ჩვენი საბუთები (იხ. აქვე, გვ. 80). როგორც აღვნიშნეთ, საჭიროა გაირკვეს ამ „ქელების" კავშირი ფეოდალური პერიოდის საქართველოში ფართოდ გავრცელებულ იურიდიულ ტერმინ „ხელთან" („ხელის დაწერა", „ხელის ამართვა").

„ქელის" როგორც, ტერმინის მნიშვნელობის შესახებ ფეოდალურ საქართველოში აზრი გამოთქმული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს, რომელიც აღნიშნავს:

„ქელი მნიშვნელობით ლათინურს manus „მანუს"-ს უდრიდა და უფლებასა და საქმეს ეწოდებოდა. აქედგან არის ნაწარმოები „ქელმწიფე" სრულუფლებიანი მოხელე და შემდეგ განსაკუთრებით მეფე; აქედგანვეა ნაწარმოები „ქელისუფალი", ანუ რაიმე თანამდებობის მქონე მოხელე. სიტყვას „ქელი" ძველ ქართულ იურიდიულ მწერლობაში რომ უფლების მნიშვნელობა ჰქონდა, ეს თუნდაც თამარ მეფის შიომღვიმისადმი ნაბოძებ სიგელის შემდეგი სიტყვებიდანაც ჩანს: „არცა რაი მას წყალსა და გლეხსა ზედა ქელისუფალთა ჩუენთა ქელი შეუვიდოდეს"-ო. ესე იგი ჩემს მოხელეებს უფლება არა ჰქონდეთ გლეხებზედაო. ამიტომაც არის, რომ ვისაც რაიმე თანამდებობა „ქელი" ჰქონდა, ის „ქელოსანი" იყო და „მოქელე". სწორედ ამ თანამდებობის მნიშვნელობით არის ეს სიტყვა „ქელი" ნახმარი ქართველი ჟამთააღმწერლის შემდეგ მოთხრობაში: ვახტანგ მეფემაო აღიყუანა პატივსა ათაბაგობისასა და ამირსპასალარობისასა ხუტლუბუღა და მიუბოძა ორივე ქელი"[251].

„ქელი" ფეოდალურ საქართველოში სამი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება: 1. უფლების, ძალის, 2. მაგიური, 3. პირდაპირი (ე. ი. ადამიანის ხელის) მნიშვნელობით: ამ სამი ძირითადი მნიშვნელობის ტერმინიდან მივიღეთ სხვადასხვა ნაწარმოები ტერმინები.

X—XI სს. ძეგლებში „ქელი", როგორც აღვნიშნეთ, გვევლინება როგორც დიპლომატიკური ტერმინი და აღნიშნავს ქვაზე დაწერილ იურიდიული ხასიათის საბუთს. პროფ. ნ. ბერძენიშვილი ამის შესახებ აღნიშნავს: „X—XI საუკუნეთა ძეგლებიდან ირკვევა, რომ „ხელი" ეწოდებოდა არა მარტო მატერიალურ ნიშანს, მამულზე ამართულს, არამედ თვით იმ წერილობით საბუთსაც, ამ ხელის შინაარსს რომ

---

[251] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, 1928, გვ. 108—109.

შეიცავდა“[252]. ამ ტერმინის შესაბამისად იხმარებოდა „ქელის დაწერა“ (ე. ი. ქვაზე იურიდიული ხასიათის საბუთის—„ქელის“ დაწერა).

XII—XIII სს. ძეგლებში „ქელი“ აღნიშნავს სამამულო მფლობელობის მატერიალურ ნიშანს— ხელის გამოსახულებიან სტელებს. ამ ტერმინის შესაბამისად იხმარებოდა „ქელის დასმა“ (ე. ი. ხელის გამოსახულებიანი სტელის დასმა).

რამდენადაც ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდანა ჩანს, „ხელის ამართვა“ გვიანფეოდალურ ხანაში გულისხმობს იურიდიულ აქტს— რაიმე დადგენილების, თუ ბრძანების სისრულეში მოყვანას (მიწათმფლობელობასთან იქნებოდა ეს დაკავშირებული თუ არა). ამასთან არ ჩანს, რომ „ქელის ამართვა“ ამ ხანაში გულისხმობდეს მატერიალური ძეგლის დასმასაც. რომ „ქელის ამართვა“ გვიანფეოდალურ ხანაში არ ნიშნავდა მატერიალური ძეგლის დასმას, ამას მოწმობს XVIII ს. საბუთები, სადაც ეს ტერმინი სრულიად არაა დაკავშირებული მიწათმფლობელობასთან და, მაშასადამე, არც მატერიალურ ნიშანთან. მოვიყვანოთ ასეთი საბუთები:

1. 1750 წ. თეიმურაზ II ოქმი. ბეკამის მამასახლისისადმი.

„ქ. ჩვენი ბრძანება არის ბეკამის მამასახლისო, ეს ბადრიას შვილი ბერი ჩვენი სახასო ყოფილა, ხ ე ლ ი ა უ მ ა რ თ ე, სახასოთ იყოს. ჩვენი სახასო არის. ვისაც გაუყიდნია, ავალიშვილმა თავისი თეთრი იმას სთხოვოს. მკათათვის ზ, ქკს ულჱ“[253].

2. 1720—1723 წ. იასე მდივანბეგის ოქმი იასაულისადმი.

„ქ. ჩვენი ბრძანება არის იასაულო: მერმე ჩვენს ძმისწულს ბატონიშვილს ანუკას თავისი ნამზითევი ბიჭი წასვლია მათიაშვილი. მიდი ქელი აუმართე (და) იმას მსახურონ. ქელი ნურავის აქვს“[254].

ხელის ამართვა გვხდება აგრეთვე ვახტანგ VI სამართალში, რომლის 270 მუხლში აღნიშნულია:

„წესად ასე იყო: ან თუ ბატონი ვისმე გლეხს უბოძებდა, ან წაართმევდა, ან ასაყრელი იყო და აყრიდენ, ეშიკაღასი და იასაულნი იმავ გლეხს ქარსა და მარჩილს გამოართმევდენ. სამდივნოსა და სამურდლოსაც გლეხს გამოართმევდენ. ეს დიაღ დიდი უსამართლო იყო. ახლა ჩვენ ასრე გაგვირიგებია: ვისაც გლეხი მიეცეს, იმან მის-

---

252 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული თეზისები.

253 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის გამ., 1940 გვ. 349.

254 ი ქ ვ ე, გვ. 206.

ცეს, გლეხს ამაში ნურას გარჯიან. თუ ბატონისათვის კ ე ლ ი ა ი-მ ა რ თ ო ს, ბატონმა იასაულს სხვა რიგი წყალობა უყოს და გლეხს ნურას გამოართვამს“[255].

როგორც მოტანილი წყაროებიდან ჩანს (ასეთების მოტანა მრავლად შეიძლება), აქ „კელის ამართვა“ არც სამამულო მფლობელობასთანაა დაკავშირებული და არც მატერიალური ძეგლის დასმას შეიძლება გულისხმობდეს. ტერმინი „კელის ამართვა“ რომ დავშალოთ ორ შემადგენელ ნაწილად—„კელი“ და „ამართვა“, აქ „კელი“ გულისხმობს არა მატერიალურ ნიშანს (როგორც ეს XII—XIII სს. ძეგლებში ,სადაც, როგორც აღვნიშნეთ, „კელი“ ქვის სტელაა), არამედ უფლებას, ხოლო „კელის ამართვა“ უფლების განხორციელებას[256].

„კელიდან“ ნაწარმოები ტერმინები ფეოდალურ საქართველოში შეიძლება დაახლოებით შემდეგნაირად დავაჯგუფოდ:

**I. „კელი“, როგორც უფლების, ძალის აღმნიშვნელი ტერმინი:**

1. კ ე ლ ი.
   ა) თანამდებობა, საგამგებლო (მრავალ წყაროში);
   ბ) საქმე[257];
   გ) ჩვეულება[258];
   დ) წესი[259];
   ე) უფლება[260];
   ვ) სტელა (ხელის გამოსახულებიანი);
   ზ) ქვაზე დაწერილი იურიდიული ხასიათის საბუთი.
2. ს ა კ ე ლ ი — თანამდებობა[261].
3. მ ე კ ე ლ ე[262]—მოხელე, თანამდებობის პირი.

---

[255] ვახტანგ VI სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის გამ., 1955, მუხ. 270.

[256] შეადარეთ, ნ. ბერძენიშვილი, ქართული დიპლომატიკის საკითხებიდან („კელი“ და „დაწერილი“), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია, 1943 წ., 28—29 ივნისი, თეზისები.

[257] ამირან-დარეჯანიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია, II. ს. ყუბანეიშვილის გამ., 1949, გვ. 25, 62.

[258] ვეფხისტყაოსანი, სტრ. 748.

[259] ვისრამიანი, ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტ., II გვ. 146 („ლამაზად კელად უჩს ამის ქმნა“).

[260] გიორგი ბრწყინვალის სამართალი, ი. დოლიძის გამ., 1957, მუხ. 16.

[261] ბალავარიანი, ქართული რედაქციები, ი. აბულაძის გამ., 1957, გვ. 34.

[262] იქვე, გვ. 137.

4. კ ე ლ ო ს ა ნ ი[263] }
5. კ ე ლ ი ს უ ფ ა ლ ნ ი[264] } მოხელე, თანამდებობის პირი.

6. კ ე ლ ა დ ი[265] — ხელქვეითი.

7. კ ე ლ ი ს ა მ ა რ თ ვ ა[266] — იურიდიული აქტი.

8. კ ე ლ მ წ ი ფ ე.

ა) ძალაუფლების მქონე, შემძლებელი[267];

ბ) მაღალი თანამდებობის პირი, უფროსი, მთავარი, მმართველი[268];

გ) მეფე[269] („ქორცის კელმწიფე")[270];

დ) კათალიკოზი („სულის კელმწიფე")[271].

9. კ ე ლ მ წ ი ფ ე ბ ა || ხ ე ლ წ ი ფ ე ბ ა

ა) ძალაუფლების ქონა, უფლების ქონა[272];

ბ) შეძლება, ხელის მიწდომა[273];

გ) გაბედვა[274].

II. „კელი" როგორც მაგიური მნიშვნელობის ტერმინი:

1. „კელის დადება"—განკურნება[275].

2. „კელის დასხმა" || „კელდასხმა" || „კელთა დასხმაჲ".

ა) განკურნება[276];

---

263 დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამ., 1955, გვ. 353.

264 ამირან-დარეჯანიანი, ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტ., II, გვ. 59.

265 ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილი გამ., 1955, გვ. 13.

266 ვახტანგ VI სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის გამ., 1955, მუხ. 270.

267 ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, 1948—1949.

268 იქვე.

269 ვეფხისტყაოსანი.

270 ვახტანგ VI სამართლ. წიგნი, თ. ენუქიძის გამ., 1955, მუხ. 25.

271 იქვე.

272 ი ა კ ო ბ ც უ რ ტ ა ვ ე ლ ი, მარტვილობაჲ შუშანიკისი, ი. აბულაძის გამ., 1938, IV, 16; ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, 1948—1949.

273 ი ქ ვ ე.

274 ი ქ ვ ე.

275 ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, აკ. შანიძის გამ., 1945, მრ., 5,23; 7,32.

276 იქვე, მრ., 6,5.

ბ) დევნა, შევიწროება[277];

გ) სასულიერო თანამდებობაში დამტკიცება, კურთხევა[278].

III. „ჴელის“ პირდაპირი მნიშვნელობიდან ნაწარმოები გამოთქმები:

1. კაცთა ჴელითა“[279] — კაცთა მეშვეობით.

2. „ჴელის შეყოფა“[280] } ხელის მიყოფა, შედგომა, წამოწყება,
3. „ჴელყოფა“[281] } გაკეთება, ხელის მოკიდება.

4. „ჴელდაჴელ“, „ჴელისჴელ“[282] — ძალით, ხელით.

5. „ჴელში გამობარება“[283] — უშუალოდ (ვინმესთვის რაიმეს) გამორთმევა.

6. „ჴელში მიბარება“[284] — უშუალოდ (ვინმესთვის რაიმეს) მიცემა.

როგორც მაგიური, ისე უფლებისა და ძალის მნიშვნელობა „ჴელმა“, ცხადია, მიიღო „ჴელის“ პირდაპირი მნიშვნელობიდან. როცა ესა თუ ის მოქმედება გამომდინარეობდა ღმერთიდან, ქრისტედან, ანგელოზიდან, ან ბოროტი სულიდან, მაშინ „ჴელი“ ღებულობda მაგიურ მნიშვნელობას (ქრისტეც და ანგელოზებიც — ხომ ხელით აკეთებდნენ ამა თუ იმ საქმეს). ხოლო თუ მოქმედება დაკავშირებული იყო ადამიანის ხელთან, მაშინ ამ ხელიდან იწარმოებოდა ძალის, უფლების აღმნიშვნელი ტერმინები.

თუ როგორ იღებდა „ჴელი“ მაგიურ მნიშვნელობას, როცა ეს „ჴელი“ ზეციური არსებისა იყო, ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ტერმინი „ჴელის აპყრობა“. ეს ტერმინი ფეოდალური ხანის წყაროებში (სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება[285], ნინოს ცხოვრება[286],

---

277 ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, აკ. შანიძის გამ., 1945. გვ. 24, 12.

278 გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, პ. ინგოროყვას გამ., 1949, გვ. 14; ლ. მროველი, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამ, 1955, გვ. 134.

279 გიორგი ბრწყინვალის სამართალი, ი. დოლიძის გამ.. 1937, მუხ. 17.

280 ბალავარიანის ქართული რედაქციები, ი. აბულაძის გამ., 1957, გვ. 129.

281 აბდულმესია, ძვ. ქართ. ლიტერატურის ქრესტომატია, II, გვ. 203, 209.

282 ძველი ქართული სამართალი, ი. დოლიძის გამ., 1953, მუხ. 126.

283 ვახტანგ VI სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის გამ. 1955, მუხ. 235.

284 იქვე.

285 ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, კ. კეკელიძის გამ., 1935, გვ. 149.

286 ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოჲსი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია, ს. ყუბანეიშვილის გამ., 1946, გვ. 218.

იოანე და ეფთჳმეს ცხოვრება[287], მატიანე ქართლისა[288] და სხვ.) აღნიშნავს დაცვას, დახმარებას, მფარველობას. შესაბამისად „ქელაღუპყრობელი“ აღნიშნავს დაუცველს, ბედის ამარა მიტოვებულს[289]. როგორ წარმოიშვა ეს ტერმინი? ამას გვამცნობს სახარების ქართული ტექსტი, სადაც აღნიშნულია: „და ჰრქუა მას: უკუეთუ ძჱ ხარ ღმრთისაჲ, გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქუეყანად, რამეთუ წერილ არს ვითარმედ: ანგელოზთა მისთა უბრძანებიეს შენთჳს, მკლავითა მათითა აგიპყრან შენ, რაჲთა არა წარსცე ქვასა ფერჴი შენი. (...ქელთა ზედა აღგიქუან შენ, ნუსადა წარსცე ქვასა ფერჴი შენი)“[290]. ე. ი. „ქელი“ ნახმარია პირდაპირი მნიშვნელობით: ანგელოზი უფლის ბრძანებით აღაპყრობს, აღუმართავს კაცს ხელს და დაიჭერს მას, რომ არ წაიქცეს, თუ ქვას ფეხი წამოსდო. მაგრამ რადგან ეს „ქელი“ ანგელოზისაა, შემდეგში საერთოდ „ქელის აპყრობა“-მ მიიღო ზოგადად დაცვის, მფარველობის მნიშვნელობა (შესაძლოა ამასთან იყოს დაკავშირებული გვიანფეოდალური ხანის „ქელის ამართვაც“, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი).

ასევე, გვაქვს რიგი გამოთქმებისა, რომლებიც „ქელის“ პირდაპირ მნიშვნელობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ უკვე უფლებისა, ძალაუფლების, ძალის სფეროში გადადის. ასეთი გამოთქმებია:

1. „ქელთ შევარდნა“ [291] — ხელში ჩავარდნა;
2. „ქელთ მიცემა“[292] — ხელში მიცემა;
3. „ქელის გაყოფა// განყოფა“ [293] } ხელყოფა
4. „ქელის მიყოფა“[294] } ხელყოფა
5. „ქელთ შეპყრობა“[295] } შეპყრობა, თვითნებურად დაპატიმრება
6. „ქელად ხუმა“[296] } შეპყრობა, თვითნებურად დაპატიმრება

---

[287] ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, ივ. ჯავახიშვილის გამ., 1946, 2, 118 26; 118, 7.

[288] მატიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 290.

[289] ვეფხისტყაოსანი, სტრ. 94, 1307·

[290] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, აკ. შანიძის გამ., მ. 4, 6.

[291] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, აკ. შანიძის გამ., ლ. 10, 36.

[292] იქვე, მ. 17, 22.

[293] იქვე, ლ. 22, 53.

[294] იქვე. ი. 7. 30.

[295] ძველი ქართული სამართალი, ი. დოლიძის გამ., 1953, მუხ. 18, 102, 103, 104.

[296] გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, საქ. სამოთხე, მ. საბინინის გამ., გვ. 465.

7. „ქელყოფა“[297] — ხელის შეხება, წესის დარღვევა, მისაკუთრება.

8. „ქელთ დარჩენილი კაცი“[298] — ტყვე.

9. „ქელთ მიცემა“[299] — გადაცემა, ჩაბარება.

10. „ხელთება“[300] } ხელში ჩაგდება, მისწრება.

11. „დახელება“[301] }

„ქელი“, როგორც უფლების და ძალის, ისე მაგიური მნიშვნელობით, გვხვდება არა მარტო ტერმინის სახით, არამედ გამოსახულების სახითაც.

მაგიური მნიშვნელობით ხელის გამოსახულება საქართველოში გვაროვნული წყობილების დროიდანვე გვხვდება. ამას მოწმობს კავკასიის ხალხებში და მათ შორის ქართველ მთიელებში (სვანეთში, ხევსურეთში), ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიური მასალით დამოწმებული ფაქტები[302], აგრეთვე ხელის გამოსახულებანი ქართულ მონუმენტალურ ძეგლებზე და საქართველოს გვიანფეოდალური ხანის (XVI—XVIII სს.) საფლავის ქვებზე ჯვარისა და ხელის გამოსახულებანი, რაც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ.

რაც შეეხება ხელის გამოსახულებას უფლების, ძალის მნიშვნელობით, ასეთი გამოსახულება ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ XII—XIII სს. სტელებზე, სადაც ის დაკავშირებულია სამამულო მფლობელობასთან. პროფ. ნ. ბერძენიშვილი „ქელის“ გაჩენის დროზე აღნიშნავს: „...„ხელი“ და „დაწერილი“, როგორც სამამულო უფლების მატერიალური თუ წერილობითი ნიშანი წინაფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობაა“[303]. „ქელი“, როგორც უფლების აღმნიშვნელი ტერმინი, რომ წინაფეოდალურ ხანაში იხმარებოდა, ეს ძალიან კარგად ჩანს წერილობით წყაროებიდან. უძველეს ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში (შუშანიკის მარტვილობა,

---

[297] ძველი ქართული სამართალი, ი. დოლიძის გამ., 1953, მუხ. 57.

[298] იქვე, მუხ. 91.

[299] იქვე, მუხ. 92.

[300] ვეფხისტყაოსანი, სტრ. 405.

[301] ვახტანგ VI სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის გამ., 1955, მუხ. 61.

[302] ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, 1, 1939, გვ. 18—21.

[303] ნ. ბერძენიშვილი, ქართული დიპლომატიკის საკითხებიდან („ქელი“ და „დაწერილი“), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია, 1943, 28—29 ივნისი, თეზისები.

სახარება, ევსტატე მცხეთელის მარტვილობა და სხვა) უკვე გვხვდება „ქელიდან“ ნაწარმოები „ქელმწიფე“, „ქელმწიფება“ და ზოგიერთი სხვა უფლების აღმნიშვნელი ტერმინი. რაც შეეხება თვით ხელის გამოსახულებას უფლების მნიშვნელობით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთი გამოსახულება საქართველოში უკვე წინაფეოდალურ ხანაშივე იხმარებოდა (ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა მაგიური მნიშვნელობით „ქელის“ გამოსახულების დადასტურება ამ პერიოდში ეთნოგრაფიულ მასალით და „ქელის“, როგორც უფლებრივი მნიშვნელობის ტერმინის, დადასტურება ადრეფეოდალური ხანის ქართულ წერილობით წყაროებში). მაგრამ დაბეჯითებით ამისი მტკიცება ძნელია, რადგან უფლების მნიშვნელობით „ქელის“ გამოხატულება ჩვენთვის. როგორც აღვნიშნეთ, ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ XII—XIII სს. სტელებზე.

## V. ხელის გამოსახულებიანი სტელების გავრცელების ტერიტორიული და ქრონოლოგიური ფარგლები

დღემდე მოღწეული, ჯერჯერობით ცნობილი 14 ხელიანი სტელა ყველა ისტორიული ქვემო ქართლიდან და ჯავახეთიდანაა; თამარის დროს ჩნდებიან ეს ხელიანი სტელები და მისი შვილიშვილის—ულუ დავითის შემდეგ ქრებიან.

იბადება კითხვა: რით უნდა აიხსნას ამ ძეგლების გამოჩენა გარკვეული დროიდან და გარკვეულ რაიონში და რატომ ქრებიან ისინი ასე მალე?

ა. ბაქრაძის მოსაზრებით: გუნია-ყალის სტელის წარწერის დასაწყისში თამარი და მისი შვილი გიორგი ლაშა რომ არიან მოხსენებული, ხოლო ბოლოში ნათქვამია: „დაძსუა ქელი ესე ღმრთის სწორთა მეფეთ მეფისა გიორგისი“, იმისი მაჩვენებელი, ან უფრო სწორად იმ გარემოებით, ხომ არ უნდა იყოს გამოწვეული, რომ ამ მხარეში გიორგის მეტი უპირატესობა ჰქონდა თამართან შედარებით. კლდეკარის საერისთავოს გაუქმების შემდეგ, განაგრძობს ანა ბაქრაძე—ეს მხარე სამეფო სამფლობელო ხდება. მე-14—15 საუკუნეებში, როგორც ცნობილია, სამხრეთ საქართველოს ერთი ნაწილი საუფლისწულო მამულად ითვლება და უფლისწულთა რეზიდენციად ჯავახეთში მდებარე სოფ. ალასტანია მიჩნეული. ნარატიულ წყაროებში ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ ეს მხარე მე-13 საუკუნეში საუფლისწულო იყოს. მაგრამ საფიქრებელია, რომ ლაშა გიორ-

გის უკვე ჰქონდა მიცემული ეს ადგილი უშუალო მფლობელობაში, ამაზე მიგვითითებს ლაშა გიორგის დროინდელი მონეტა, რომელზეც ლაშა იხსენიება, როგორც „ჯავახთ უფალი“[304].

ჩვენ ვეთანხმებით ა. ბაქრაძეს, რომ ეს მხარე გარკვეული დროიდან მართლაც სამეფო მამულად—„დომენად“ იქცა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოხდა თამარის გამეფების პირველ წლებში, როცა დიდგვარიანთა მოთხოვნით „მოიშალა და დაიმკო“ მსახურთუხუცესი აფრიდონი, რომელიც, როგორც პროფ. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, 1177 წლიდან მსახურთუხუცესობასთან ერთად კლდეკარის ერისთავიც იყო[305]. აფრიდონს დამხობის შემდეგ, როგორც ჩანს, ჩამოერთვა კლდეკარის ერისთავობა და ეს მხარე, ჯავახეთის ნაწილთან ერთად, სამეფო მამულად იქცა. ამით უნდა იყოს გამოწვეული, რომ მხოლოდ აქაა ხელიანი სტელები და ამიტომვე აღვნიშნავდით ზემოთ იმასაც, რომ ის სამი სტელა, რომელსაც პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი XII—XIII სს. ათარიღებს, თამარის მეფობაზე ადრინდელი არ უნდა იყოს.

რაც შეეხება ა. ბაქრაძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, შესაძლებელია ლაშას რაღაც უპირატესობა ჰქონდა ჯავახეთში, თამართან შედარებით და ეს მხარე უშუალოდ მის მფლობელობაში იყო, ამაზე დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით.

იმ საკითხს, თუ რატომ ქრება XIII ს-ის შემდეგ ხელიანი სტელები, ხსნის, ჩვენი აზრით, სწორედ ის გარემოება, რომ ისინი მეფის დომენში ისმებიან. XIV—XV სს. საქართველოში, როგორც აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, ცენტრი „საჭელმწიფოებად“ დაშლის ტენდენციებს იჩენს; ალასტანელი უფლისწულები „ბატონიშვილობას“ აღარა სჯერდებიან და „პროვინციის მეფენი“ ხდებიან[306]. ე. ი., თრიალეთ-ჯავახეთის ერთი ნაწილი XII ს. II ნახევარში მეფის დომენად იქცა, ხოლო XIV—XV სს.—„პროვინციულ სამეფოდ“. ხელიანი სტელებიც ამ მხარეში დაისმება მის სამეფო დომენად გადაქცევასთან ერთად და აღარ დაისმება მას შემდეგ, რაც ის სამეფო დომენიდან ცალკე „პროვინციულ სამეფოდ“ იქცა.

---

[304] ა. ბაქრაძე, წარწერა გუნია-ყალიდან, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVII-B, 1953, გვ. 224.

[305] ნ. ბერძენიშვილი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII ს-ის საქართველოში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, VII, 1938, გვ. 90.

[306] ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 1, 1937, გვ. 24—25.

ახალქალაქის რაიონში მდებარე სოფ. იხტილას ეკლესიის სამხრეთის კარნიზზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა. ეს წარწერა სამჯერ არის გამოცემული: პირველად აკად. მ. ბროსეს და ორჯერ თ. ჟორდანიას მიერ.

მარი ბროსე ასე კითხულობს წარწერას:

+ ႢႠႧႠႥႣႠ ႵႤႸႤႪႨႱႠ ႪႮႲႨႱ ႺႭႪႨႱႠ ႣႠ ႧႫႭႢႭႥႤႪႣႠ
ႵႠႪႨႱႠ ႰႭႱႭႣႠႬႨႱႠႢႠႬ ႸႬ ႶႬ ႵႰႬႨ ႨႷႭ ႴႩႦ ႫႭႰႥႠႬႨႱႠ
ႻႤႱႠ ႨႬႤႱ ႸႬ ႶႬ
+ ႡႠႪႠႧႭႰႱ ႣႠ ႫႨႱႱႠ ႸႥႨႪႱႠ ႢႨႭႰႢႨႱ ႸႬ ႶႬ

ქარაგმების გახსნით და დაკლებული ასოების აღდგენით:

„ქ. გათავდა ქვეშელისა ლიპარიტის ცოლისა და თმოგველთა ქალისა რუსუდანისაგან, შეუნდევენ ღმერთმან. ქრონიკონი იყო ფკჱ (528). მორვანისა ძესა იოვანეს შეუნდევენ ღმერთმან.

ქ. ბალათურს და მისსა შვილსა გიორგის შეუნდევენ ღმერთმან"[307].

შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორჯერ თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა იხტილას წარწერა. პირველად 1892 წელს[308], ხოლო მეორედ 1897 წელს[309]. თ. ჟორდანია ორჯერვე ერთნაირად კითხულობს წარწერას:

„გათავდა ქვეშელისა ლიპარიტის (ლპტის) ცოლისა და თმოგველდ (თმოგველთა) ქალისა როსოდანისაგან. შეუნდევნ (შნ) ღმერთმან (ღნ). ქორონიკონი იყო ფკზ. ჰორვანისძეს ივანეს (ინეს) შეუნდევს (შნ) ღმერთმან (ღნ)".

მ. ბროსეს და თ. ჟორდანიას წაკითხვებს შორის ორი განსხვავებაა: 1. ბროსე ქორონიკონის ბოლო ასოს ჱ-თ კითხულობს, ხოლო თ. ჟორდანია—ზ-თ; 2. ბროსე კითხულობს: „მურვანის ძესა", თ. ჟორდანია—„ჰორვანის ძესა". რაც შეეხება ბროსეს მიერ მოტანილ წარწერის ბოლო სტრიქონს („ქ. ბალათურს და მის შვილს გიორგის შეუნდევენ ღმერთმან"), რომელიც თვით ჟორდანიას არა აქვს, ის ეკლესიის წარწერის ნაწილი არ არის, არამედ ეკლესიის ეზოში მდებარე საფლავის ქვაზეა გაკეთებული.

---

[307] Melanges..., t. II, 3-e l. 1854, გვ. 343.

[308] СМОМПК, 13, стр. 130.

[309] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 174.

როგორც წარწერაშია ნათქვამი, იხტილას ეკლესია აშენებულია 1307 ან 1308 წელს ლიპარიტ ქვეშელის ცოლის რუსუდანის მიერ, რომელიც თმოგველთა ასულია.

ქვეშის შესახებ XVIII საუკუნემდე თითქმის არაფერი არ ვიცით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში რამდენჯერმე მის მხოლოდ დასახელებას. ლ. მუსხელიშვილის გამოკვლევით XI საუკუნეში იხსენიება „ქვეშის ჰალა“, „1486 წლის ქვეშ გვაქვს ცნობა „ქვეშის კევის“ შესახებ... XVIII საუკუნეში კი ქვეში, რომელიც ორბელიანთა ხელში იყო, ძალიან მაგარ ციხედ ითვლებოდა და არა ერთხელ იხსენიება სამშვილდის გვერდით“[310]. ამას გარდა, როგორც ლ. მუსხელიშვილიც აღნიშნავს, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენებულია ლიპარიტ ქვეშელი (იხ. ნ. მარის გამოცემა, გვ. XXVII, № 29). ამით ამოიწურება ჩვენი ცნობები ქვეშისა და ქვეშელთა შესახებ XVIII საუკუნემდე.

თედო ჟორდანიას თქმით: „რადგან ქვეშის ციხე ორბელიანთა გვარისაა, ამის გამო ეჭვი არ არის, რომ ლიპარიტი იმ გვარს ეკუთვნის“[311] მაგრამ, როგორც ცნობილია, XVIII ს-ის ორბელიანები ბარათაშვილების განაყოფებია და მათი გვარი XVII ს-ში წარმოიქმნა, ხოლო თვით ბარათაშვილები კი. აქ XVI ს-დან მკვიდრდებიან[312]. ამდენად, XIV ს-ში ქვეშის ციხის მფლობელად ამ გვარის წარმომადგენელს ვერ ჩავთვლით. ჩვენის აზრით, იხტილას წარწერაში მოხსენებული ლიპარიტ ქვეშელი თორელი უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს XV ს-ის ერთი სიგელი, რომელიც ბაგრატ VI მიუცია ჯავახისშვილებისათვის 1468 წლის 6 ნოემბერს.

ამ სიგელში ნათქვამია: „მოვიდეს წინაშე ჩვენსა ჩვენნი დიდათ ერთგულნი და ჩვენისა მორ(ჭ)უმისა და გადიდებისათვის დღე და ღამე მომჭირნე-მოცადენი ჯავახისშვილნი: ზაქარია, კახა და ზაზა და გვიაჯნეს და მოგვახსენეს, რათამცა ერთგულობისა მათისა სამუქბოდ სიგელთა ამითა შევიწყალე და ძველნი სიგელნიცა უნახენით თამარ მეფისაგან და სხვათა ჩვენთა გვართა და ჩამომავალთაგან სამკვიდ-

---

[310] ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები, 1941, გვ. 34, შენ. 3. ქვეში ბოლნისის რაიონშია. თვით ციხე-სიმაგრე მდებარეობს ბოლნისიდან ჩრდილო დასავლეთით 7—8 კილომეტრის მანძილზე, მდინარე მაშავრის მარჯვენა ნაპირას.

[311] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 174.

[312] ს. ჯანაშია, ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, II ტომი გვ. 464—481; გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 76.

როდ მათთვის ბოძებული. და ახლადვე დიდი ფასი და საქონელი გამოიღეს და მათივე მკვიდრი მამული მათივე ალალითა საქონლითა მათვე მივჰყიდეთ და დაუმტკიცეთ—სომხითს ქვეში, ციხითა, ბაჟითა და მისითა მიდგომითა"[313].

როგორც ამ საბუთიდან ჩანს, ჯავახისშვილები პირველად კი არ ღებულობენ ქვეშს ბაგრატ მეფისაგან, არამედ ამის შესახებ მათ ძველი სიგელები ჰქონიათ—თამარისა და სხვა მეფეთაგან „სამკვდროთ მათთვის ბოძებული". ამრიგად, ჯავახისშვილები თამარის დროიდან ფლობენ ქვეშს.

ჯავახიშვილები კი, როგორც ცნობილია, ქართლში დამკვიდრებულ თორელთა ერთი შტოს შთამომავლები არიან და ამ გვარს ატარებენ დაახლოებით XIV ს. ნახევრიდან[314].

თორელებს რომ მართლაც ადრიდანვე მიუწვდებოდათ ხელი ამ მხარეში, ეს ჰამამლუს წარწერიდანაც ჩანს. როგორც ამ წარწერის გამომცემელი ლ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, თამარის დროს თორელთა „სახელოში შედიოდა ჯავახეთზე უშუალოდ მიკრული მაშავრის სათავეებიც, სადაც ჰამამლუ მდებარეობს"[315].

თმოგველების შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი (იხ. თმოგვის წარწერა) და ამიტომ მათზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

თ. ჟორდანია ფიქრობს, რომ იხტილას წარწერაში მოხსენებული რუსუდანი XIII ს. შუა წლებში მოღვაწე სარგის თმოგველის ქალია[316]. ეს მოსაზრება ცოტა საეჭვო ჩანს, იმის გამო, რომ რუსუდანის მოხსენიება (1308 წ.) და სარგისის ცხოვრების წლები ნახევარ საუკუნით მაინც არის დაშორებული ერთმანეთისაგან, თანაც საამისოდ არაფერი საბუთი არ არსებობს, მაგრამ ეს შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, სავსებით გამორიცხული არ არის.

## განძანის წარწერები

სოფ. განძანი დაშორებულია ახალქალაქიდან 25-ოდე კილომეტრით, აღმოსავლეთის მიმართულებით; იგი მდებარეობს ფარავნისა და საღამოს ტბებს შორის.

---

313 საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909., გვ. 40.

314 ვრცლად ამის შესახებ იხ. ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 73—74.

315 ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 52—60.

316 თ. ჟორდანია, ქრონიკები. II, გვ. 174.

განძანში ორი ერთნაირი, პატარა, ძველი ეკლესიაა. ერთი მათგანი მდებარეობს სოფლის ზედა უბანში, ხოლო მეორე—ქვედა უბანში. ორივე ეკლესია თლილი ქვით არის ნაშენი, ორივე ერთნავიანია და ორფერდა სახურავითაა გადახურული, თითო კარით სამხრეთიდან.

თითოეულ ეკლესიას აქვს ორ-ორი ასომთავრული წარწერა, რომლებიც ორჯერაა გამოქვეყნებული: პირველად მ. ბროსეს მიერ[317], ხოლო მეორედ — ივ. როსტომაშვილის მიერ[318]. მაგრამ. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, მათ წარწერების წაკითხვაში შეცდომები აქვთ დაშვებული; ივ. როსტომაშვილი წარწერების დათარიღებაშიც ცდება.

განძანის წარწერები მრავალმხრივაა საყურადღებო საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის: ისინი გვაწვდიან ცნობებს ჯაყელთა გვარის გენეალოგიის დასაზუსტებლად, ვაზირთა ქრონოლოგიური რიგის შესავსებად, სავაზირო ხელის ერთი საფეოდალო სახლიდან მეორეში გადასვლის მოვლენების შესასწავლად, სამცხის მთავრისა და საქართველოს მეფის ურთიერთდამოკიდებულების დასაზუსტებლად, ქართული პალეოგრაფიის განვითარების შესასწავლად, ჯავახეთის მფლობელთა შესახებ XIV ს-ში და სხვა.

## ზედა ეკლესიის წარწერები

1. ზედა ეკლესიის დასავლეთი კედლის ერთ მთლიან ქვაზე ამოკვეთილია ექვსსტრიქონიანი წარწერა. წარწერა შესრულებულია არათანაბარი სიდიდის ასოებით; სტრიქონები საკმაოდ სწორხაზოვანია; ქარაგმად ნახმარია პატარა, განივი ხაზი; განკვეთილობის ნიშნად ერთი წერტილია; მეორე სტრიქონის ბოლოს დასმულია სამი წერტილი და პატარა განივი ხაზი (:. —), ხოლო მეხუთე სტრიქონის ბოლოს—ორი წერტილი და ისეთივე პატარა განივი ხაზი (: — ). (ტაბ. IX).

წარწერა ასე იკითხება:

+Ⴂ̃. ႶႭ̃. ႠႻ̃Ⴈ. ႭႣႰႠႼႨ. ႸႠ̃.ႺႽႭႣႨႧ
ႠႰႠ. ႹႨ ႼႷႣႼႦႨ Ⴐ. ႷႽႷႺႨႱႨ.·.—
ႸႠႦႼႠ. ႣႨႰႠ. ႣႹႨႰႠ. ႹႠႰႭ
ႰႠ. ႺႭႺႽႠႦႰႠ. ႼႠႸႨႬႨႰ. Ⴔ̃Ⴍ

---

[317] M. Brosset, Rapp. 2e l. გვ. 173—174; Mélanges..., t. II. 2e l, გვ. 156 – 157.

[318] ი ვ. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი, დასავ. ნაშრ., გვ. 49 –52

ႤႱႤ. ႱႠႷႣႰႨ. Ⴙ́Ⴌ. ႵႡ́ႱႠ. ႣႠ:—
ႬႩ́ႪႱ. ႻႤႧႠ

ქარაგმების გახსნით:

ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა[319] ცხორებათა[320] მეჭურჭლეთუხუცესი[321] შალვა, ძითა, ძმითა მათჲთა[322] ცოცხალთა, ვაშენეთ წმიდაჲ ესე საყდარი ჩუენ, ქებასა[323] და ნიკოლას ძეთა.

წარწერაში საყურადღებოა უ-ს გადმოცემა ჳ-თი (მეჭჳრჭლეთ ჳხჳცესი) და ი-სი—ჲ-თ (მათჲთა=მათითა). წარწერიდან ჩანს, რომ ეკლესია აუშენებიათ ქებასძეებს და ნიკოლასძეებს.

2. იმავე ზედა ეკლესიის სამხრეთის კედლის ერთ მთლიან ქვაზე მოთავსებულია შეიდსტრიქონიანი წარწერა, რომელსაც დასაწყისში დასმული აქვს პატარა ჯვარი. ეს წარწერაც, პირველი წარწერის მსგავსად, ყურადღებას იქცევს სწორხაზოვანი სტრიქონებით და არათანასწორი სიდიდის მქონე ასოებით. შედარებით პატარატანიანი ასოებით დაწყებული წარწერა პირველივე სტრიქონის ბოლოში გამსხვილებულია, ბოლო ორ სტრიქონში კი ასოები ისევ დაწვრილებულია. განკვეთილობის ნიშნები ყველგან არაა ნახმარი, რამდენიმეჯერ ნახმარია ერთი, ან ორი წერტილი. ქარაგმად პატარა განივი ხაზია. წარწერა თავისთავად კარგადაა შენახული, მაგრამ, სამწუხაროდ, სამ ადგილას განგებაა გაფუჭებული (როგორც ჩანს, რკინის იარაღითა გადაფხეკილი), რის შედეგადაც ორი სიტყვის აღდგენა საეგებოა. (ტაბ. X).

წარწერა ასე იკითხება:

\+ Ⴕ́Ⴄ ႶႧ́Ⴍ ႠႣႨႣႤ ႭႰႧ́ႥႤ Ⴘ́Ⴀ ႺႾ́ႰႡႧႠ
ႫႦႤႤႫႠႤ ႣႠ ႭႫႦ́ႥႤႦႤ ႷႭ
ႤႦႭႧ ႸჃႤႠႭ́ႢႼ ႸႤႱႭႠႱႦႤႥ ႭჄ

[319] მ. ბროსეს ეს სიტყვა გამოტოვებული აქვს, იხ. მისი Rapp., 2e1 გვ. 174.

[320] ივ. როსტომაშვილი კითხულობს: „ცხოვრებათა", იხ. მისი დასახ შრომა, გვ. 51.

[321] ივ. როსტომაშვილს წარწერის გადმოხატვისას მეორე ჳ გამოტოვებული აქვს, იქვე, გვ. 51.

[322] მ. ბროსე ამ სამ სიტყვას კითხულობს: „ძეთა მათთა", იხ. მისი დასახ. შრომა, გვ. 174; ივ. როსტომაშვილი კითხულობს: „ძითა, ძმითა, მათათა", იხ. მისი დასახ. შრომა, გვ. 52.

[323] მ. ბროსე კითხულობს—„ქჳსა", იხ. დასახ. შრომა, გვ. 174. ე. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ უნდა იკითხებოდეს „ქუბადს", იხ. როსტომაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 51, შენიშვნა 2.

---ႱႨ ႸႠႪႥႠ Ⴐ~Ⴊ Ⴋ~Ⴌ ႻႠႪႨႧႠ
...ႠჂႧႠ ႣႠ ႫႩႪႠႥႨႧႠ ႧႠႥႨႱႨ
ႧႠ ႸႤႠႻႰႼႭႬႥႠ ႷႭႤႪႨ Ⴑ...
ႰႱႤႧႨႱႠჂ

ქარაგმების გახსნით, და დაზიანებული ადგილის აღდგენით:

ქრისტე[324] ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხორებათა, ძლიერი და უძლეველი ყოველთა მტერთაგან, მეჭურჭლეთუხ(უცე)სი[325] შალ-ვა, რომელმან ძალითა (ღმრთის)აჲთა და მკლავითა თავისითა შეაძ-რწუნვა ყოელი ს(ოფელი[326] სპა)რსეთისაჲ[327].

ბოლოს, ფრჩხილებში ჩასმული ასოები შეიძლება ყოფილიყო „ს(ოფელი სპა)", ან: „ს(ახლი სპა)". ვფიქრობთ უფრო სწორი იქნე-ბა, თუ „სოფელს" ვიგულისხმებთ. თუ პირველ წარწერაში სიტყვაში „მეჭურჭლეთუხუცესი" უ ბგერის გადმოსაცემად ნახმარია ვ, აქ ნახმარია ო. „მეჭორჭლეთ" „შეაძრწონვა".

## ქვედა ეკლესიის წარწერები

1. ქვედა ეკლესიის სამხრეთის კედელზე მოთავსებულია ხუთ-სტრიქონიანი წარწერა. ზედა ეკლესიის ორივე წარწერასთან შედა-რებით ეს წარწერა მეტად ლამაზად მოყვანილი ასოებითაა შესრუ-ლებული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი წერტილი და ორი-ოდე შემთხვევაში ორი წერტილი: მე-2. მე-3. მე-4 და მე-5 სტრიქო-ნის ბოლოს პატარა განივი ხაზია, რომელსაც ზემოდან და ქვემო-დან დასმული აქვს თითო წერტილი (÷) წარწერა ძალიან კარგადაა შენახული და თავისუფლად იკითხება (ტაბ. XI).

წარწერა ასე იკითხება:

✝Ⴕ~Ⴄ Ⴖ~Ⴍ ႠႣ~ႣႤ ႭႰႧႠႥႤ ႺႾႭႰႤႡႠႧႠ ႻႪႨႤႰႨ ႣႠ
ႳႺႤႱႨ ႸႠႪႥႠ Ⴐ:ႭႠ ႣႠ ႻႫႤႠႰ ႫႠႤႫႰႨ ႺႭႺႤႰႠႤႠ÷

---

[324] მ. ბროსე ამ სიტყვის წინ—წარწერის დასაწყისში უმატებს „უფალო": იხ. მისი Mélanges..., t. II. 2°:, გვ. 156—157.

[325] მ. ბროსეს ეს სამი სიტყვა არა აქვს წაკითხული, იქვე, გვ. 157.

[326] მ. ბროსე კითხულობს—„სული", იქვე, გვ. 157.

[327] ივ. როსტომაშვილს საბოლოოდ სწორადა აქვს წარწერა წაკით-ხული, მაგრამ მისი გადმოხატვისას შეცდომები აქვს დაშვებული, რაც რამდენიმე სიტყვაში ასოთა დაკლებაში, ან დამატებაში გამოიხატება. იხ. მისი დასახ. შრო-მა, გვ. 56.

ნაირად“[334]. როგორც ეტყობა, განსვენებულ მეცნიერს წიგნური მასალების შესწავლის საფუძველზე ჰქონდა ეს მოსაზრება გამოთქმული და ამიტომ იქვე შენიშნავდა: „შესაძლებელია აქ მერმინდელ გადამწერთა ნამუშევრის კვალი იყოს“-ო.

განძანის არც ერთ წარწერას თარიღი არ უზის და ამდენად ისინი მათში მოხსენებულ პირთა და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით უნდა დათარიღდნენ.

ორივე ეკლესია, როგორც წარწერებიდან ჩანს, აშენებულია ნიკოლას ძეთა მიერ. ამასთან, ჯერ აშენებულია ზედა ეკლესია, ხოლო მერე ქვედა, რადგან ამ უკანასკნელის წარწერაში ნიკოლას ძენი აღნიშნავენ: „ვაშენეთ მეორე ესე საყდარი“-ო (ე. ი. პირველად ზედა ეკლესიას გულისხმობენ). შეიძლება ამ ორი ეკლესიის აგებას შორის განსაზღვრულმა დრომ გაიარა, მაგრამ ცხადია, რომ ორივე ერთი თაობის სიცოცხლეშია აშენებული.

პირველი ეკლესიის წარწერაში შალვა მეჭურჭლეთუხუცესად იხსენიება, ხოლო მეორის წარწერაში—მანდატურთუხუცესად. ე. ი. მას ჯერ მეჭურჭლეთუხუცესობა ჰქონია, ხოლო შემდეგ მანდატურთუხუცესობა მიუღია. ცხადია, რომ ის ორივე ხელს ერთდროულად არ ფლობდა, რადგან მაშინ წარწერაშიაც ორივე ხელის მფლობელად ერთდროულად იქნებოდა მოხსენებული. საჭიროა დავადგინოთ თუ ვინ არის შალვა.

აკად. მ. ბროსეს აზრით[335], ის არის ბექა I შვილი, ხოლო წარწერაში მოხსენებული მეფე გიორგი—გიორგი V. მ. ბროსეს ამ მოსაზრების დასამტკიცებლად არავითარი საბუთები არ მოაქვს.

განძანის წარწერების მეორე გამომცემელს ივ. როსტომაშვილს შალვას ვინაობის შესახებ მ. ბროსეს აზრი სქოლიოში მოჰყავს, მაგრამ, როგორც ჩანს, არ ეთანხმება მას, რადგან წარწერაში მოხსენებულ მეფე გიორგის გიორგი I-ად მიიჩნევს და შენიშნავს, რომ ექვთ. თაყაიშვილის აზრით ის გიორგი V-აო[336].

პალეოგრაფიული თვალსაზრისით განძანის წარწერებში ყურადღებას იქცევს, უპირველეს ყოვლისა, ა, რომელსაც ალმა შებრუნებული ნალისებური ფორმა აქვს და ზედა განივი ხაზი ტანს არ ეხება. ამგვარი მოყვანილობის ა ქვის წარწერებში ჩნდება მხოლოდ XIII ს. დამდეგიდან: გუნიაყალის 1207—1212 წწ. დათარიღებულ წარწერა-

---

[334] ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 143.
[335] მ. ბროსე, Melanges t. II, 2<sup>e</sup>l. გვ. 156—157; Rapp. 2<sup>e</sup>l, გვ. 173—174.
[336] ივ. როსტომაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 48—49.

ში[337] უკვე შეიმჩნევა, რომ ა მარჯვენა ბოლო ჩვეულებრივზე მაღლაა ატანილი და ზედა განივი ხაზი ტანს არ ეხება, ასეთივე მოყვანილობისაა ა წუღრუღაშენის ლაშა გიორგის დროინდელ წარწერაშიც[338], ხოლო რუსუდანის დროინდელ არხოტის სტელის წარწერაში[339] ა თითქმის ისეთივე მოყვანილობისაა, როგორც განძანის სამ წარწერაში. პალეოგრაფიულად განძანის წარწერები კიდევ უფრო ახლოა XIV საუკუნის წარწერებთან: ასეთებია მაგალითად, სოფ. დაბის (ბორჯომის რაიონი) ეკლესიის 1333 წ. და თირის მონასტრის სამრეკლოს (სტალინირის რაიონი) XIV საუკუნის წარწერები. ამრიგად, პალეოგრაფიულად წარწერები, ჩვენის აზრით, XIV საუკუნისაა. ამ თარიღს ადასტურებს ისიც, რომ ხელოვნებათმცოდნეთა დასკვნით განძანის ეკლესიები არავითარ შემთხვევაში არ არის XIII საუკუნის ბოლოზე ადრინდელი[340].

მაშასადამე, შალვა მეჭურჭლეთუხუცესი და შემდეგ მანდატურთუხუცესი ცხოვრობდა XIV ს-ში, გიორგი მეფის დროს. ცხადია ეს გიორგი—გიორგი V ბრწყინვალეა. მანდატურთუხუცესობა ამ დროისთვის ჯაყელთა გვარში ჩანს, ამ გვარსავე ჰქონდა ხშირად მეჭურჭლეთუხუცესობაც XIII ს-ში (60-იან წლებში ასეთად ჩანს სარგის ჯაყელი).

XIV საუკუნის დასაწყისში ჯაყელთაგან შალვას სახელით ცნობილია ბექა I უმცროსი ვაჟი[341]. მისი ცხოვრების წლები შეიძლება დავადგინოთ დაახლოებით. ლ. მუსხელიშვილის აზრით, შალვას მოუხსენებლობა „ბექა მანდატურთუხუცესის და კახა (სამძივრის) კეთილმოყვრობის წიგნში", რომელიც მისივე აზრით, 1300 წლის ახლო ხანით თარიღდება. იმას მოასწავებს, რომ შალვა ამ დროს ჯერ დაბადებული არ იყო. მაგრამ აღნიშნული კეთილმოყვრობის წიგნი თვითონ არაა დათარიღებული. ლ. მუსხელიშვილის თარიღი—1300 წლის ახლოხანი არ არის დასაბუთებული[342]. ჩანს მხოლოდ, რომ ეს წიგნი 1284 წლის ახლო ხანზე ადრე არაა დაწერილი, რადგან მაში

---

[337] ა. ბაქრაძე, XIII ს. წარწერა გუნიაყალიდან, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVII B, 1953, გვ. 219—221.

[338] პ. ზაქარაია, წუღრუღაშენი, 1953, გვ. 9—13.

[339] საქართველოს სახ. მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, 1953, ტაბ. XIII, სურ. 4.

[340] ასეთი აზრი გამოთქვა, მაგალითად, პირად საუბარში ვ. ბერიძემ.

[341] ჟამთააღმწერელი, მარიამისეული ქართლ. ცხ-ბა, ექვთ. თაყაიშვილის გამ., 1906, გვ. 783; ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 170.

[342] ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები, 1941, გვ. 72.

ბექა I უკვე მანდატურთუხუცესადაა მოხსენებული, ხოლო 1284 წ. ახლოს მანდატურთუხუცესად ივანე მხარგრძელია. ამრიგად, შალვას დაბადების უადრეს თარიღად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ 1284 წელი. მისი დაბადების უგვიანეს თარიღად შეიძლებოდა ბექა I გარდაცვალების წელი მიგვეღო, მაგრამ ეს წელი ცნობილი არაა. მ. ბროსეს ვარაუდით, რომელსაც ეთანხმება ე. თაყაიშვილიც, ბექა I გარდაიცვალა 1306 ან 1308 წწ.[343]. ლ. მუსხელიშვილის აზრით, ეს მოხდა 1315 წლის ახლოხანში[344].

მეჭურჭლეთუხუცესობის მიღების დროს შალვა 20—25 წლის მაინც უნდა ყოფილიყო, ამიტომ განძანის პირველი (ზედა) ეკლესიის აშენების უადრეს თარიღად დაახლოებით 1310 წელი უნდა მივიჩნიოთ. რაც შეეხება უგვიანეს თარიღს, ასეთად გამოდგება გიორგი V გარდაცვალების წელი—1346 წელი. შეიძლებოდა ეს ქრონოლოგიური ფარგლები სავარაუდოდ კიდევ უფრო დაგვევიწროებინა: ქვედა ეკლესიაზე მოთავსებული წარწერა, მეფე გიორგის მოხსენიებით, როგორც ჩანს, ეკლესიის აშენების თანადროულია. მეფის მოხსენიება გვაფიქრებინებს, რომ ამ დროს ჯაყელთა სამთავრო ისევე საქართველოს მეფეს ემორჩილება, ეს დამორჩილება კი მოხდა 1334 წელს[345]. თუ ეს ასეა, მაშინ ქვედა ეკლესია აშენებულია 1334—1346 წწ.

ე. ი. განძანის წარწერები უნდა დათარიღდეს 1310 (1334 ?)—46 წლით.

ლიხაურის მაცხოვრის ხატის წარწერაში მოხსენებულია „...ძე დიდისა სახლთუხუცესისა ბექისა, ათაბაგი და სამცხისა სპასალარი შალვა"[346], რომელსაც დიმიტრი ბაქრაძე მიიჩნევს ბექა I ძეთ[347]. მაგრამ, რადგან აღნიშნული წარწერა არ არის დამაჯერებლად დათარიღებული, ამიტომ ძნელია იმისი თქმა, მართალია თუ არა დ. ბაქრაძის ეს ვარაუდი.

როგორც ცნობილია, XIV საუკუნის დასაწყისიდან სოფ. ალასტანი და ჯავახეთის დიდი ნაწილი „პროვინციის მეფეთა" საჯდომად

---

343 მ. ბროსე, Rapp. გვ. 173, შენ. 2, Е. Таканшвили, Арх. экск, I, стр. 48.

344 ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 72, შენ. 8.

345 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1941, გვ. 170.

346 Д. Бакрадзе, АПГА, стр. 110—111.

347 იქვე, გვ. 112.

იქცა[348]. ასე იყო საკმაო ხანს, ვიდრე XV ს-ში ჯავახეთი საბოლოოდ ხელთ არ იგდეს სამცხის მთავრებმა. ხომ არ უშლის ეს გარემოება ხელს იმას, რომ განძანი XIV ს-ში ჯაყელთა სამფლობელოდ მივიჩნიოთ? ვფიქრობთ, რომ არა: როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, ჯაყელებს ჯერ კიდევ XIII ს-ში დაუპყრიათ ჯავახეთის ნაწილი. აი რას ამბობს ჟამთააღმწერელი ბექა I შესახებ: „დაიპყრა ქვეყანა ტასისკარიდამ კარნუ ქალაქამდის: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალისჴევი, არტანუჯი, თორმეტი უდაბნონი, კოლა, კარნი და ორნივე არტაანი და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს და ესრეთ დღითი დღე განდიდნებოდეს“[349].

იმავე ჟამთააღმწერლის თქმით: „ვითარ ცნა ბექამან მოსვლა თურქთა, მოუწოდა ყოველთა მის ქვეშე დაწესებულთა, ტასისკარითგან ვიდრე ბასიანამდე: მესხთა, შავშთა, კლარჯთა, კოლა-არტაან-კარნიფორელთა და უმრავლესთა ტაოელთა, რამეთუ ამას აქვნდა ქვეყანა ესე. ამათ თანა თმოგველთა და თორელთა და შეკრბა სიმრავლე ერთი ბევრი“[350]. როგორც მოტანილი ადგილიდან ჩანს, მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ბექამ მოუწოდა „ყოველთა მის ქვეშე დაწესებულთა“, რომელთა შორის თმოგველებიც ყოფილან, თმოგვი კი, როგორც კარგადაა ცნობილი, ჯავახეთში მდებარეობდა და ამიტომ ესეც იმისი დამადასტურებელია, რომ ჯავახეთის ნაწილს მაინც ჯაყელები ფლობდნენ.

ჟამთააღმწერლის ერთი სხვა ადგილის მიხედვითაც ასეთივე სურათი ჩანს: „მესხნი ლაშქარნი, რომელნი წარმოევლინნეს სამცხის მთავარსა ბექასა: თორელნი, თმოგველნი და ტაოელნი და გაგრძელდა ომი ვიდრე მიმწუხრამდე“[351].

ე. ი. ჯაყელებს ჯავახეთის ხელში ჩაგდება ჯერ კიდევ XIII საუკუნეში დაუწყიათ და XV ს. დაუმთავრებიათ.

შეიძლება გვეფიქრა, რომ განძანის წარწერებში მოხსენებული შალვა თორელთა გვარიდანაა, რადგანაც; 1). სახელი შალვა ცნობილია თორელთა გვარშიც, 2). XIII ს. დასაწყისში მოღ-

---

[348] ს. კაკაბაძე, წვრილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, 1914, გვ. 19—22.

[349] ჟამთააღმწერელი, მარიამისეული ქართლის ცხ-ბა, ე. თაყაიშვილის გამ., 1906, გვ. 719.

[350] იქვე, გვ. 769.

[351] იქვე. გვ. 761.

ვაწე შალვას მანდატურთუხუცესობა ჰქონია. 3). მეჭურჭლეთუხუცესობის პატივი თორელთა გვარის წარმომადგენლებსაც ჰქონდათ XIII ს. შუა წლებში (გამრეკელ თორელი, კახა თორელი).

მაგრამ XIII საუკუნის დასაწყისში მოღვაწე შალვა თორელი არ შეიძლება განძანის ეკლესიების ამშენებელი იყოს, მრავალ გარემოებათა გამო: განძანის ეკლესიები, როგორც აღვნიშნეთ, ხუროთმოძღვრული ფორმების მიხედვით XIII ს. ბოლოზე ადრინდელი არაა, ხოლო წარწერები პალეოგრაფიულად XIV საუკუნისაა. შალვა თორელი მეჭურჭლეთუხუცესად არსად არ იხსენიება და არც შეიძლება ის მანდატურთუხუცესობაზე ადრე მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილიყო, რადგან მანამდე (იგულისხმება გუნია-ყალას წარწერის ამოკვეთის დრო, სადაც შალვა მანდატურთუხუცესადაა მოხსენებული) სხვა მეჭურჭლეთუხუცესები იყვნენ და მათი სახელები ცნობილია. გიორგი ლაშას დროს შალვა თორელი მანდატურთუხუცესი აღარ არის. ამ დროს მანდატურთუხუცესი შანშა მხარგრძელია.

XIII საუკუნის მთელ სიგრძეზე თორელთაგან სხვა შალვა ცნობილი არ არის და მანდატურთუხუცესობაც მხარგრძელთა ხელშია. რაც შეეხება XIV საუკუნეს, ჯერ ერთი, არც ამ დროსაა ცნობილი შალვა თორელი და, მეორეც, მანდატურთუხუცესობა ამ დროს მხარგრძელებიდან ჯაყელთა გვარში იყო გადასული.

ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ განძანის წარწერები ბექა I ჯაყელის უმცროს ვაჟს შალვას იხსენიებენ.

განძანის წარწერები საყურადღებოა სამცხის ათაბაგთა და საქართველოს მეფეთა ურთიერთდამოკიდებულების გასარკვევად XIV საუკუნეში, ამის შესახებ საუბარი გვაქვს ხერთვისის წარწერის განხილვისას (იხ. აქვე, გვ. 112—115).

## თმოგვის წარწერა

1953 წლის ზაფხულში საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ (შ. ხანთაძის, გ. ჯამბურიას და ნ. შოშიაშვილის შემადგენლობით) თმოგვის ციხეზე ნახა დღემდე უცნობი ხუთსტრიქონიანი წარწერა. წარწერა რამდენიმე ადგილზე დაზიანებული იყო, მაგრამ ადგილების აღდგენა ადვილად ხერხდება.

წარწერა შესრულებულია ასომთავრული დამწერლობით; გან-ქვეთილობის ნიშნად ნახმარია ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაქარაგმებულია თითქმის ყოველი სიტყვა, მაგრამ ქარაგ-მის ნიშანი არ იხმარება; წარწერას თარიღად უზის 38 ქორონიკო-ნი, ე. ი. დაწერილია ან 818 წელს, ან—1350 წელს. წარწერის პალე-ოგრაფიული ნიშნები ერთი შეხედვითვე სრულიად გამორიცხავენ პირველ თარიღს. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ა, რომლის ქუ-დი აქ დაშორებულია ტანს (1), ასეთი მოყვანილობის ა ეპიგრა-ფიკაში პირველად გვხვდება XIII საუკუნიდან. ასევე გამორიცხავს IX ს-ის წარწერებიდან ჩვენს ძეგლს დ-ს მოყვანილობა, ძლიერ მაღა-ლი ყელით და პატარა მუცლით, არ არის აგრეთვე მოსალოდნელი IX ს-ის წარწერაში გრძელი და კუთხოვანი ო, როგორიცაა ჩვენს წარწერაში და სხვა. ამრიგად, წარწერა 1350 წლით უნდა დავათარი-ღოთ (ტაბ. XIII).

წარწერა ასე იკითხება:

...ႤႼ.. .ႤႬႨႧႠ Ⴃ ႻႪႤႰႡႧႠ: ႥႠႰႻႱႠ: Ⴖ
...Ⴑ: ႫႸႡႪႱႧႠ: ႵႩႱ: ႪჁ: ႣႥႼႷႤ
...ႶႭႣႤ: ႤႱႤ: ႫႤ: ႫႤႴႧ: ႫႤႴႨ...
ႣႧႱ: ႥႰႻႫႠ: ႱႼႭႪႨႱ ႫႼႢႬႡႰႫ
ႧႫႢႱ: ႫႰႥႬ: ႩႨႧႾႱႻႫႬ: ႧႤ: ႣႢႠ

ქარაგმების გახსნისა და დაზიანებული ადგილების აღდგენით:

(შ)ეწ(ე)ენითა დ(ა) ძლ(იერ(ე)ბ(ი)თა ვარძ(ი)სა ღ(ვთი)ს მშ(ო)ბ(ე)ლ(ი)ს(აჲ)თა, ქ(ორონი)კ(ონ)ს ლჳ დავ(ი)წყე (ზ)ღოდე ესე მე, მეფ(ე)თ მეფი(ს)
დ(ავი)თ(ი)ს ვ(ა)რძ(იელ)მა ს(ა)წოლის მწიგნ(ო)ბ(ა)რმ(ა) თმ(ო)გ(უ)ს, მ(უ)რვ(ა)ნ კითხს (კითხას? კითხოს?) ძ(ე)მ(ა)ნ. თ(ეოდორ)ე დ(ად)გა.

საჭიროა დადგინდეს მურვან კითხას ძის ვინაობა. ის რომ მურ-ვანი ზღუდეს უშენებს თმოგვის ციხეს, საფუძველს გვაძლევს ვიფიქ-როთ, რომ ის ამ ციხის პატრონია.

თმოგვის ციხე, როგორც ცნობილია, 1191 წლის შემდეგ საგვა-რეულო მფლობელობაში გადაეცა მხარგრძელთა ერთ შტოს, რომლე-ბიც ამის შემდეგ თმოგველებად იწოდებიან. 1204—1234 წლებს შო-რის თმოგველებმა საპატრონოდ მიიღეს ვაჰანის მონასტერი. თმოგ-ველები თმოგვის მფლობელებად ჩანან XIV ს-მდე. ლიტერატურაში

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამის შემდეგ ისინი შიდა ქართლში გადასახლდნენ[352]. ვაჰანის ქვაბთა განგების მინაწერები—ალაპები გვამცნობს, რომ XIV ს. ბოლოს ვაჰანის მონასტერს თმოგველები აღარ ფლობენ. მონასტრის პატრონად ამ დროიდან სხვა ფეოდალური საგვარეულო ჩანს. ამ საგვარეულოდან ალაპებში მოხსენებულია: მურვან ღარიბას-ძე (1393 წ.), ღარიბა-არსლანი მურვანის ძე (1393 წ.) და მურვან (II) ღარიბას-ძე[353]. ის ,რომ აღნიშნული საგვრეულო ვაჰანის მონასტერს ფლობდა, საფუძველს იძლეოდა იმის ვარაუდისთვის, რომ თმოგვეიც ამ დროისათვის მას ეკუთვნოდა. ეს ვარაუდი დაადასტურა თმოგვის წარწერამ, სადაც მოხსენებული მურვან კითხას ძე, ჩვენის აზრით, იმავე საგვარეულოს ეკუთვნის, რომელიც ვაჰანის მონასტრის ტიბიკონის მინაწერებშია მოხსენებული, როგორც ამ მონასტრის პატრონი. ის ფაქტი, რომ თმოგვის ზღუდის ამშენებლის სახელი უდგება იმავე პერიოდში ვაჰანის მონასტრის მფლობელთა საგვარეულო სახელს, არ შეიძლება შემთხვევითი იყოს და იმას უნდა მოწმობდეს. რომ ეს საგვარეულო ამ დროს ფლობს როგორც თმოგვს, ისე ვაჰანის მონასტერს. შესაძლოა ეს საგვარეულო ჯაყელთა ერთი შტო იყოს, რადგან ჯაყელებში ხშირად გვხედება სახელი მურვანი. ამრიგად თმოგვის წარწერისა და ვაჰანის მონასტრის ტიბიკონის მინაწერთა მიხედვით, თმოგვისა და ვაჰანის მონასტრის პატრონებად შემდეგი პირები ჩანან: მურვან კითხას-ძე (1350 წ.), ღარიბა მურვანის-ძე, მურვან ღარიბას-ძე (1393 წ.), ღარიბა-არსლანი მურვანის-ძე (1393 წ.), მურვან ღარიბას-ძე. თმოგვისთვის ზღუდის განახლების საჭიროება გამოიწვია. ალბათ იმან, რომ XIV ს-ის დასაწყისში ის მიწისძვრამ დაანგრია (შესაძლოა ამასთან იყოს კიდეც დაკავშირებული თმოგველთა წასვლა თმოგვიდან).

წარწერაში ყურადღებას იპყრობს ის, რომ მურვან კითხას-ძე მოხსენებულია დავით მეფის (1346—1360) „ვარძიელ საწოლის მწიგნობრად". საერთოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამცხე-საათაბაგოს ფეოდალებს, დაწყებული ათაბაგიდან, ხშირად ეპყრათ ესა თუ ის სახელმწიფო თანამდებობა საქართველოს მეფის კარზე, ამ მხარის საქართველოდან გამოყოფის შემდეგაც: მეჭურჭლეთუხუცესობა, მანდატურთუხუცესობა, სახლთუხუცესობა, მოლარეთუხუცესობა და სხვა. ამის შესახებ ჩვენ საუბარი გვექნება ხერთვისის წარწერის განხილვის დროს.

---

[352] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, თმოგველთა გვარის ისტორიისათვის, 1913, გვ. 10—11.

[353] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა 1896, გვ. 46—47.

როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილსა აქვს გამოკვლეული[354]. „მწიგნობარი" უკვე ქართლის ერისთავის სტეფანოზის დროს (VII ს-ში) არის მოხსენებული, ვითარცა მოხელე[355]. ამის შემდეგაც არა ერთხელაა ეს ხელი წყაროებში მოხსენებული: გიორგი II-ის მწიგნობარი 1078 წელს „ბრძანებისა და სიგელის" შემდგენელად და მწერლად ჩანს[356]. ბაგრატ IV, გიორგი მთაწმინდელის ფოთში ჩამოსვლის ამბავი რომ შეიტყო, „მეყსეულად წარგზავნა მწიგნობარი თჳსი და უბრძანა დიდთა პატივითა წარმოყვანებაჲ ბერისა"[357].

აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „აქ მწიგნობარი საგანგებო წინდობილობათა მოხელესა ჰგავს"[358]. ბაგრატ IV ერთ სხვა—1058 წლის სიგელში ნათქვამია: „დაიწერა ბრძანებაჲ და სიგელი ესე... ჴელითა იოვანე მწიგნობრისა—მწერლისაჲთა"-ო[359]. 1189 წლის თამარ მეფის სიგელში მოხსენებულია „საწოლისა და საჭურჭლისა" მწიგნობარი[360], აკად. ივ. ჯავახიშვილის თქმით. სტეფანოს ორბელიანის მიხედვით „ყოფილა აგრეთვე მთავარ დივან-სამწიგნობროს განსაკუთრებული მწიგნობარი"[361].

ყველა ამ ცნობების განხილვის შემდეგ აკად ივ. ჯავახიშვილი სვამს კითხვას იმის შესახებ, რომ მწერალი და მწიგნობარი ერთი და იგივე თანამდებობა იყო თუ არა? და იქვე უპასუხებს: „ამის დანამდვილებით გადაწყვეტა ჯერ ძნელია. ზოგჯერ ამ ორ თანამდებობათა შეერთება შეიძლებოდა, როგორც ეს ბაგრატ IV მიერ 1058 წ. შიომღვიმის მონასტრისადმი ბოძებული სიგელიდან ჩანს და ბოლოს, ვფიქრობთ ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს უნდა იყოს, თუ დავასკვნით, რომ „მწიგნობარი" და „მწერალი" სხვადასხვა მოხელენი უნდა ყოფილიყვნენ"[362].

„ჴელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით, სადაც უფრო მეტი ცნობებია შენახული მწიგნობართა შესახებ, საქართველოს მეფის

---

[354] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I გვ. 134.

[355] თხრობა სასწაულთათჳს წმიდისა... შიოსთა, საქართველოს სამოთხე, გვ. 258.

[356] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II. გვ. 50.

[357] ათონის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით, 1901 წ., გვ. 319.

[358] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 134.

[359] შიო-მღვიმის საბუთები, გვ. 4.

[360] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 74.

[361] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 135.

[362] იქვე.

კარზე სულ 26 მწიგნობარი ყოფილა. ამათგან, ერთს, როგორც ზემოხსენებულ თამარ მეფის სიგელშია ნათქვამი, „საწოლის მწიგნობარი“ რქმევია და ერთსაც „ზარდახნის მწიგნობარი“. დანარჩენი 24 მწიგნობრის სახელი კარის გარიგებაში არ არის მოხსენებული. ამიტომ არ ვიცით ხსენებულ თამარის სიგელში აღნიშნული „საჭურჭლისა“ მწიგნობარი ამ 24 მწიგნობარში შედიოდა თუ არა[363].

აკად. ივ. ჯავახიშვილის თქმით, მწიგნობართა შორის ყველაზე უფროსი საწოლის მწიგნობარი უნდა ყოფილიყო. მეორე ადგილი ზარდახნის მწიგნობარს ეჭირა, ხოლო დანარჩენი 24 მწიგნობარი თანასწორნი იყვნენ ღირსებით. „კარის გარიგება“-ში დაცული ცნობებიდანვე ჩანს,—განაგრძობს იგი,—რომ საწოლის მწიგნობარი მართლმსაჯულებაში, საეკლესიო და სამონასტრო საქმეებში ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანაშემწე იყო[364].

საწოლის მწიგნობარის შესახებ საინტერესო ცნობაა დაცული შიომღვიმის მონასტრის 1334 წლის ერთ სიგელში: „მე, საწოლის მწიგნობარი და მთავარ-მამა მემღვიმე იოანე გამთავებელ ვარ ამა დაწერილისა“-ო ნათქვამია მასში[365]. აქ საყურადღებო ისაა, რომ საწოლის მწიგნობარი „მთავარ-მამა მემღვიმეა“, ე. ი. წინამძღვარი მონასტრისა. საწოლის მწიგნობარი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე უფროსია 26 მწიგნობართაგან და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანაშემწეა საეკლესიო და სამონასტრო საქმეებში. გამოდის, რომ შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარი იოვანე, რომელიც ამავე დროს საწოლის მწიგნობარი იყო და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესთან ერთად განაგებდა ყველა ეკლესიებსა და მონასტრებს. ჩვენის აზრით საეჭვოა, რომ მონასტრის წინამძღვარი ამავე დროს ცენტრალური უწყების მოხელე იყოს. ამიტომ ისმის კითხვა: ხომ არ იყო საწოლის მწიგნობარი რამდენიმე, (ყოველ შემთხვევაში ერთზე მეტი), რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანაშემწე? ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ჩვენს მიერ განსახილველი თმოგვის წარწერა, სადაც მოხსენებულია „ვარძიელი საწოლის მწიგნობარი“. შეიძლებოდა გვეფიქრა რომ აქაც „ვარძიელი“ ნიშნავს მონასტრის წინამძღვარს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში რატომ უნდა აეშენებინა მას ზღუდე თმოგვის ციხისათვის? ხომ არ შეიძლება, რომ მონასტრის წინამძღვარი ამავე დროს თმოგვის ცი-

---

[363] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 135

[364] იქვე. 136—137.

[365] შიო-მღვიმის მონასტრ. საბუთები, გვ. 72.

ხე-ქალაქის პატრონი ყოფილიყო? ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ მურვან კითხას ძე საერო პირია, თმოგვის ციხის პატრონი და ამავე დროს უჭირავს „ვარძიელი საწოლის მწიგნობრის" თანამდებობა. ამ თანამდებობის კონკრეტული შინაარსი არ ჩანს.

## ხერთვისის წარწერა

არტაანისა და ჯავახეთის მტკვრის შესართავთან, მაღალ კლდეზე ამართულია ხერთვისის ციხე. ციხის შესავალი კარის თავზე მოთავსებული ყოფილა წარწერა, რომელიც ამჟამად დაკარგულად ითვლება. ეს წარწერა პირველად აკად. მ. ბროსემ გაარჩია დიუბუასეული ფოტოს მიხედვით[366]. შემდეგ ბროსემ სამჯერ შეასწორა თავისი წანაკითხი[367]—და ბოლოს ე. თაყაიშვილმა, როგორც თვითონ ამბობს, „აღნიშნული მასალების საფუძველზე" ასე წაიკითხა:

ႱႠ႞ႤႪႨႧႠ ႶႥႧႨႱႠႧႠ ႭႡႨႧႠ ႣႠ ႸႤႼႤႥႬႨႧႠ ႼႫႨႣႨႱႠ
ႫႸႭႡႪႨႱႠ ႶႥႧႨႱႠႧႠ ႫႨႬႣႭႡႨႧႠ ႼႫႨႣႨႱႠ ႨႭႠႬႤ ႫႠ႞Ⴀ
ႰႭႡႤႪႨႱႠႧႠ ႥႨႼႷႤ ႫႤႴႨႧ ႫႤႴႨႱႠ ႫႭႪႠႰႤႧ ႭႾႭႺႤႱႫႠ
ႦႠႵႠႰႨႠ ႻႤႫႠႬ ႵႠႫႵႠႫႨႱ ႸႭႨႪႨႱႠႫႠႬ ႭႴႤႪႫႠႬ
ႩႭႸႩႨ ႣႠ ႢႠႪႠႥႠႬႨ ႤႱႤ ႵႰႱႠ ႫႢ ႢႠႥႠႧႠႥႤႧ
ႫႣ ႶႫႤႰႧႭ... ႢႭႪႾႨႬႤ ႠႫႨႬ

„სახელითა ღვთისათა, ობითა და შეწევნითა წმიდისა მშობლისა ღვთისათა, მინდობითა წმიდისა იოანე მახარობელისათა, ვიწყე მეფეთ-მეფისა მოლარეთუხუცესმა ზაქარია, ძემან ქამქამისშვილისამან, ოფელმან კოშკი და გალავანი ესე ქრონიკონსა მბ და გავათავეთ მდ. ღმერთო... გულხინე, ამინ"[368].

როგორც წარწერიდან ჩანს, მეფის მოლარეთუხუცესმა ზაქარიამ ქამქამის შვილის ძემ. ოფელმა, 1354 წელს (1312+42=1354) დაიწყო ხერთვისში კოშკისა და გალავნის მშენებლობა და 1356 წელს (1312+44=1356) დაამთავრა.

---

[366] M. Brosset, Explication des divers inscriptions géorgiennes, armeniennes et grecques p. 77, pl. VI. 2

[367] M. Brosset, Rapp. Ƨ^{ᵉ}l, გვ. 152—153.; Mélanges Asiatiques, t. II, ვ^{ᵉ}l. გვ. 290—291,

[368] МАК, XII, стр 22.

„ოფი“, აკად. მ. ბროსეს თქმით, გეოგრაფიული პუნქტია შავი ზღვის ნაპირზე, ტრაპიზონის მახლობლად[369], ხოლო სახელი „ქამქამი“ სვანეთის ერთ წარწერაში იხსენიება[370].

ქამქამისშვილის ძის, ზაქარიას მიერ ხერთვისში კოშკისა და გალავნის აშენება იმისი მაჩვენებელია, რომ იგი ადგილობრივი ფეოდალია.

ქამქამისშვილები მოხსენებული არიან სამცხის ფეოდალთა ნუსხაში (XVI ს.). ნუსხის ჩვენთვის საინტერესო ადგილი ასე იკითხება: „ხერთვისარნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა ქამქამისა ეულზედა არიან, ამატაკიანთა აქუს“[371]. მოტანილი ადგილიდან საყურადღებოა ისიც, რომ ამ დროს (XVI ს-ში) ხერთვისს ქამქამისშვილები აღარა ფლობენ.

ხერთვისის წარწერა, სამცხის სხვა ეპიგრაფიკულ ძეგლებთან ერთად, საყურადღებო ცნობას გვაწვდის, სამცხის მიერ მონღოლთაგან ხასობის მიღების შემდეგ (1266 წ.), საქართველოს სამეფოსთან მისი დამოკიდებულების გასარკვევად.

როგორც ცნობილია, სამცხის მიერ ხასობის მიღების შემდეგ, მისი მთავარი სარგის ჯაყელი უშუალოდ ყაენს ემორჩილებოდა. მაგრამ სარგისმა თავისი ძველი სამოხელეო წოდებულება შეინარჩუნა და წინანდებურად სამცხის სპასალარად იწოდებოდა. შემდეგ მისი მემკვიდრე ბექა I-იც მანდატურთუხუცესად იწოდებოდა. „ეს გარემოება ცხადჰყოფს—წერს ნ. ბერძენიშვილი,—რომ საქართველოსა და მესხეთს შორის კავშირი მთლიანად შეწყვეტილი არ ყოფილა და დამოკიდებულებაც ამა თუ იმ სახით უეჭველად არსებობდა“[372].

ამ ბოლო დროს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ჯაყელთა მიერ ხასობის მიღების შემდეგ, აღნიშნულ თანამდებობას აღარა ჰქონდა რეალური შინაარსი. პროფ. ივ. სურგულაძის თქმით: „ბექას მიერ სამცხე-საათაბაგოსათვის ცალკე სამართლის წიგნის შედგენა მეფის ხელისუფლების უგულებელყოფას ნიშნავდა. ასეთი მოქმედება მეფის მოხელისათვის შეუფერებელი უნდა ყოფილიყო. ალბათ, ბექას დროს მანდატურთუხუცესს, როგორც მმართველ-

---

[369] Mélanges Asiatiques... II. 3el. გვ. 291.

[370] МАК, XII, стр. 22.

[371] ს. კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, 1920, გვ. 7—11.

[372] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1948 წ., გვ. 267.

ლობის ცენტრალური აპარატის მოხელეს, აღარ გააჩნდა ამ თანამდებობისათვის დამახასიათებელი ფუნქციები და სამცხის მთავარი მანდატურთუხუცესის სახელს ატარებდა როგორც დამამშვენებელ ტიტულს"[373].

როგორც სამცხის ეპიგრაფიკული ძეგლებიდანა ჩანს, სამცხის მიერ ხასობის მიღების შემდეგ მარტო ჯაყელებს კი არ ეპყრათ საქართველოს სახელმწიფო თანამდებობები, არამედ მათ ქვეშევრდომ აზნაურებსაც. ხერთვისის წარწერაში მოხსენებული მეფის მოლარეთუხუცესი ქამქამისშვილის ძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამცხის აზნაურია. ასევე მეფის მოლარეთუხუცესს უწოდებს თავის თავს ბორჯომის ხეობაში სოფ. დაბის მახლობლად მდგარი ეკლესიის აღმშენებელი. 1333 წლის წარწერაში[374]. დაბოლოს აღსანიშნავია თმოგვის 1350 წლის წარწერა, სადაც მოხსენებულია თმოგვის პატრონი, მეფის ვარძიელი საწოლის მწიგნობარი (იხ. აქვე, გვ. 107).

პროფ. ივ. სურგულაძის მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, მაშინ ამათაც როგორც დამამშვენებელი ტიტული უტარებიათ სამეფო სამოხელეო წოდებები.

სამცხე რომ XIII ს-დან გარკვეულად გამოეთიშა საქართველოს სამეფოს, ეს ბექას მიერ სამცხე-საათაბაგოსათვის შედგენილ სამართლის წიგნსაც რომ არ მოეღწია ჩვენამდე, ისედაც ცნობილი იქნებოდა. რამდენადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1266 წლიდან სამცხე-საათაბაგო ხასინჯუთ, ანუ როგორც ქართველები უწოდებდნენ ულუსიანად იყო ქცეული, რაც იმას ნიშნავდა, რომ „ასეთ პირსა და ასეთ სამფლობელოს ვერავინ შეეხებოდა თვით ყაენის გარეშე"[375], მაგრამ ვერ დავეთანხმებით პროფ. ივ. სურგულაძეს მასში, რომ ასეთ პირობებში ჯაყელები სახელმწიფო სამოხელეო თანამდებობაზე არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ; ვერც იმაში, რომ მათ მიერ ხსენებული წოდებების ტარება იმისი მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ მათ აღარა ჰქონდათ ადრინდელი შინაარსი, აღარ გააჩნდათ ამ თანამდებობებისათვის დამახასიათებელი ფუნქციები, და მათ როგორც დამამშვენებელ ტიტულს ატარებდნენ.

---

[373] ი ვ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 72.

[374] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1949, გვ. 258.

[375] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, 1948, გვ. 256.

როგორც ცნობილია, სამცხის საქართველოსაგან განცალკევებამდე ჯაყელები მეჭურჭლეთუხუცესის და სამცხის სპასალარის წოდებას ატარებდნენ მხოლოდ, ამიტომ თუ ჯაყელებს ძველი წოდებები შემორჩებოდათ ტრადიციით, „როგორც დამამშვენებელი ტიტულები“, მაშინ მათ უნდა შემორჩენოდათ მეჭურჭლეთუხუცესობა და არა მანდატურთუხუცესობა, რაც მათ 1266 წლის შემდეგ მიიღეს. ბექა მანდატურთუხუცესად მოხსენებულია 1300 წლის ახლო ხანებში, ივანე მხარგრძელის შემდეგ[376], რაც პირველი შემთხვევაა ჯაყელებში. ბექას შემდეგ მისი უმცროსი ვაჟი შალვა იხსენიება განძანის წარწერებში, ჯერ მეჭურჭლეთუხუცესად, ხოლო შემდეგ მანდატურთუხუცესად (იხ. აქვე, გვ. 99–100). იბადება კითხვა: რატომ ატარებდა ბექა მხარგრძელების შემდეგ მანდატურთუხუცესის ტიტულს, თუ კი მანდატურთუხუცესობას ადრინდელი შინაარსი აღარა ჰქონდა, ე. ი. სინამდვილეში აღარ არსებობდა. ასევე შეიძლება ითქვას შალვას შესახებაც, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, მამის შემდეგ ჯერ მეჭურჭლეთუხუცესად, ხოლო შემდეგ მანდატურთუხუცესად იხსენიება. კიდევ უფრო გაუგებარია სამცხის აზნაურების მიერ მეფის მოლარეთუხუცესისა და საწოლის მწიგნობრის სახელოს ჭერა შინაარსს მოკლებული ყოფილიყო, რადგან არავითარი აზრი ამას არ შეიძლებოდა ჰქონოდა.

სამცხის საქართველოსაგან განცალკევების შემდეგ პერიოდში აღნიშნულ სამოხელეო თანამდებობებს რომ არა ჰქონდა საერთოდ დაკარგული რეალური შინაარსი, ამას „ხელმწიფის კარის გარიგებაც“ ადასტურებს. ამ ძეგლის მიხედვით, რომელიც გიორგი ბრწყინვალის დროისად არის მიჩნეული (ყოველ შემთხვევაში XIII საუკუნის დასასრულზე ადრინდელი არ არის)[377], არც მანდატურთუხუცესობა, არც მეჭურჭლეთუხუცესობა და არც სხვა რომელიმე სამოხელეო თანამდებობა შინაარსს მოკლებული არა ჩანს.

მართალია „ხელმწიფის კარის გარიგება“, როგორც ცნობილია, ქართული სამართლის მომქმედი საკანონმდებლო ძეგლი არ არის, მაგრამ ისიც აღიარებულია, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ძირითადი წყარო, რა თქმა უნდა, მომქმედი კანონმდებლობაა[378].

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ უნდა დავასკვნათ, რომ, საქართველოსაგან განცალკევების შემდეგ, სამცხის ფეოდალე-

---

[376] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, არქ. ექსპ., გვ. 72.

[377] ე ქ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ხელმწიფის კარის გარიგება, 1920, VIII.

[378] ი ვ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ., 66.

ბის მიერ, ათაბაგთა ჩათვლით, საქართველოს სახელმწიფო სამოხელეო წოდების ტარება არ იყო ადრინდელ რეალურ შინაარსს მოკლებული, მხოლოდ „დამამშვენებელი ტიტული“. როგორცა ჩანს, ჯაყელები, როგორც ვასალები, ფაქტიურად დამოუკიდებელნი არიან (ე. ი. გამთავრებული), ხოლო როგორც მოხელენი— დამოკიდებულნი. ისინი XIII — XIV სს. ჩვეულებრივი მთავრები არიან, რომლებიც ფორმალურად მაინც არიან მეფის ვასალები და ამდენად მათი მოხელეობაც სავსებით რეალურია. ამის ერთ-ერთი საბუთია ხერთვისის წარწერაც, ისევე როგორც განძანის წარწერები. XV ს-ში, როცა საქართველოს სამეფო საბოლოოდ დაიშალა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, ისინი უკვე ფორმალურადაც გამოეყვნენ საქართველოს მეფეს.

## ვარძიის წარწერა

ვარძიის მთავარი ტაძრის სამხრეთით მიშენებულ სტოაში, შესავალი კარის თავზე, დიდი ზომის ოთხკუთხა მოყვანილობის ქვაზე მოთავსებულია ქანწილით დაწყებული, ასომთავრული ოთხსტრიქონიანი, მდარე ხელით შესრულებული წარწერა; ასოები დაგრძელებული და მსხვილია; ყველა ასო ერთნაირი გულმოდგინებით არ არის შესრულებული და სიდიდითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; სიტყვების განკვეთილობის ნიშნად სამი წერტილია ნახმარი, რაც ქვის აქერცვლის გამო ყველგან კარგად აღარ ეტყობა; წარწერა კარგად არის შენახული და თავისუფლად იკითხება:

⁘ ႷႣ ႼႫႣႭ ႥႠႰႻႱႠ ႶႱ ႫႸႭႡႪႭ
ႠႣ ႨႣႤ ႭႰႧႥႤ ႸႬႠ ႱႭႴႪႧႠ
ႣႨႣႱႠ ႠႫႨႱ ႲႰႠႮႤႦႱႠ ႠႶႫႸႬႡႪႨ ႮႲႰႬ ႨႥ
ႠႬႤ ႠႱႴႥႤ ႣႠ ႺႣႥႬႨ ႫႧႬႨ ႸႬႣ ႶႫႬ ႠႫႬ

ქარაგმების გახსნით:

ქ. ყოვლად წმიდაო ვარძიისა ღმრთის მშობელო, ადიდე ორთავე შინა სოფევათა დიდისა ამის ტრაპეზისა აღმშენებელი, პატრონი ივანე, ასუფევე და ცოდვანი მათნი შეუნდოს ღმერთმან, ამინ.

პალეოგრაფიული თვალსაზრისით აღსანიშნავია ასოების მცირედი სტილიზაცია. დ ორიოდე შემთხვევაში წვეთისებური მოყვანილობისაა, მაღალი ყელით. ზედა განივი ხაზის მარცხენა ბოლო მაღ-

ლა აქვს აწეული, ხოლო მარჯვენა—დაბლა. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ დ მომდევნო ასო ყოველთვის ჩასმულია მის მუცელში, გარდა ერთი შემთხვევისა, სადაც სიტყვა დაქარაგმებულია (IV სტრ.). ა სხვადასხვანაირი მოყვანილობისაა, რამდენიმეჯერ ჩვეულებრივზე უფრო მაღალი და ს-ს უფრო ჰგავს, ვიდრე ა-ს, ზედა განივი ხაზი მორკალურია და ტანს არ ეხება. ყ ერთხელ გვხვდება წარწერაში და მაშინაც თავშეკრულია, რაც ამ დროისათვის შეუფერებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ ი ერთხელ მხედრულია.

კ. მელითაური ამ წარწერის მიხედვით ასკვნის, რომ: „ივანე ათაბაგს (1391—1444 წწ.) დაზიანებული სტოას კედლის გასამაგრებლად ეს ბურჯი აუგია"[379]. რა თქმა უნდა, წარწერაში მოხსენებული პატრონი ივანე—სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა ჯაყელთა გვარის წარმომადგენელი, ათაბაგი. ასეთი კი წყაროების მიხედვით მხოლოდ ერთია ცნობილი, ის, რომელიც ცხოვრობდა 1391—1444 წწ.[380]

წარწერაში მეფის მოუხსენებლობა, ცხადია, იმითაა გამოწვეული, რომ სამცხე-საათაბაგო გამოყოფილია საქართველოდან და ამ დროისათვის ეს გამოყოფა თითქმის დასრულებულია. ათაბაგი არ ცნობს მეფის უზენაესობას; მეფეს ვარძიაზე, ერთ დროს სამეფო მონასტერზე, ხელი აღარ მიუწვდება.

აღსანიშნავია, რომ აკად. მ. ბროსეს 1854 წელს გამოსულ წიგნში, სადაც ვარძიის წარწერებიცაა გამოქვეყნებული, ეს წარწერა არ არის შეტანილი[381], რაც იმ გარემოებით უნდა იყოს გამოწვეული, რომ იმ დროს წარწერიანი ქვა იქ არ იდო, სადაც ახლა დევს; ის სადღაც ყოფილა მიგდებული. უნდა ვიფიქროთ, რომ წარწერიანი ქვა იმ ადგილას, სადაც ახლა დევს, მღვდელმა გ. პოპონდოპულომ დადო, რომელმაც გასული საუკუნის 60-იან წლებში ვარძიაში აღდგენითი სამუშაოები ჩაატარა და ბევრი რამ გააფუჭა კიდეც. ხსენებული ბურჯიც შეუკეთებია პოპონდოპულოს და ის კარიც მას შეუბია, რომლის თავზედაც წარწერიანი ქვა დევს[382].

---

[379] კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია, „ვარძია", 1955, გვ. 80.

[380] თ. ჟორდანია, ქრონიკები II, 1897, გვ. 191, 255.

[381] Mélanges asiatiques... t. II, 3el. გვ. 292, 293.

[382] კ. მელითაური, დასახელებული ნაშრომი, გვ. 80.

# ႵႠႰႺႤႡႨႱ ႼႠႰႼႤႰႤႡႨ

სოფ. ქარცებში (მდებარეობს ახალქალაქის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 20-ოდე კილომეტრის მანძილზე) მდგარ, საკმაოდ მოზრდილი ზომის, ნახევრად დანგრეულ ეკლესიას სამი წარწერა ჰქონია[333].

პირველი და მეორე წარწერა, მოთავსებული სამხრეთის კარის თავზე, ივ. როსტომაშვილს ასე აქვს გადხომატული:



პირველი წარწერა ივ. როსტომაშვილს ასე აქვს წაკითხული:

„პატრონისა ყვარყვარის გამარჯვებისითა ბრძანებითა აღვაშენეთ რომელი ჩვენ ქარცებელთა"[334].

ივ. როსტომაშვილის თქმით მეორე მხედრული წარწერა ე. თაყაიშვილს ასე წაუკითხავს:

„ქ. მამას ლაშქრიძეს მისნი ცოდვანი შეუნდნეს ღმერთმანა"[385].

როსტომაშვილის დასკვნას, რომ აქ ორი სხვადასხვა დროის წარწერასთან გვაქვს საქმე, ჩვენ ვეთანხმებით. მართლაც, როგორც აღვნიშნეთ, პირველი წარწერა შესრულებულია ასომთავრული დამწერლობით, ხოლო მეორე—მხედრულით. მეორე წარწერის ბოლო სიტყვა ასომთავრული ასოებითაა დაწერილი, მაგრამ ეს ასოები პალეოგრაფიულად სრულიად განსხვავებულია პირველი წარწერის ასოებისაგან.

---

333 ივ. როსტომაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ 61—62.

334 იქვე, გვ. 61.

385 იქვე.

ცხადია, რომ I წარწერა XIV ს-ზე ადრინდელი არ არის. ამაზე მიუთითებს როგორც პალეოგრაფიული მხარე წარწერისა, ისე მისი შინაარსი: აქ მოხსენებული ყვარყვარე, ცხადია, ყვარყვარე ჯაყელია სამცხის ათაბაგი. XIV ს-ზე ადრე კი, ყვარყვარე ამ გვარში ცნობილი არაა. მაგრამ ყვარყვარე ათაბაგი წყაროებში რამდენიმეა ცნობილი და ძნელია იმის თქმა, თუ რომელი მათგანია ქარცების წარწერაში მოხსენებული. ივ. როსტომაშვილი ფიქრობს, რომ რადგანაც წარწერა ნუსხურიდან მხედრულზე გარდამავალი ხანისაა, ამიტომ, მასში მოხსენებულია ყვარყვარე I (+1361)[386]. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ივ. როსტომაშვილი მართალია. წარწერა, თუ კი ის მართლაც XIV ს. I ნახევრისაა, მოწმობს, რომ ჯავახეთი, ან ყოველ შემთხვევაში მისი დიდი ნაწილი, თვით ახალქალაქის რაიონით, ამ დროს უკვე სამცხის ათაბაგთა ხელში იყო. ეს მეტად მნიშვნელოვანი ცნობაა ჯავახეთისა და თვით სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ისტორიის დასადგენად.

მესამე ორსტრიქონიანი წარწერა პირველი და მეორე წარწერის დაბლა ყოფილა მოთავსებული სხვა ქვაზე:

ႠႪႡႨႱ ႻႤႱႠ ႢႫႢႡႪႱႠ ႭႵႰ
ႮႰႱႠ ႣႠ ႿႭႡႬႱႠ ႸႱ ႶႬ

„ალბის ძესა, გამგებელსა ოქროპირსა და ჯუბინსა შეუნდოს ღმერთმან"[387].

წარწერა პალეოგრაფიულად ზუსტად ისეთივეა, როგორც პირველი წარწერა. ამდენად, ესეც XIV ს. უნდა დათარიღდეს. წარწერაში მოხსენებული პირები წყაროებში ცნობილი არაა.

## კოთელიას წარწერა

ახალქალაქის ჩრდილოეთით, 15-ოდე კილომეტრის მანძილზე მდებარე სოფ. კოთელიას ეკლესიას აქვს შვიდსტრიქონიანი მხედრული წარწერა. წარწერას დასაწყისში დასმული აქვს ჯვარი, ასოთა თანაბარი განლაგება არაა დაცული; განკვეთილობის ნიშნებად ნახმარია სამი და უფრო იშვიათად ოთხი წერტილი; წარწერას ახასია-

---

[386] ი ვ. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.
[387] იქვე.

თებს ასოთა დაკლება და ა მეტობა; როგორც აღვნიშნეთ, წარწერა მხედრულია და ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ნუსხა-ხუცურის გავლენა ამჩნევია: ზოგიერთი ასოს მოხაზულობა არ არის ჯერ კიდევ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნამდვილი მხედრული; ამ მხრივ განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას დ და ქ.

კოთელიას წარწერა, საკმაოდ კარგად გამოსული ფოტოსურათით, გამოქვეყნებული აქვს ივ. როსტომაშვილს[388] და სხვა საკითხთან დაკავშირებით მას ეხება ვახტანგ ბერიძეც[389] (ტაბ. XIV).

წარწერა ასე იკითხება:

:.ამა:.წაშიდისა:.კვი
რიქესა:..სყდრისა:..აღ
მშენებელსა:.ქიშვადს:.
და:.თნა:.მეცხედრსა:.მეფი
სა:.ასულსა თამრაა(sic!):. შეუნე
სა ღმრთმნ გულბდსა:.და:.მისა
მეცხედრესა:.მზქალსა:.შეუნდს ღ...

დაკლებული ასოების აღდგენით:

ამა წმიდისა კვირიკეს საყდრის აღმშენებელსა ქიშვადს და თ(ა)ნამეცხედრესა, მეფის ასულსა თამ(ა)რს შეუნ(დენ)ეს ღმერთმა. გულბადსა და მის(ს)ა მეცხედრესა მზ(ე)ქალს შეუნდ(ვნე)ს ღ(მერთმა).

კოთელიას წარწერაში მოხსენებული ქიშვადი და მისი მეუღლე, მეფის ასული თამარი, მოხსენებულნი არიან ლიკანის სამრეკლოს წარწერაშიაც (ბორჯომის მახლობლად). იმ განსხვავებით, რომ აქ ქიშვადის გვარიცაა მოხსენებული —ავალიშვილი. წარწერა ასე იკითხება:

ქწ. იპრიანა ლიკანისა ღვთისმშობელმა და აღვაშენე სამრეკლო ესე მე, ქიშვად ავალისშვილმა და თანამეცხედრემან, მეფეთ მეფისა ასულმა თამარ და მათთა შშობელთა...[390].

სამწუხაროდ, ამ წარწერის ბოლო ნაწილი, სადაც შესაძლებელია თარიღი იყო, დაზიანებულია და აღარ იკითხება, გადარჩენილ ნაწილში კი ისეთი არაფერია, რის მიხედვითაც თარიღის შესახებ რისიმე თქმა შეიძლებოდეს და მხოლოდ იმ მხრივაა ლიკანის წარწერა ამ-

[388] ი ვ. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 77—78.
[389] ვ. ბ ე რ ი ძ ე, სამცხის ხუროთმოძღვრება, 1956. გვ. 216—217
[390] იხ ვ. ბ ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 216 - 218.

ჟაძად ჩვენთვის საყურადღებო, რომ მის საშუალებით ვტყობილობთ კოთელიას წარწერაში მოხსენებულ ქიშვადის გვარს.

კოთელიას წარწერის ხნოვანებისა და მასში მოხსენებულ პირთა ვინაობის შესახებ ივ. როსტომაშვილი არაფერს ამბობს, ხოლო ვ. ბერიძე XVI ს-ისად მიიჩნევს.

„წარწერა მხედრულია—აღნიშნავს ვ. ბერიძე კოთელიას წარწერაზე—მხედრული წარწერები ჩვენში XVII ს-ში ვრცელდება, ყოველ შემთხვევაში, XVI ს-ზე ადრე, არსებულ მასალათა მიხედვით, მხედრული წარწერა იშვიათად გვხვდება (XVII ს-ის წარწერებთან შედარებით ხელი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, მას აკლია XVII ს-ის ლაპიდალურ წარწერათა დახვეწილობა. ტექსტი გაკრული ხელითაა ნაწერი. საერთო ხასიათით იგი დიდად მოგვაგონებს XVI ს-ის დამწერლობის ნიმუშებს)“[391].

დაწერილობის მიხედვით კოთელიას წარწერა მართლაც XVI საუკუნისა უნდა იყოს.

კოთელიას წარწერაში მოხსენებული ქიშვად ავალიშვილი სხვა წყაროებიდან არ არის ცნობილი. ასევე უცნობია წარწერაში მოხსენებული მისი მეუღლე—მეფის ასული თამარი და ცოლ-ქმარი მზექალა და გულბადი. ეს უკანასკნელნი, შესაძლოა, ქიშვადის შვილი და რძალი იყვნენ.

წერილობით წყაროებში ავალიშვილები XVI ს-ზე ადრე არა ჩანან; ამ საუკუნისაც ჩვენ მხოლოდ ერთი საბუთი გვეგულება, ეს არის სამცხის ფეოდალთა ნუსხა, სადაც ავალიშვილებიც არიან მოხსენებულნი[392].

მომდევნო პერიოდის ცნობებს კი ავალიშვილების შესახებ საკმაო რაოდენობით მოუღწევია დღემდე. როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, ავალიშვილები XVI ს-ის ბოლოს, თუ XVII ს-ის დამდეგს სამცხიდან აყრილან, იქ თურქობის დამყარების გამო. სამცხიდან წასული ავალიშვილები ჯერ ქართლში და შემდეგ კახეთშიც გვხვდებიან, ხოლო უფრო გვიან დასავლეთ საქართველოშიაც ჩნდებიან. ამავე ცნობებიდან ჩანს აგრეთვე, რომ სამცხიდან წამოსვლამდე საფარის წინამძღვრობა ავალიშვილების საგვარეულო თანამდებობა ყოფი-

---

391 ვ. ბერიძე, დასახ. ნაშ., გვ. 218.

392 ს. კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, 1920, გვ. 7—11.

ლა. ქართლ-კახეთის მეფეები უხვად აჯილდოებდნენ ავალიშვილებს მამულებით და დიდი საერო და სასულიერო თანამდებობებით[393].

## პატარა, მცირე ისტორიული ღირებულების წარწერები

აქ ჩვენ წარმოვადგენთ ისეთ წარწერებს, რომლებიც თავიანთი შინაარსით თითქმის არაფერს იძლევიან, როგორც საისტორიო წყარო, მათი სიმცირის, ნაკლულობის, ან ხასიათის გამო. მაგრამ, მათი უგულებელყოფა მაინც არ მიგვაჩნია სასურველად; ჯერ ერთი შეიძლება წარწერა, რომელიც დღეს უმნიშვნელოდ გვეჩვენება, ხვალ მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, მეორეც, შეიძლება ზოგიერთი მათგანი სხვა, ახლად აღმოჩენილი წყაროს საშუალებით ამეტყველდეს. ეს წარწერები ჩვენ ადგილზე არ გვინახავს და ამიტომაც მათ პალეოგრაფიულ დახასიათებას ვერ ვიძლევით.

### ბავრას წარწერები

სოფ. ბავრას ეკლესიას (ახალქალაქის აღმოსავლეთით ორიოდე კილომეტრის მანძილზე) ორი ასომთავრული წარწერა აქვს.

პირველი, ერთსტრიქონიანი წარწერა მოთავსებულია ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის სარკმლის თავზე. ამ წარწერის კარგად გამოსული ფოტოსურათი გამოქვეყნებული აქვს ექვთ. თაყაიშვილს[394].

წარწერა ასე იკითხება:

+ ႵႤ ႠႣႤ ႱႴႰႬ — „ქრისტე, ადიდე სოფრონ".

ეს წარწერა ასევე ჰქონდა წაკითხული მ. ბროსეს[395], ხოლო ივ. როსტომაშვილს მეორე სიტყვაში ასო Ⴄ წაკითხული აქვს Ⴂ[396], რაც შეცდომაა, როგორც ე. თაყაიშვილმა თავის დროზე შენიშნა.

---

[393] საქართველოს სიძველენი, ტ. III, ექვთ. თაყაიშვილის რედაქციით, 1910, გვ. 145, 146, 153, 154. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წ. I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, გვ. 366.

[394] MAK, XII, стр. 29.

[395] Mélauges asiatique... t. II, 3el. გვ. 343.

[396] ი ვ. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

მეორე წარწერა მოთავსებულია დასავლეთის კედელზე. იგი ამოკვეთილია ქვის გარშემო, წრიულად. წარწერა გამოქვეყნებული აქვთ: მ. ბროსეს[397], ივ. როსტომაშვილს[398] და ექვთ. თაყაიშვილს[399].

როგორც ჩანს, ექვთ. თაყაიშვილს, თუ მთლად სწორად არა, ყოველ შემთხვევაში მ. ბროსეზე და ივ. როსტომაშვილზე უკეთ აქვს წარწერა გადმოწერილი და გაშიფრულიც:

**+ ႱႠႾႤႪႨႧႠ ႶႫႧႨႱႠႨႧႠ ႠႢႭ ႤႱႤ ႤႩႪႤႱႨႠ ႼႫ ႱႴႰႱ ႵႭႬ-ႵႭႪႱ ႻႱႧႠ**

კითხულობს: «Во имя Бога построена сия святая церковь Софроном Конколасдзе».[400]

ე. ი. „ქ. სახელითა ღმრთისაითა აიგო ესე ეკლესია წმიდაჲ სოფრონის ქონქოლას ძისათა“.

აქ მოხსენებული სოფრონ ქონქოლას ძე სხვა წყაროებიდან ცნობილი არ არის. ცხადია, რადგან მისი დიდებაა ეკლესიის წარწერაში, ის ადგილობრივი ფეოდალი ყოფილა, ბავრას ეკლესიის მაშენებელი. პალეოგრაფიულად წარწერა X—XI სს. უნდა დათარიღდეს.

## აბულის წარწერა

სოფელი აბული მდებარეობს ახალქალაქის აღმოსავლეთით, 15-ოდე კილომეტრის მანძილზე. სოფელში მდგარი ძველი ეკლესიის დასავლეთის კედელზე მოთავსებულია ორსტრიქონიანი წარწერა, რომელსაც ივ. როსტომაშვილი ასე კითხულობს:

**ႿႨ ႵႱႨ**—„ჯუარი ქრისტესი“.

**Ⴕ̃Ⴈ ႸႨ ႢႪႠႲႭႬႨ**—„ქრისტე, შეიწყალე გალაღოზნი“.[401]

## აზავრეთის წარწერა

სოფელი აზავრეთი მდებარეობს ახალქალაქის ჩრდილოეთით, 20-ოდე კილომეტრის მანძილზე. სოფლის ძველი ეკლესიის შიგა ჩრდილოეთის კედელზე მოთავსებულია სამსტრიქონიანი წარწერა, რომელსაც ივ. როსტომაშვილი ასე კითხულობს[402]:

---

[397] მ. ბროსე, დასახ: ნაშრომი, გვ. 343.
[398] ივ. როსტომაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 39.
[399] ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 29.
[400] იქვე.
[401] ივ. როსტომაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 29.
[402] ივ. როსტომაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

Ⴍ´Ⴍ ႧႣ
ႠႫႨႱႫ...
ႸႤႼ

„უფალო... შეეწიე“

შეიძლება ეს წაკითხვა შევავსოთ შემდეგნაირად:

უფალო თედორე (თევდორეჲ?) ამის მ(აშენებელი) შეეწიე (შეიწყალე?).

## ალასტანის წარწერა

სოფელი ალასტანი მდებარეობს ახალქალაქის ჩრდილო-დასავლეთით, 20-ოდე კილომეტრის მანძილზე. სოფელში მდგარი დანგრეული ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის სარკმლის ორივე მხარეს მოთავსებულია ნუსხა-ხუცური წარწერა, რომელსაც მ. ბროსე ასე კითხულობს:

„ესე მე დავდე.... იასაულის ძემ
ესე მე როშელმა დავდე ქვაჲ“[403].

ივ. როსტომაშვილმა დაბეჭდა ამ წარწერის გადმოხატული პირი და წაიკითხა მ. ბროსეს მიხედვით[404].

## არაკალას წარწერა

სოფელი არაკალა მდებარეობს ახალქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 20-ოდე კილომეტრის მანძილზე. სოფელში მდგარი დანგრეული ეკლესიის მახლობლად გდებულა წარწერიანი ქვა, რომელსაც ივ. როსტომაშვილი ასე კითხულობს: Ⴇ´Ⴄ Ⴜ´Ⴀ —„თედორე წმინდაჲ“[405].

## ვარევანის წარწერა

სოფელი ვარევანი მდებარეობს ახალქალაქის ჩრდილო-დასავლეთით, 18-ოდე კილომეტრის მანძილზე. სოფელში მდგარი დანგრეული ქართული ეკლესიის ადგილზე, 1893 წელს სომხებს აუშენებიათ ახალი ეკლესია[406]. ძველ გადარჩენილ ერთ დიდ ქვაზე მოთავ-

---

[403] Mélanges asiatique... t. II, 3e l, გვ. 343.
[404] ი ვ. რ ო ს ტ ო მ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 31.
[405] იქვე, გვ. 35.
[406] იქვე, გვ. 45.

სებულია ასომთავრული წარწერა. ეს წარწერა პირველად აკად. მ. ბროსემ გამოსცა, მაგრამ მისი საკმაოდ დაზიანების გამო, მხოლოდ რამდენიმე სიტყვის წაკითხვა მოახერხა. წარწერა თარიღიანი ყოფილა. ქრონიკონი მ. ბროსემ წაიკითხა, როგორც ნე (55), XIV მოქცევას მიაკუთვნა და ამდენად 1367 წლით დაათარიღა (1312+55=1367)[407].

ვარევანის წარწერა მეორედ ივ. როსტომაშვილმა გამოსცა და ბროსესთან შედარებით მეტი წაიკითხა:

„სახელითა ღვთისათა, დაიდვა ესე ვარევანს, ხელითა ცოდვილის და... ქორონიკონი იყო სმ"[408].

როგორცა ვხედავთ, როსტომაშვილი ქრონიკონში სხვა ასოებს (სმ=240) კითხულობს და თანაც XIII მოქცევას მიაკუთვნებს მას. ამიტომ წარწერას ის 1020 წლით (780+240=1020) ათარიღებს.

## ყვარშას წარწერები

ახალქალაქის ჩრდილო-დასავლეთით, 18-ოდე კილომეტრის მანძილზე მდებარე სოფელ ყვარშას ეკლესიაზე ამოკვეთილია 6 პატარა წარწერა. წარწერებს ივ. როსტომაშვილი ასე კითხულობს:

1. წარწერა მოთავსებულია სამხრეთის კარის თავზე:
   „ქრისტე, შეიწყალე... შეუნდვენ ცოდვანი".
2. აღმოსავლეთის კედელზე:
   „ამ ეკლესიას (თუ ეკლესიის)"
3. ჩრდილოეთის კედელზე:
   „ქრისტე, შეიწყალე მიქელ ცოდვილი"
4. იქვე სხვა ქვაზე:
   „ქრისტე, შეიწყალე გაბრიელ"
5. დასავლეთის კედელზე:
   „ქრისტე, შეიწყალე... შეუნდვენ..."[409].

## ჯიგრაშენის წარწერა

ახალქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 10-ოდე კილომეტრის მანძილზე მდებარე სოფელ ჯიგრაშენის ეკლესიის სამხრეთი ფასადის

---

407 M. Brosset, Rapp. 2e l., გვ. 175.

408 ივ. როსტომაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 46

409 ივ. როსტომაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 73—75.

კარნიზზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა, რომელსაც ივ. როსტომაშვილი ასე კითხულობს:

„ქრისტე, შეიწყალე მშობელნი (ანუ მაშენებელნი)“...[410].

ბოლო სიტყვა, ცხადია წაკითხული უნდა იქნეს, როგორც „მაშენებელნი“. ათიოდე წლის შემდეგ ე. თაყაიშვილმა რომ ინახულა ჯიგრაშენის ეკლესია, დასავლეთის კედელი სრულიად დანგრეული ჰქონდა და წარწერა არა ჩანდა[411].

---

[410] ივ. როსტომაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

[411] МАК, XII, стр. 33.

# ЭПИГРАФИКА ДЖАВАХЕТИ КАК ИСТОРИЧЕСКИЙ ИСТОЧНИК


Резюме

Работа ставит целью собрать и комментировать эпиграфические памятники (как изданные, так и неизданные) одной из исторических провинций Грузии — Джавахети.

Южная Грузия (историческая Нижняя и Верхняя Картли), где находится Джавахети, особенно богата эпиграфическими памятниками. Надписи Джавахети издали М. Броссе[1], И. Ростомашвили[2], Е. Такайшвили[3], и другие дореволюционные исследователи. Но эти издания с одной стороны неполные, а с другой стороны не соответствуют современному уровню развития грузинского источниковедения. Из советских историков некоторые надписи Джавахети (Вани, Бурнашети, Саро, Фока и Каурмы) рассмотрены в трудах проф. Н. Бердзенишвили.

Эпиграфические памятники, по своему характеру, делятся на две группы: юридические и строительно-мемориальные.

Значительная часть юридических надписей Грузии встречается на стеллах, которые со своей стороны делятся на четыре хронологически-последовательные группы: 1) дохристианского периода с надписями на иностранном языке, 2) V—X вв., четырёхгранные, орнаментированные со вставленными каменными крестами, 3) XII—XIII вв., плоские с изображением руки, 4) позднефеодальной эпохи, грубо обработанные, иногда с изображением креста, представляющие собой преимущественно молебные камни, или же межевые знаки.


---

[1] Brosset M., Rapports sur un voyage ardéologique dans la géorgie et dans l'Armenie, 2^e livraison, St. Pétersburg, 1850.

Mélanges asiatiquo, t. II, 2e et 3e l St. Pétersburg, 1854.

[2] И. Ростомов, Ахалкалакский уезд в археол. отнош., Сбор. матер. для описания местностей и племён Кавказа, вып. XXV, 1898.

[3] Материалы по археологии Кавказа, вып. XII, Тифлис, 1909.

В X—XI вв. встречаются юридические надписи, высеченные на стенах храмов, называющиеся иногда «дацерили» (так-же как и документы на бумаге, или пергаменте) иногда же специальным именем—«хели» («рука»). Часто же эти надписи не имеют вообще никакого названия.

В X—XIII вв. встречаются высеченные на стенах агапы (упоминальные надписи), имеющие значение своего рода юридического документа.

В XIV—XVIII вв. очень редко встречаются юридические надписи, для этой эпохи такие надписи уже не характерны. Надписи этого периода преимущественно строительные. или мемориальные.

Юридические надписи не только Джавахети, но и всей Грузии, нами рассмотрены в отдельной главе. В этой же главе, в связи с надписями Пртена и Сагамо, рассмотрен термин «хели» («рука»), а также производные от него другие юридические термины феодальной Грузии, выявлена связь этого термина с изображением руки на стеллах.

В остальной части труда в хронологической последовательности рассмотрены строительные и мемориальные надписи: Арсиш, Кумурдо, Пии, Бурнашети, Каурмы, Фока, Зеда-Вардзии, Сатхи, Кулалиси, Самсари, Саро, Цунды, Ванского монастыря, Баралети, Ахалкалаки, Хоренни, Карнети, Ихтилы Гандзани, Тмогви, Хертвиси, Вардзии, Карцеби, Котелии и несколько мелких сравнительно малозначительных надписей.

Каждая надпись приведена сначала заглавно—церковным письмом, а потом в расшифрованном виде — гражданским шрифтом. Надписи рассмотрены как палеографически, так и исторически — как первоисточники. Недатированные надписи датируются нами по палеографии и упомянутым в них историческим лицам и явлениям.

В связи с надписями, рассмотрены вопросы политической истории Джавахети, как одной из административных единиц феодальной Грузии, поземельных отношений Грузии, государственного права, истории феодальных родов и др.

# ლიტერატურა

1. აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანე, ლ. მუსხელიშვილის გამ., თბილისი, 1941.
2. ალაპნი ჯუარის მონასტრისანი, ნ. მარის გამ., პეტერბურგი, 1914.
3. ბალავარიანის ქართული რედაქციები, ი. აბულაძის გამ., თბილისი, 1957.
4. ბარდაველიძე ვ. და ჩიტაია გ., ქართული ხალხური ორნამენტი, ტ. 1, თბილისი, 1939.
5. Бакрадзе Д., Археологическое путешествие по Гурии и Ачаре, СПБ, 1878.
6. ბაქრაძე ა., XIII საუკ. წარწერა გუნია-ყალადან, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVII-B, თბილისი, 1953.
7. ბერიძე ვ., სამცხის ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1956.
8. Бердзенишвили Н., Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), Тбилиси, 1938.
9. ბერძენიშვილი ნ., მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, თბილისი, 1936.
10. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორია, XIII—XIV საუკუნეები (კონსპექტი). თბილისის სახ. უნივ-ტის შრომები, ტ. VI, 1938.
11. ბერძენიშვილი ნ., მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VI, თბილისი, 1931.
12. ბერძენიშვილი ნ., ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII საუკ. საქართველოში, თბილისის სახ. უნივ-ტის შრომები, VII, 1938.
13. ბერძენიშვილი ნ., სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, თბილისი, 1940.
14. ბერძენიშვილი ნ., ფეოდალურ ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბილისი 1937.
15. ბერძენიშვილი ნ., ქართული დიპლომატიკის საკითხებიდან („ქელი" და „დაწერილი"), საქართველოს სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო სესია, 1943 წლის 28 და 29 ივნისი (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები).
16. ბოჭორიძე გ., ორი ფიქალწერილი, საისტორიო მოამბე, წ. 1, თბილისი, 1925.

17. ბოჭორიძე გ., რაჭის ისტორიული ძეგლები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VII, თბილისი, 1931—1932.

18. Brosset M., Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, 2e livraison. St. Pétersburg, 1850.

19. გაბაშვილი ც., ვარძია (გზამკვლევი), თბილისი, 1945.

20. გვერდწითელი რ., ზედა თმოგვის წარწერები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B, თბილისი, 1947.

21. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, ი. დოლიძის გამ. თბილისი, 1957.

22. გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, პ. ინგოროყვას გამ., თბილისი, 1949 (ტექსტი).

23. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, საქართველოს სამოთხე, მ. საბინის გამ., პეტერბურგი, 1882.

24. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამ., თბილისი, 1941.

25. დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამ., თბილისი, 1940.

26. დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის გამ., თბილისი, 1886.

27. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, 1, ნ. ბერძენიშვილის გამ., თბილისი, 1940.

28. ევსტატე მცხეთელის მარტვილობა, საქართველოს სამოთხე, მ. საბინინის გამ., პეტერბურგი, 1882.

29. ვახტანგ VI სამართალი, თ. ენუქიძის გამ., თბილისი, 1955.

30. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის გამ., თბილისი, 1941.

31. ვაჰანის ქვაბთა განგება, ლ. მუსხელიშვილის გამ., თბილისი, 1939.

32. ზაქარაია პ., წუღრუღაშენი, თბილისი, 1952.

33. ზაქარაია პ., დიღომი, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVII-B, თბილისი, 1953.

34. თოფურია ვ., ქვაჯვარანი საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 4, თბილისი, 1943.

35. იაკობ ცურტაველი, მარტვილობა შუშანიკისი, ი. აბულაძის გამ., თბილისი, 1938.

36. იმნაიშვილი ი., ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი, 1948—1949.

37. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის გამ., თბილისი, 1941.

38. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, თ. ჟორდანიას გამ., თბილისი, 1896.

39. კაკაბაძე ს., წვრილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, თბილისი, 1914.

40. კალისტრატე, სასტორიო მასალა, ივერია, № 239, 1891.

41. კონსტანტინე პორფიროგენეტი, გეორგიკა, IV, ნაკვ. II, ს. ყაუხჩიშვილის გამ., თბილისი, 1952.

42. Копалиани В., Кладекарское эриставство (автореферат), Тбилиси, 1949.

43. ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამ., თბილისი, 1955.

44. Марр Н., Надписъ Епифания, каталикоса Грузии, Известия Академии Наук, 1910.

45. Материалы по археолотии Кавказа, вып. XII, Тбилиси, 1909.

46. მატიამე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამ., თბილისი, 1955.

47. Mélanges asiatiques, t. II, $2^{e}$ et $3^{e}$ l. St. Pétersburg, 1854.

48. მელითაური კ., შოშიაშვილი ნ., ხანთაძე შ., ჯამბურია გ., ვარძია, თბილისი, 1955.

49. Меликсет-Бек Л. Рельефы руки па памятниках материальной культуры феодальной Грузии. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, IX, თბილისი, 1957.

50. მელიქსეთ-ბეგი ლ., მანგლისის რაიონი ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით, ახალი სკოლისაკენ, № 2—3, თბილისი, 1924.

51. მეფისაშვილი რ., ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის სამშენებლო წარწერა, საქ. სსრ მეცნ. აკადემ. მოამბე, ტ. V, № 10, თბილისი, 1944.

52. მუსხელიშვილი ლ., ბოლნისი. ენიმკის მოამბე, ტ. III, თბილისი, 1938.

53. მუსხელიშვილი ლ., არქეოლოგიური ექსკურსიები, თბილისი, 1941.

54. ჟამთააღმწერელი, მარიამისეული ქართლის ცხოვრება, ექვთ. თაყაიშვილის გამ., თბილისი, 1906.

55. ჟორდანია თ., ქრონიკები, I. თბილისი, 1892.

56. ჟორდანია თ., ქრონიკები, II, თბილისი, 1897.

57. Ростомов И., Ахалкалакский уезд в археологическом отношении, Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа вып. XXV, Тбилиси, 1898.

58. საქართველოს სახ. მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, შედგენილი ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ, თბილისი, 1953.

59. საქართველოს სიძველენი, ტ. II, ექვთ. თაყაიშვილის გამ., თბილისი, 1909.

60. საქართველოს სიძველენი, ტ. III, ექვთ. თაყაიშვილის გამ., თბილისი, 1910.

61. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, კ. კეკელიძის გამ., თბილისი, 1935.

62. სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამ., თბილისი 1955.

63. Такайшвили Е., Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. II, Тбилиси, 1905.

64. Такайшвили Е., Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. IV, Тбилиси, 1913.

65. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, ა. შანიძის გამ., თბილისი, 1945.

66. შარაშიძე ქ. საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII ს.ს.), მასალები საქართვ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბილისი, 1954.

67. შმერლინგი რ., უბისის ტაძრის დათარიღების საკითხისათვის, საქართვ. სსრ მეცნიერებათა აკად. მოამბე, ტ. XVI. № 2, თბილისი, 1955.

68. შოშიაშვილი ნ., ცისკარიშვილი ვ., სოფ. დოდოთის ცხრაკარას ეკლესიის წარწერა, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXI-B, თბილისი, 1957.

69. Чубинашвили Г., Болнисский Сион, т. IX, Изв. НЯИМК. Тбилиси, 1940.

70. ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, ი. ჯავახიშვილის გამ., თბილისი, 1946.

71. ძველი ქართული სამართალი, ი. დოლიძის გამ., თბილისი, 1953.

72. წყისეს წარწერა, ძველი ქართული ქრესტომატია, ა. შანიძის გამ. თბილისი, 1935.

73. ქელმწიფის კარის გარიგება, ექვთ. თაყაიშვილის გამ., თბილისი, 1920.

74. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბილისი, 1948.

75. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წ. III, თბილისი, 1949.

76. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წ. II. თბილისი, 1928.

77. ჯავახიშვილი ივ., ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949.

78. ჯავახიშვილი ივ., ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, თბილისი, 1925.

79. ჯავახიშვილი ალ., არეშის სტელა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 7, თბილისი, 1944.

80. ჯამბურია გ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1955.

81. ჯანაშია ს., ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, II, თბილისი, 1952.

# საძიებლები

## პირთა საძიებელი


აბულაძე ი. 69, 81, 87, 88, 89.
აბუსერიძე ტბელი 65.
ადარნასე 9, 10.
ადეიძე ბაგრატ 65.
ავაგი 58, 59.
ავალიშვილები 121.
ავალიშვილი 89.
ავალიშვილი ქიშვადი 119, 120.
ალბის ძე 118.
ამატაკიანი 112.
ამირანი: ამირან-დარეჯანიანი 88.
ამეან (მალიკაშვილი) 24.
ანტონი. ჭყონდიდელი 50, 51, 52.
ანუკა, ბატონიშვილი 86.
არშუშა, პატრიკი 73.
ასიბა, კახა თორელის ძმა 58, 59.
აფრიდონი, მსახურთუხუცესი 93.
აშოტ კუხი 7, 9.
ახალციხელი ივანე, იხ. თორელი ივანე
ახალციხელი შალვა, იხ. თორელი შალვა.

ბაგრატ III 8, 12, 13, 14, 39.
ბაგრატ IV 21, 22, 30, 32, 33, 35, 36, 39, 40, 45, 54, 61, 109.
ბაგრატ VI 95, 96.
ბაგრატ კურაპალატი 9.
ბაგრატიონნი 8.
ბაგრატონიანი 73.
ბადრიაშვილი ბერი 86.
ბაია 33.
ბარათაშვილი 95.
ბარდაველიძე ვ. 69, 70, 91.
ბაქრაძე ა. 3, 12, 13, 36, 38, 64, 69, 73, 76, 79, 92, 93, 103.
ბაქრაძე დ. 3, 14, 104.
ბალათური იხ. გიორგი ბალათურის ძე.
ბაჰრამა 76..
ბეერელი 33.
ბერიძე ვ. 103, 119, 120.
ბერძენიშვილი ნ. 3, 4, 27, 29, 31, 32, 33, 44, 45, 51, 52, 59, 64, 79, 80, 82, 85, 86, 87, 91, 93, 112, 113, 121, 126.
ბექა I 102, 103, 104, 112, 114.
ბექა ჯაყელი იხ. ჯაყელი ბექა
ბეშქენი 37.
ბეშქენ ჯაყელი, იხ. ჯაყელი ბეშქენ.
ბოლოკ—ბასილი 65.
ბოლქვაძე ს. 3, 69, 73, 76.
ბოჭორიძე გ 77.
ბროსე. მ. 3. 4,10, 11, 15, 17, 18, 19, 21. 22. 23. 27, 31. 33, 34, 35, 44, 47. 48. 94, 97, 98, 99, 100, 101, 102, 104, 111, 112, 116, 121, 122, 123, 124, 126.

გაბაშვილი ც. 49, 50.
გაბრიელ 33.
გაბრიელ 124.
გაბრიელი, კუმურდოელი ეპისკოპოსი 16, 17, 18, 19.
გაია 33.
გაიაძ 37.
გამრეკელი 53, 54, 55, 56, 57, 66.
გამრეკელი თორელი 54, 57, 79.
გამრეკელის ძე,—ძენი 54, 58, 59.
გამრეკელნი 54.
გაფრინდაშვილი გ. 25.
გვერდწითელი რ. 38. 43.

გიორგაძე 37.
გიორგი 15.
გიორგი 38, 77.
გიორგი ბალათურისძე 94.
გიორგი I 12, 13. 14, 30, 31, 40, 102.
გიორგი II 109.
გიორგი III 43, 57.
გიორგი ლაშა იხ. ლაშა გიორგი.
გიორგი V 89, 101, 102, 103, 104, 114.
გიორგი მერჩულე 8, 89.
გიორგი მთაწმიდელი 90.
გობრონი, ყველის ციხისთავი, 9.
გოდერძი. იხ. ჭედი.
გორგასალი, იხ. ვახტანგ გორგასალი.
გრიგოლ მამასახლისი 73.
გრიგოლ ხანძთელი 89.
გუარამ მამფალი 9.
გუდა, იხ. კონსტანტი.
გულბად 119.
გულბათი 20.
გულქანი (შალიკაშვილი) 23, 24.
გურგენ ბერი იხ. ვაჩე ძე გურგენ ბერისა
გურგენ 48.
გურგენ იხ. იჩქით გურგენის ძე.
გურგენ კურაპალატის ძე, იხ. გურგენ კურაპალატი I, II.
გურგენ I კურაპალატი 7, 8, 9, 75.
გურგენ II კურაპალატი 8.

დავით: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 88.
დავით: ულუ დავითი 58, 59, 68, 69, 70, 92.
დავით VII 107.
დავით სოსლანი 66.
დანიელი 27, 28.
დარეჯანი: ამირან დარეჯანიანი 88.
დაჩი (ვახტანგ გორგასლის ძე) 48.
დევისყურა, იხ. თორელი ლიპარიტ.
დემეტრე I 45, 46.
დოლიძე ი. 87, 89, 90, 91.

ეგნატე გოლგოთელი 19.
ევსტატე მცხეთელი 92.
ელისაბედ 33.
ელისბალ შალიკაშვილი 25.
ენუქიძე თ. 87, 88.
ეფთჳმე მთაწმიდელი 90
ეფრემი, კუმურდოელი ეპისკოპოსი 16.

ვარდა, ვარდანი 13, 15.
ვარდან 62.
ვარდანის ძე მარუშიანი 14.
ვარდანის ძეები, 14. 15.
ვასილიოსი იხ. ვახუშტი ყოფილი ვასილიოსი.
ვახტანგ გორგასალი 48.
ვახტანგ VI 85, 86, 87, 88, 91.
ვაჩე 45. 46.
ვაჩე ერისთავი 14, 18, 78.
ვაჩე, ძე გურგენ ბერისა 45.
ვაჩე (თამარის მსახურთ უხუცესი) 79.
ვახუშტი ყოფილი ვასილიოს (შალიკაშვილი) 24.
ვახუშტი ბაგრატიონი 45.

ზაქარაია პ. 43, 69, 103.
ზაქარია მხარგრძელი, 60, 79.
ზაქარია შანშეს ძე (მხარგრძელი). 58.
ზვიად მარუშიანი, ჯავახეთის ერისთავი 11, 12, 14, 15.
ზვია იხ. ზვიად მარუშიანი.
ზოსიმე, კუმურდოელი ეპისკოპოსი (XI ს.) 20, 21, 23.
ზოსიმე, კუმურდოელი ეპ-სი (XVI ს.) 19, 20, 22, 23, 24.
ზოსიმე. მღვდელი 17.

თავაძე თომა 71.
თამარ მეფე 43, 49, 51, 55, 56, 57, 60, 66, 69, 71, 79, 92, 93, 95, 96, 109, 110.
თამარ, ქიშვარდ ავალიანის თანამეცხედრე 119, 120.
თამარ ჯაყელი იხ. ჯაყელი თამარ
თაყაიშვილი ექვთ. 3, 4, 10, 15,16, 18, 20, 21, 22, 23, 24, 25, 30, 31, 38, 39, 40, 43, 44, 46, 53, 54, 56, 57, 58, 61, 63, 64, 75, 76, 78, 98, 103, 104, 111, 114, 117, 121, 122, 125, 126.

თედორე 123.
თეიმურაზ II 86.
თმოგველი მხარგრძელი, სარგისის ძე 50.
თმოგველნი 107.
თორელი იხ. გამრეკელი თორელი
თორელი ივანე 60.
თორელი კახა, ახალქალაქის ერისთავი, 36, 57, 58, 59, 63, 106.
თორელი 95, 96.
თორელი ლიპარიტ 57.
თორელი შალვა 60, 106.
თორელნი 54, 57, 60, 107.
თოფურია, ვ. 75, 82.

იაკობ ცურტაველი 88.
იასაულის ძე 123.
იასე, მდივანბეგი 86.
ივანე იხ. თორელი ივანე
ივანე მხარგრძელი 104, 114.
ივანე იხ. ჭორვანის ძე ივანე
ივანე (სამცხის ათაბაგი) 115, 116.
იმნაიშვილი ი. 88.
ინგოროყვა პ. 89.
იოანე კუმურდოელი ეპისკოპოსი 10, 11, 14, 15, 18, 78.
იოანე მარუშის ძე 14.
იოანე მახარობელი 111.
იოანე სანობას ძე 79.
იოანე, შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარი 110.
იოვანე 48.
იოვანე მთაწმინდელი 90.
იოვანე მურვანის ძე 94.
იოვანე მწიგნობარი 109.
იოთამ შალიკაშვილი 24.
ირემია 37.
ისდიაგ 53, 54.
იჩქით გურგენის ძე 47, 48, 49.

კაკაბაძე ს. 25, 105, 108, 112, 120.
კალისტრატე, 34, 35, 47, 48.
კაპანაძე დ. 71.
კახა, ერისთავთ-ერისთავი იხ. თორელი კახა.
კახა სამძივარი იხ. სამძივარი კახა
კეკელიძე კ. 60, 89.
კონსტანტი, სტეფანესა და გუდას ძე 74.
კონსტანტი 77.
კონსტანტინე პორფიროგენეტი 8, 9, 47.
კუხი 76.

ლაშა გიორგი 52, 58, 66, 67, 69, 79, 92, 93, 103, 106
ლაშქარიძე 117.
ლაფა 100.
ლეონ აფხაზთა მეფე 11, 12
ლეონტი მროველი 48, 88, 89.
ლიპარიტი, კლდეკარის ერისთავი 54.
ლიპარიტი, კლდეკარის ერისთავი 35, 36, 38.
ლიპარიტი იხ. თორელი ლიპარიტი
ლიპარიტ ქავშელი 90, 95.
ლომა 76.
ლომოური, თ. 45.

მაწყლაფა, შალვას მონა 100.
მარი ნ. 23, 76.
მარიამ დედოფალი, ბაგრატ IV დედა 21.
მარიამ იხ. ხათუნ მარიამ ყოფილი
მარიხ, ელისბალ შალიკაშვილის თანამეცხედრე 22.
მარუშიანები იხ. ვარდანისძეები
მარუშიანი ზვიად იხ. ზვიად მარუშიანი.
მარუშის ძე, იხ. იოანე მარუშის ძე
მელიორანსკი კ. 116.
მელიქსეთ-ბეგი, ლ. 69, 70, 71, 79, 82
მელქისედეკ, ქართლის კათალიკოზი 30, 31.
მეფისაშვილი რ. 42.
მზექალა, გულბაზის მეუღლე 119, 120
მირდატი 20.
მიქელ 33.
მიქელ 124.
მიქელ, გალატოზი 23.
მიქელ, ქართლის კათალიკოზი 57.
მურვანი იხ. იოვანე მურვანის ძე
მურვან კითხას ძე 108, 111.
მურვან ლარიბას ძე 108.

მესხელიშვილი ლ. 3, 49, 50, 51, 52, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 65, 66, 67, 76, 95, 103, 104, 114.
მხარგრძელი ზაქარია იხ. ზაქარია მხარგრძელი.
მხარგრძელნი 49, 50, 51, 106, 107.

ნარიმ დავითი 69.
ნაღა, ზოსიმე კუმურდოელის მამა 23, 24.
ნიკოლას ძენი 95, 100, 102.
ნიკოლოზი, ქართლის კათალიკოზი 81.
ნინო, ქართველთა განმანათლებელი 89.

ოვანე ოქროპირი, ქართლის კათალიკოსი 30, 32, 33.
ოვსიყმა 79.
ორბელიანი სტეფანოზ 109.
ორბელიანი 95.
ოქროპირი 118.
ოქროპირი: იხ. იოვანე ოქროპირი.

პოპონდოპელი 116.

ჟორდანია, თ. 3, 12, 23, 34, 35, 50, 58, 62, 63, 69, 73, 78, 94, 95, 96, 105, 109, 116.

რამინ 77.
რატი 56, 59.
რატი, კლდეკარის ერისთავი 52, 54, 55.
რატი სურამელი 54, 56.
როსტომაშვილი, ივ. 3, 4, 10, 11, 21, 27, 30, 31, 33, 37, 38, 39, 40, 41, 42, 44, 47, 48, 52, 53, 54, 56, 60, 62, 66, 77, 97, 98, 99, 100, 102, 117, 118, 119, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126.
რუსუდანი მეფე—43, 69, 79, 103.
რუსუდანი, თმოგველთა ასული 94.

საბანინი, მ. ს. 90.
სალდუხი 81.
საკოცარი 11.
სამძივარი 59.
სამძივარი კახა 103.
სანობა იხ. იოანე სანობას ძე
სარგის ჯაყელი იხ. ჯაყელი სარგის.
სერაპიონ ზარზმელი 89.
სიმონა 100.
სოფრონ 121.
სოფრონ იხ. ქონქოლას ძე სოფრონ
სტეფანე იხ. კონსტანტი.
სტეფანე მტბევარი 8.
სტეფანოზი 109.
სუმბატ დავითის ძე 8, 13, 73
სურამელი რატი, იხ. რატი სურამელი.
სურგულაძე ი. 112, 113, 114.

ჳოანე 38

უმიკაშვილი პ. 82.

ფავნელნი 62.
ფარნაჯი: იხ. სტეფანოზ ფარნაჯის ძე
ფარსმანი, ერისთავთ-ერისთავი 38, 39.

ქავთარ, ერთა ქორეპისკოპოზი 73.
ქამქამისშვილი ზაქარია 111, 112, 113.
ქამქამისშვილის ძე იხ. ქამქამისშვილი ზაქარია
ქებას ძენი 98, 100.
ქეთონ ყოფილი ქრისტინა, 22.
ქიშვადი იხ. ავალიშვილი ქიშვადი
ქონქოლას ძე სოფრონ 122.
ქრისტინა იხ. ქეთონ ყოფილი ქრისტინა.
ქუბაჲ 98.

ღარიბა-არსულანი, მურვანის ძე 108.
ღარიბაჲს ძე მურვან 50.
ღარიბას ძე 50, 51.

ყაუხჩიშვილი ს. 8, 12, 13, 14, 36, 38, 45, 48, 73, 88, 89, 105.
ყვარყვარე ათაბაგი 117, 118.
ყუბანეიშვილი ს. 87.

შალვა, იხ. თორელი შალვა.

შალვა, მეჭურჭლეთუხუცესი, 98, 99, 100, 102, 103, 104, 105, 106, 114.
შალიკაშვილი იხ. ამუან შალიკაშვილი, გულქან შალიკაშვილი, ელისბალ შალიკაშვილი, ვახუშტი ყოფილი ვასილიოსი შალიკაშვილი, იოთამ შალიკაშვილი.
შანიძე აკ. 3, 74, 88, 89, 90.
შანშე (მხარგრძელი). იხ. ზაქარია შანშეს ძე.
შარაშიძე ქ. 24.
შმერლინგი რ. 48.
შოშიაშვილი ნ. 42, 43, 58, 60, 64. 65, 106, 116.

ჩიტაია გ. 69, 70, 91.
ჩოგა 61, 62.
ჩოგად 37.
ჩუბინაშვილი გ. 3, 13, 78, 79.
ჩქარი 26.

ცისკარიშვილი ვ. 42, 43.

ჭორვანი იხ. ჭორვანის ძე ივანე.
ჭორვანის ძე ივანე 94.

ხათუნ, მარიამ ყოფილი 81.
ხანთაძე შ. 106, 116.
ხარაძე 37.
ხუტლუბუღა, 85.

ჯავახიშვილი 96.
ჯავახიშვილი ალ. 7, 8, 9, 35, 75.
ჯავახიშვილი ზაზა 95.
ჯავახიშვილი ზაქარია 95.
ჯავახიშვილი ივ. 3, 11, 29, 36, 40, 42, 43, 49, 57, 62, 64, 85, 90, 101, 102, 106, 109, 110, 112, 113.
ჯავახიშვილი კახა 95.
ჯავახოს 48.
ჯამბურია გ. 95, 106, 116.
ჯანაშია ს. 66, 67, 69, 95. 112, 113.
ჯაყელი 97.
ჯაყელი ბეშქენ 38, 39.
ჯაყელი ბექა 113.
ჯაყელი თამარ, გიორგი VIII თანამეცხედრე, ყვარყვარეს ასული 24.
ჯაყელი სარგის 103, 112.
ჯაყელი 105, 108, 113, 114, 115.
ჯედი, შტორის ერისთავის გოდერძის დისწული 45.
ჯუანშერი, 48.
ჯულაბად 79.

ჰერაკლე, ბიზანტიის კეისარი 78.

# გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი


აბასთუმანი 73
აბელია: აბელიის ეკლესია 63
აბული 122
აზავრეთი 122
ათონი 54
ათონი: ათონის მონასტერი 109
ალაზანი 45
ალასტანი 92, 104, 123
ანისი 76
არაკალა 123
არეში 7, 9, 12, 74, 75, 127
არმაზი 72
არმაზი: არმაზის მონასტერი 80
არმაზის ხევი 72
არტაანი 105, 111
არტაანის მტკვარი 46, 47
არტანუჯი 105
არშტი იხ. არეში
არხოტი 69, 71, 72, 79, 103
ასპინძა 25, 44, 46, 49
ატენი 73, 78
ატენი: ატენის ციხე 38
აფხაზეთი 69
აძიკვი 76
აჭარა 65, 105
ახალქალაქი 4, 7, 10, 36, 37, 39, 44, 52—58, 60, 66, 67, 77, 117, 118, 121, 122, 123, 124, 126, 127

ბავრა 21
ბარალეთი 36, 52, 127
ბასიანი 60, 105
ბეკამი 86
ბელაქნის წყალი 45
ბერდუჯი 73
ბეშთაშენი 78
ბეშკენაშენი 81

ბიზანტია 13
ბობაორი 76
ბოგდანოვკა 67.
ბოლნისი 72, 73, 78, 95
ბორჯომი 113, 119
ბურნაშეთი 4, 27, 76, 77, 126, 127

განძანი 96, 97, 102, 103, 105, 106, 114, 127
გოლგოთაჲ 23, 24
გომარეთი 12, 13
გუნია-ყალა 69, 70, 71, 72, 92, 102, 106.
გურია: გურიის ერისთავები 14

დაბა 103
დასავლეთ საქართველო 120
დიდი გომარეთი 78
დიდი ლიახვი 59
დილომი 43
დოდოთი 42

ერედვი 42

ვაჰანის მონასტერი (ჯავახეთში):
ვანი 4, 126
ვანის მონასტერი 127
ვანის ქვაბები 36, 49, 50
ვაჰანის მონასტერი 49, 51, 107, 108
ვაჰანის ქვაბნი 49, 50, 108
ვარევანი 123, 124
ვარძია 5, 107, 115, 116, 127
ვარძია: ვარძიელი საწოლის მწიგნობარი 110, 113.
ვაშლოვანი 105

ზარზმა: ზარზმელი 89

ზარზმის ეკლესია 65
ზარზმის ხატი 12
ზედა ვარძია 34, 36, 55, 127
ზედა თმოგვი 43
ზემო კრიხი 75
ზემო ქართლი 4, 126
ზუგდიდი 70

თავფარავანი 61
თბილისი 65, 75
თეთრი წყარო 70
თემი-ხარაბა 70, 71
თირი 103
თმოგვი 39, 50, 96, 106, 108, 110, 111, 112, 113, 127
თმოგვის ციხე 49
თორი: თორელნი 105
თორმეტნი უდაბნონი 105
თორლა 46
თრიალეთი 81, 93
თქეროანი 77

იერუსალიმი: იერუსალიმის ჯვარის მონასტერი 48.
იმერა 71
იხტილა 49, 95, 96, 127

კავთა: კავთის წმ. გორგი 79
კავკასია 53, 61, 77, 126
კარნეთი 60, 61, 63, 64, 127
კარნი 105
კახეთი 120, 121
კლარჯეთი 8, 12, 105
კლდეკარი 36, 92
კოთელია 118, 120, 127
კოიტორი 76
კოლა 105
კულალისი 39
კუმურდო 7, 10, 14, 19, 24, 46, 48, 75, 78, 127

ლივადი 12, 13
ლიკანი 119

მანგლისი 69, 78, 79, 82
მაშავერი 95, 96
მაჰა 45, 46
მესხეთი 59
მეჯუდა 75
მზივე 59
მიპასისშიტი 70, 71
მტკვარი 49
მცხეთა 33, 73, 74

ნიგალისხევი 105

ოფი 112
ოშკი 64

პანკისი 45
პეტერბურგი 8, 24
პრტენა 66, 69, 70, 71, 72, 79, 127

რეკი 45
რკონი 63, 63, 65
რუისი: მროველი 88

საბერძნეთი 65
სავანე: სავანის ეკლესია 75
სათხა 37, 39, 121
სამეგრელო: სამეგრელოს ერისთავები 14
სამზიარი 59
სამსარი 40, 41, 44, 127.
სამშვილდე 95
სამცხე 25, 97, 104, 105, 112, 113, 114, 116, 118, 119, 120
სამძივრის ხევი 59
საორბისი 36
სარო 36. 43, 44, 46, 76, 126, 127
საფარა 120
საქართველო 3, 4, 5, 15, 50, 51, 57, 62, 63, 64, 65. 66, 67, 70, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 82, 83, 84, 86, 87, 91, 92, 93, 97, 106, 109, 112—116, 120, 126, 127.
საქაშეთი 83
საღამო 65, 66, 67, 70, 71, 72, 79, 127
საღამოს ტბა 96
საჯარი: საჯარის წმ გიორგი 83
სვანეთი 91, 112
სომხითი 65, 96

სპარსეთი 99
სტალინირი 44, 103

ტაო 8, 12, 13, 105
ტბეთი 7, 9
ტრაპიზონი 112

უბისი: უბისის ტაძარი 46
უკანგორი 73
ურბნისი 72

ფანასკერტი 13
ფარავნის ტბა 96
ფია 25, 43, 127
ფლავი 73
ფოკა 4, 22, 33, 36, 126, 127

ქართლი 70, 73, 83, 88, 90, 108, 120, 121
ქარცები 117, 118, 127
ქვემო ქართლი 4, 92, 126
ქვეში 95
ქვემო ჯინისი 36, 75
ქობერი: ქობერის ეკლესია 63

ყაურმა 4, 29, 36, 126, 127
ყვარშა 124
ყველის ციხე 8, 9, 48, 49, 74

შავი ზღვა 112
შავშეთი 105
შატბერდი 75
შიომღვიმის მონასტერი 50, 62, 109, 110
შტორი 45
შუარტყალი 65

ჩუნჩხა 70, 71
ჩხიკვთა 70, 71, 72

ცურტავი: ცურტაველი 88
ცხრაკარის ეკლესია 42

წალკა 70
წუნდა 47, 48, 49, 127
წულრულაშენი 69
წყისე 74

ხაჩკოვი 71, 72
ხევსურეთი 91
ხერთვისი 111, 112, 113, 115, 127,
ხოვლე 63
ხონი 59
ხორენია 36, 60, 61, 62, 63, 64, 127
ხორნაბუჯი 45
ხუნამისი 74

ჯავახეთი 3, 4, 5, 8, 52, 54, 56, 57, 59, 63, 66, 92, 93, 96, 97, 105, 111, 118, 126, 127.
ჯიგრაშენი 124, 125

ჰამამლუ 96

## შ ი ნ ა ა რ ს ი


| | გვ. გვ. |
|---|---|
| 1. შესავალი . | 3 |
| 2. არეშის წარწერა . | 7 |
| 3. კუმურდოს წარწერები | 10 |
| 4. ფიის წარწერა . | 25 |
| 5. ზურნაშეთის წარწერები | 27 |
| 6. ყაურმის წარწერები | 29 |
| 7. ფოკას წარწერები | 31 |
| 8. ზედა ვარძიის წარწერა | 33 |
| 9. სათხის წარწერები | 37 |
| 10. კულალისის წარწერა | 39 |
| 11. სამსარის წარწერები | 40 |
| 12. საროს წარწერა . | 44 |
| 13. წუნდის წარწერა : | 46 |
| 14. ვაჰანის მონასტრის წარწერა | 49 |
| 15. ბარალეთის წარწერა . | 52 |
| 16. ახალქალაქის წარწერა . | 52 |
| 17. ხორენიას და კარნეთის წარწერები | 60 |
| 18. პრტენას და სალამოს წარწერები | 66 |
| 19. იხტილას წარწერა . | 94 |
| 20. განძანის წარწერები | 96 |
| 21. თმოგვის წარწერა | 106 |
| 22. ხერთვისის წარწერა | 111 |
| 23. ვარძიის წარწერა | 115 |
| 24. ქარცების წარწერები | 117 |
| 25. კოთელიას წარწერა . . . . . | 118 |
| 26. პატარა, მცირე ისტორიული ღირებულების წარწერები | 121 |
| 27. რეზუმე . . . . . | 126 |
| 28. ლიტერატურა | 129 |
| 29. საძიებლები . . | 133 |
| პირთა საძიებელი . . . . | 133 |
| გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი . | 138 |